ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

18 — 19 იანვარი, 2014 №14 (6325) ფასი: 30 თეთრი

აქცია
წიგნი 1 ლარად!
15 იანვრიდან
„ახალი თაობა“
+
მიხეილ ჭიაურელი
ფასი გაზეთთან ერთად 1 ლარი




ეროვნული ბიბლიოთეკა



გვ.3

## შალვა ოგბაიძე: „26 მაისის ღამეს გაიცა ბრძანება, რომ ყველანი რუსთაველზე ჩავეხოცეთ!“

რატომ გაიქცა ვანო მერაბიშვილი სასამართლოდან



გვ.5

## სანდრო ბრეგაძე: „ნაცბანდის სახადი ქვეყანაში ისევ მოდებულია“

დედაქალაქის ობშიაკი გიგი უგულავასთან ინახებოდა, ძალოვანების ობშიაკი ინახებოდა ვანო მერაბიშვილთან, დაწიოკებული ბიზნესმენების ობშიაკი – ადეიშვილთან, ხოლო ეს უკანონო იარაღი, ნარკოტიკები და სხვა არალეგალური მაქინაციებით მიღებული ობშიაკი კი – კეზერაშვილთან.

## სააკაშვილი ბუნებრივ აირს უკანონოდ მოიხმარდა

გვ.6






გვ.6

## როგორ გადავარჩინოთ ლარი

## მთავარი პროკურატურა გიორგი გვიჩიანის ადვოკატებს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს

გვ.2



გვ.2

## უნდა წავიდეთ თუ არა სოჭის ოლიმპიადაზე

ISSN 1987-9385




გვ.4

## რამაზ საყვარელიძე: „ხელისუფლებამ ხალხს ანგარიში უნდა ჩააბაროს“

## ნუკრი ქანთარია: „ნაციონალებს ლაპარაკის გარდა სხვა არაფერი დარჩენიათ“

გვ.4



# ეკომიგრანტები ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ

**მარიკა მჭედლიშვილი**

საქართველოში რომ უმძიმესი სოციალური და დემოგრაფიული ვითარებაა, ყველამ (იმედია, ხელისუფლებამაც) იცის. სხვებზე მძიმე მდგომარეობაში არიან ეკომიგრანტები. „მთის რეგიონებიდან იძულებით ადგილმონაცვლეთა (ეკომიგრანტთა) უფლებების დაცვის საერთაშორისო ასოციაციამ „ხიხანი-უშბა" – თავმჯდომარემ სიმონ შარაძემ მიმართვა გაუგზავნა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს.

სტიქიური მოვლენების გამო დაზარალებული და სხვა რეგიონებში ჩასახლებული ქართველი ეკომიგრანტები სხვა პრობლემებთან ერთად ყურადღებას ამახვილებენ წალკაში შექმნილ მდგომარეობაზე.

– უმეტეს რაიონში ჩასახლებული ეკომიგრანტი ოჯახები გაუსაძლის პირობებში იმყოფებიან. სწორედ ამ გარემოებებით იყო ნაკარნახევი, ჯერ კიდევ 2004 წელს ჩამოგვეყალიბებინა საქართველოს მთის რეგიონებიდან იძულებით ადგილმონაცვლებული (ეკომიგრანტი) ოჯახების უფლებების დაცვის საერთაშორისო ასოციაცია „ხიხანი-უშბა". ასოციაციამ უმოკლეს ვადაში შეისწავლა ქვეყნის 47 რაიონში ეკომიგრანტი ოჯახების მდგომარეობა და 2005 წელს წარადგინა დასაბუთებული მოკლე და გრძელვადიანი წინადადებები როგორც ქვეყნის ხელისუფლების, ისე აშშ-ის მთავრობის ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამის – „დავძლიოთ სიღარიბე ეკონომიკური ზრდით" საქართველოს კომისიაში. სამწუხაროდ, ჩვენი წინადადებებისა და მოთხოვნების რეალიზაცია შეგნებულად არ მოხდა, რამაც უმეტეს რაიონში როგორც ნაციონალური ხელისუფლების (2003-2012წწ.), ისე დღევანდელი კოალიციის (2013 წ.) პერიოდში, კიდევ უფრო გააუარესა ეკომიგრანტი ოჯახების გაუსაძლისი, აუტანელი მდგომარეობა, - ნათქვამია მიმართვაში.

მიმართვის ავტორის თქმით, გაუსაძლისი მდგომარეობის გამო, მესხეთ-ჯავახეთის რაიონების ბევრი სოფლიდან მოხდა მათი მასობრივი უკუმიგრაცია, დაიხურა ახალგახსნილი ქართული სკოლების უმეტესობა, რაც ამ რეგიონებში ქმნის სერიოზულ დემოგრაფიულ საფრთხეს.

სიმონ შარაძე ყურადღებას ამახვილებს წალკაზე. მისი შეფასებით, 2013 წელს წალკის რაიონში ქართული ეკომიგრანტი ოჯახების მიმართ განხორციელდა ანტიქართული ქმედებები, რაც დღემდე გაურკვეველი, მოუგვარებელი რჩება.

– წალკის რაიონში ჩასახლებული ეკომიგრანტი ოჯახების მდგომარეობა თითქმის ყველა სოფელში საგანგაშოა, რამდენადაც 5000-მდე ეკომიგრანტი ოჯახიდან დიდი უმრავლესობა 10-12 წელია დროებით შესახლებულია ჯერ კიდევ ბერძნების საკუთრებაში არსებულ სახლებში, რომელთაც ყოველდღე ემუქრებათ გამოსახლება და მხოლოდ 560 ოჯახია შესახლებული სახელმწიფოს მიერ შესყიდულ სახლებში და ისიც მდგმურების სახით (საკუთრების უფლების გარეშე). ეკომიგრანტი ოჯახების აბსოლუტურ უმრავლესობას დღემდე არ მიუღიათ სახელმწიფოსაგან შეპირებული 5 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო სავარგული შედარებით შეღავათიან პირობებში, – ნათქვამია მიმართვაში.

მისი თქმით, ადგილობრივი არაქართველი თუ თბილისელი ბობოლები, დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ პირობებში ამუშავებენ ეკომიგრანტ მოსახლეობას. ასევე თითქმის ყველა სოფელში მოუგვარებელია სასმელი წყლის საკითხი.

ეკომიგრანტები გაუსაძლისი მდგომარეობის გამო წალკის რაიონიდან (და არა მარტო წალკიდან) 2013 წელს იძულებით აქციებს მართავდნენ თბილისში კანცელარიის წინ. ასეულობით ოჯახი დაბანაკდა აჭარის ხელისუფლების ოფისთან კარვებში, თუმცა ვერაფერს მიაღწიეს.

– სამწუხაროდ, ის რაც მესხეთ-ჯავახეთსა და წალკის რაიონში ხორციელდება ეკომიგრანტი ოჯახების მიმართ, მსოფლიო მასონების ისტორიული ზრახვების – საქართველო ქართველების გარეშე – აღსრულების სამსახურში აქტიურად ჩაბმული ვაიპოლიტიკოსების ღიად ქმედებების შედეგია.

ეკომიგრანტთა ასოციაცია და, შესაბამისად, იძულებით ადგილმონაცვლებული ათეული ათასობით ოჯახი კვლავაც საქართველოს მთავრობის, პრეზიდენტის, პარლამენტისა და საქართველოს პატრიარქისაგან ელოდებიან მხარდაჭერას და შველას თქვენგან, – მიმართავს ადრესატებს სიმონ შარაძე.

## შსს ავტომობილების გატაცების შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი ავტომობილის გატაცებასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაცის არ ადასტურებს. როგორც ნინო გიორგობიანი აცხადებს, ავჭალაში ავტომანქანის გატაცება არ დადასტურდა. მანქანის მფლობელის განცხადების შემდეგ დადგინდა, რომ წინა ღამით ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ავტომანქანის მფლობელი ბოძს შეეჯახა და მანქანა იქვე მიატოვა, სახლიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება სსსკ-ის 177-ე მუხლით მიმდინარეობდა, თუმცა ქურდობის დანაშაულის არ არსებობის გამო გამოძიება შეწყდება.

როგორც გიორგობიანი სოციალურ ქსელში წერს, შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს მე-4 განყოფილებაში 1 იანვარს, 1970 წელს დაბადებული გოჩა უფლისაშვილის შეტყობინების საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა (სსსკ-ის 177-ე მუხლით) უფლისაშვილის კუთვნილი „ვაზ 21-08" მარკის ავტომანქანის მოპარვის შესახებ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული ავტომანქანა 1 იანვარს, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა მფლობელმა თბილისში ბაგების ტერიტორიაზე თავად დატოვა, რაც აღარ ახსოვდა. სამართალდამცველებმა, „ვაზ 21-08" მარკის ავტომანქანა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 3 იანვარს იმავე ადგილზე იპოვეს, სადაც მფლობელმა დატოვა. აღნიშნულ ავტომანქანას ჩაუტარდა გარეგნული და შიდა დათვალიერება, რის შედეგადაც ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ავტომანქანას დაზიანებული ან მოპარული არაფერი ჰქონდა. დანაშაულის არარსებობის გამო სისხლის სამართლის საქმე შეწყდა.

„9 იანვარს თემქის დასახლებაში „გატაცებული" მანქანა ნაპოვნია. აღოჩნდა, რომ მეგობარმა (რომელიც ნასვამი იყო) საკუთარი მეგობრის მანქანა მეგობრის დაუკითხავად წაიყვანა და იქვე რამდენიმე მეტრში დატოვა. პოლიციას უკვე დაკავებული ჰყავს პირი, რომელმაც მანქანა წაიყვანა.(პოლიციაში თავად გამოცხადდა მეგობართან ერთად). 2 იანვარს დილმის მასივში „გატაცებული" მანქანა მეზობელი კორპუსის ეზოში იპოვნა პოლიციამ. მანქანიდან არაფერია წაღებული და არც დაზიანებულია. გამოძიება მალევე შეწყდება, რადაგან აღნიშნული ავტომობილი მეზობელ ეზოში ოჯახის წევრმა დააყენა" - აღნიშნავს გიორგობიანი.

ავტომობილების გატაცების შესახებ ინფორმაცია „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა გაავრცელეს.

ნიუსპრესი

## მთავარი პროკურატურა გიორგი გვიჩიანის ადვოკატებს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს



მთავარი პროკურატურა გიორგი გვიჩიანის ადვოკატებს პასუხობს. ამასთან დაკავშირებით, პროკურატურა განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „მედიანიუსი" უცვლელად გთავაზობთ:

„მას შემდეგ, რაც ყოფილი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე გადადგა და პროკურატურის კანონის შესაბამისად, მთავარი პროკურორის მოვალეობის შესრულება დაევალა ბატონ ირაკლი შოთაძეს, მისი მისამართით სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით არაერთი მცდარი ინფორმაცია გავრცელდა, რითაც გარკვეული პირები ცდილობენ მოახდინონ მისი პიროვნების დისკრედიტაცია. ამის მაგალითია გია გვიჩიანის ადვოკატების განცხადებები. განვმარტავთ, რომ ირაკლი შოთაძე გენერალური პროკურატურის სტაჟიორად დაინიშნა 2006 წლის აპრილში და აღნიშნულ საქმეში პირველ ინსტანციაში განხილვისას ჩაერთო, როდესაც ამავე წლის აგვისტოს თვეში დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. ამ დროს, ირაკლი შოთაძე იყო გენერალური პროკურატურის სტაჟიორი. მას 2007 წელს მონაწილეობა აქვს მიღებული ამავე საქმის სააპელაციო საჩივრის განხილვისას, ამ დროისთვის ის უკვე მუშაობდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში პროკურორად. იმაზე მითითება, რომ ირაკლი შოთაძემ რამე დასკვნა დამალა და საქმეში არ ჩადო არის სრული აბსურდი და არ შეესაბამება რეალობას, ვინაიდან მას წინასწარ გამოძიებასთან არ ჰქონია არანაირი შეხება და საქმეზე არ ახორციელებდა საპროკურორო ზედამხედველობას. ასევე, ის განცხადება, რომ ირაკლი შოთაძე თურმე ახდენს ზეწოლას სააპელაციო სასამართლოზე ასევე სრული აბსურდია. გვიჩიანის ადვოკატების გულწრფელობის გადასამოწმებლად შეგიძლიათ გადაამოწმოთ ირმა ჭკადუას და მალხაზ ჯაგირაშვილის განცხადებები 2013 წლის 31 დეკემბრამდე აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, სადმე თუ იყო თუნდაც გაკვრით ნახსენები ირაკლი შოთაძე. სამწუხაროდ საქმე გვაქვს კონკრეტული პიროვნების მიმართ მიზანმიმართულ კამპანიასთან, რომელიც ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. მსგავსი სახის აბსურდული განცხადებები არა მარტო კონკრეტულ პიროვნებას, არამედ პროკურატურის ინსტიტუციის დისკრედიტაციას ემსახურება". – ნათქვამია განცხადებაში.

მედიანიუსი

## ბადრი პატარკაციშვილის ოჯახსა და საქართველოს სახელმწიფოს შორის გაფორმებული მორიგების შეთანხმება გასაჯაროვდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახსა და საქართველოს სახელმწიფოს შორის 2011 წლის 6 ივლისს გაფორმებულ მორიგების შეთანხმება გამოაქვეყნა. ისინი სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა.

„დოკუმენტაციას ვაქვეყნებთ შემდეგი თანმიმდევრობით: საქართველოს მხარის მიერ დაქირავებული იურიდიული კომპანიის წერილი შეთანხმების დოკუმენტების ორიგინალი ვერსიების გადმოგზავნის შესახებ; მორიგების შეთანხმება; მორიგების შეთანხმებაში შესული ცვლილებები; დამატებითი შეთანხმება; დამატებით შეთანხმებაში შესული ცვლილებები", – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახსა და საქართველოს სახელმწიფოს შორის გაფორმებული მორიგების შეთანხმება დღეს გასაჯაროვდა. შესაბამისი განცხადება იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და პატარკაციშვილის ოჯახის წევრებმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთეს.

მედიანიუსი

# უნდა წავიდეთ თუ არა სოჭის ოლიმპიადაზე

**გულიკო ბალაძე**

ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოჭის ოლიმპიადაზე საერთაშორისო დელეგაციებს აფხაზური წარწერებითა და აფხაზურ-რუსული სიმბოლიკებით დატანილი ავტომანქანები მოემსახურება. ამის შესახებ რუსული მედია იუწყებოდა. მათი ინფორმაციით, მათ რეგისტრაცია უკვე გავლილი უნდა ჰქონდეთ. დაგეგმილი აქვთ 500 აკრედიტაციის გაცემა. აფხაზური წარწერებით ავტომანქანები ოლიმპიადაზე ჩასულ სტუმრებს მოემსახურებიან და პროდუქციას გადაიტანენ.



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ამ საკითხზე მუშაობენ და თუ დადასტურდება, შესაბამის ზომებს მიიღებენ. თუმცა, დღემდე არავის გაგვიგია, რაიმე დასტურდება თუ არა. არც ის ვიცით, დადასტურების შემთხვევაში რა ზომის მიღებას გეგმავს ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ამ პერიოდში იაპონელი ფოტოგრაფი იმყოფებოდა სოჭში, იქიდან აფხაზეთშიც გაისეირნა და ამერიკულ გამოცემაში შთაბეჭდილებები და სურათები გამოაქვეყნა სათაურით „სოჭის აჩრდილქვეშ".

დღეს რუსეთი საქართველოს მისაკუთრებული ტერიტორიებით იბლინძება და თავი მოაქვს, წარსულში თუ უახლოეს პერიოდში დატრიალებული უბედურებების საფასურად, ახლა მსოფლიოს წინაშე თავი მოაქვს, მეზობლებს ათასგვარ პროვოკაციებს უწყობს.

ერთ-ერთი ასეთი პროვოკაცია ამ ოლიმპიადასთან დაკავშირებული საკითხებია, რომელიც დროდადრო ხმაურდება და მეზობელ პატარა საქართველოს დამცირებას უქადის.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯემალ გამახარია ამბობს, რომ თუ სოჭის ოლიმპიადაზე მანქანები აფხაზური წარწერებით იმოძრავებენ, ეს იქნება კიდევ ერთი პროვოკაცია და მტრული გამოლაშქრება რუსეთისა საქართველოს წინააღმდეგ.

*– ბატონო ჯემალ, სოჭის ოლიმპიადაზე თურმე მანქანები იმოძრავებენ წარწერით „აფხაზია". პირველ რიგში, უბრალოდ რომ ვთქვათ, სად ჰყავთ აფხაზებს 400 მანქანა, რომლებიც ამგვარ მომსამხურებას შეძლებენ?*

– თუ ინფორმაცია სინამდვილეა, მაშინ ეს იქნება კიდევ ერთი პროვოკაცია რუსეთის მხრიდან, რომელიც არა თუ ხელს არ შეუწყობს ურთიერთობების დარეგულირებას, რასაც ქართული მხარე მუდმივად ხაზს უსვამს და რუსეთიც იძულებულია ამას სიტყვიერად ანგარიში გაუწიოს, არამედ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას დაძაბავს, კიდევ უფრო გააძლიერებს და წააქეზებს რუსეთის შიგნით ტერორისტული მეთოდებით დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ძალებს. ამგვარი პროვოკაციები ისევ და ისევ რუსეთს ძალიან ძვირად დაუჯდება. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ეს ყოვლად მიუღებელია ყველა თვალსაზრისით. პოლიტიკურად და მორალურად რუსეთის ამგვარი ქმედება არის საქართველოს აბუჩად აგდება და ცინიზმის ისეთი უკიდურესი გამოვლინება, როგორიცაა მავთულხლართების გავლება. როცა, მავთულხლართების გავლების გამო, ადამიანს ტუალეტი აქეთ რჩება, ბოსელი – იქით, საცხოვრებელი სახლი ერთ მხარეს რჩება, სამზარეულო – მეორე მხარეს, რაც საშინელებაა.

*– ეს ხდება შიდა ქართლში.*

– დიახ. ამ დონის ქმედებას შეიძლება შევადაროთ, თუ, რასაკვირველია, გავრცელებული ინფორმაცია გამართლდება. თუ სინამდვილეა, ეს იქნება მორიგი, ძალიან მტრული გამოლაშქრება რუსეთისა საქართველოს წინააღმდეგ.

*– ცოტა შეძლებული სახელმწიფო ვიყოთ, რუსეთის ასეთი პროვოკაციული მოქმედებების გამო, აფხაზეთზე კი არა, სოჭზეც უნდა განვაცხადოთ პრეტენზია, ალბათ...*

– ალბათ, ალბათ...

*– თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენ არ ვართ დღეს შეძლებული ქვეყანა და ამიტომ რუსეთი ყველაფერ ცუდს აკეთებს ჩვენ წინააღმდეგ.*

– ამ შემთხვევაში საქართველოს წინაშე არ დგას ისტორიული ტერიტორიების საკითხი. ახლა დგას, დღეს არსებული კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით აღიარებული საქართველოს კუთვნილი ტერიტორიების პრობლემა. რა თქმა უნდა, სოჭი და იქით მდებარე ტერიტორიები საქართველოს ისტორიული ნაწილებია. ნიკოფსიიდან დარუბანდამდე საქართველო ზღაპარი არ გახლავთ. ნიკოფსია ერქვა ქალაქს ძველ ლაზიკაში, რაც თავისთავად მიგვანიშნებს, თუ ვინ ცხოვრობდა ამ ქალაქში თავის დროზე, მაგრამ ამას ახლა ჩვენ თავი დავანებოთ. ჩვენ არ გვაქვს რუსეთთან ძველი ტერიტორიული პრეტენზიები. დღეს ჩვენ გვაქვს რუსეთთან პრეტენზია იმაზე, რომ მას ოკუპირებული აქვს საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს კონსტიტუციით ჩვენი კუთვნილი ტერიტორიები. ეს პრობლემა გვაქვს რუსეთთან და ეს პრობლემა უნდა გადავწყვიტოთ.

*– თუ რუსეთი ოლიმპიადის დროს მართლაც ამოძრავებს მანქანებს წარწერით „აფხაზია", მსოფლიო საზოგადოებრიობის დამოკიდებულება როგორი უნდა იყოს? ოლიმპიადაზე, მგონი, სამი სპორტსმენი გვეყოლება. ასეთ შემთხვევაში ღირს კი ოლიმპიადაში ამ სპორტსმენების მონაწილეობა?*

– თუ გამართლდა ის, რასაც ჰქვია მანქანების პრობლემა, მაშინ პირდაპირ ვიტყვი, რომ ქართველმა სპორტსმენებმა ამ ოლიმპიადაში მონაწილეობა არ უნდა მიიღონ, რის გამოც მთელი პასუხისმგებლობა რუსეთს დაეკისრება. დარწმუნებული ვარ, მთელი მსოფლიო, თვით რუსეთის საზოგადოებაც, პასუხისმგებლობას ამ პროვოკაციაზე დააკისრებს რუსეთის ხელისუფლებას და არა ქართულ მხარეს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა გალაგაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# შალვა ოგბაიძე: „26 მაისის ღამეს გაიცა ბრძანება, რომ ყველანი რუსთაველზე ჩავეხოცეთ!“

## რატომ გაიქცა ვანო მერაბიშვილი სასამართლოდან

შორენა მარსაგიშვილი

**ვანო მერაბიშვილს ბევრ რამეზე ედავებიან. ერთ-ერთი მათგანი 2011 წლის 26 მაისის ღამეს ჩატარებული სპეცოპერაციაა, რომლის დროსაც 4 ადამიანი დაიღუპა, ათასამდე კი დაშავდა. ასეულობით ადამიანი ციხეებში გამოკეტეს. ნაციონალური მოძრაობა მაშინაც და ახლაც თავგამოდებით ცდილობს ამ სადამსჯელო ღონისძიების გამართლებას.**

თბილისის საქალაქო სასამართლოში უკვე რამდენიმე თვეა, ამ საქმის განხილვა მიმდინარეობს. რამდენიმე კვირის წინ ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ კიდევ ერთხელ გასცემდა იმ ბრძანებას, რომელიც 2011 წლის 26 მაისს გასცა.

26 მაისის საქმეზე 16 იანვარს სასამართლოს ჩვენება „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა შალვა ოგბაიძემ მისცა. იმ სადამსჯელო ოპერაციის დროს მას განსაკუთრებული სისასტიკით სცემეს. სასტიკად სცემეს მის შვილებსაც.

როდესაც ოგბაიძემ სასამართლოსთვის ჩვენების მიცემა დაიწყო, განსასჯელის სკამზე მჯდარი ვანო მერაბიშვილი სხდომათა დარბაზიდან პროტესტის ნიშნად გავიდა. მის ნაბიჯს საზოგადოებაში სხვადასხვანაირი შეფასებები მოჰყვა. გულუბრყვილო საზოგადოებამ ისიც კი გაიფიქრა, რომ მერაბიშვილი სინდისმა შეაწუხა.

მერაბიშვილის სხდომიდან გავარდნის მიზეზზე შალვა ოგბაიძე ასე არ ფიქრობს. მისი თქმით, ეს ნაბიჯი სხვა მიზანს ემსახურებოდა. რატომ გაიქცა მერაბიშვილი, რას ემსახურება სააკაშვილის განცხადებები, რისი უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, ამ და სხვა თემებზე შალვა ოგბაიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

*— 16 იანვარს 26 მაისის დარბევასთან დაკავშირებით სასამართლოს ჩვენება მიეცით. როგორც კი ჩვენების მიცემა დაიწყეთ, ვანო მერაბიშვილმა სხდომა დატოვა. რას უნდა მივაწეროთ მისი ასეთი რეაქცია?*

— როდესაც ადამიანი დროებით უძლურებაშია ან დროებით თავისუფლება აქვს ალკვეთილი, მასზე ნიშნის მოგებით არ უნდა ისაუბრო. ასეთ ჯანით და სულით შეჭირვებულ ადამიანებზე უკვე ქართული ეკლესია ზრუნავს. ვანოს თავისი გასჭირვებია უკვე. მეტი რა გზა აქვს, უნდა ადგეს და პროტესტი გამოხატოს.

*— გაჩნდა მოსაზრება, რომ ის სინდისმა შეაწუხა და ამიტომ დატოვა სხდომა. ამისი გჯერათ?*

— ეჭვი მეპარება, რომ ასე მომხდარიყო. საერთოდ, ცუდი პროგნოზისტი ვარ, მაგრამ მაქვს გონივრული ეჭვი, რომ მერაბიშვილს სინდისი საერთოდ არა აქვს და, როცა არა აქვს ეს სინდისი, როგორ შეაწუხებს.

*— აბა, რას ემსახურებოდა მისი ასეთი ქცევა, შინაგანი ხმა რას გკარნახობთ, რატომ გავარდა?*

— ეს არის ჩვეულებრივი ეპატაჟური გამოხდომა. ის თავის მომხრეებს აჩვენებს, მაგრად იყავითო. ყინჩად ზის და ცდილობს, შეინარჩუნოს სახე. არ სურს, რომ ერთ დროს ძლევამოსილი ადამიანი მისმა მომხრეებმა დაჩაჩანაკებული და დაბეჩავებული იხილონ. ამიტომაც მიმართავს ეპატაჟურ გამოხდომებს. ან რომ დარჩენილიყო, რა უნდა ეთქვა? ფაქტი არ არის, რომ ხალხი დახოცეს? დადასტურებულია, რომ ხალხს იტაცებდნენ და აწამებდნენ, ქონებას ართმევდნენ. ფაქტია, რომ რამდენიმე ადამიანის ხელში იყო სახელმწიფოს მართვა. რომელი ერთი ჩამოვთვალო., როგორც იურისტები ამბობენ, ფაქტი ჯიუტია. ახლა მის ლაპარაკს აზრი აღარ აქვს. ნაცმოძრაობას ქურდული სამყაროს იერარქიასთან ბევრი აქვს საერთო. ამიტომაც სლენგით ვიტყვი, ახლა მერაბიშვილი ცდილობს, პირველ ჩვენებას მიაწვეს.

*— ეს პირველი ჩვენება რომელია, აქციის მონაწილეები რომ კრემლის დავალებას ასრულებდით?*

— ამ აზრის პედალირებას ცდილობენ მისი ადვოკატებიც. ადვოკატებსაც არ ვამტყუნებ. სააკაშვილს, უგულავას. მერაბიშვილს, კეზერაშვილსა და ადეიშვილს უფულო ხალხს ვერ უწოდებ. ადვოკატს ფული უნდა, ამიტომაც არ ვამტყუნებ. ცდილობენ, გამოკვეთონ ვერსია, რომ ის, რაც 26 მაისის ღამეს მოხდა, რამდენიმე აღელვებული პოლიციელის მიერ ძალის გადამეტება იყო. თურმე ეს არ იყო დავალებით გაკეთებული და ეს არ იყო სისტემური დანაშაული.

*— ეს რამდენიმე ათასი კაცი ალყაშიც რამდენიმე აღელვებულმა პოლიციელმა მოგაქციათ?*

— რა თქმა უნდა, რამდენიმე აღელვებულმა პოლიციელმა მოახერხა ეს. ჩვენც აღელვების ნიადაგზე საჯარო ბიბლიოთეკასთან მოგვივიდა ჩხუბი რამდენიმე სპეცრაზმელთან. იქ ერთი წიგნი იყო, არა, მე უნდა წავიკითხო, არა, მეო და ამ ნიადაგზე ვიჩხუბეთ. სულაც არ ყოფილა დავალება გაცემული, ამოხოცეთ და ჩაკალითო. კარგად ვიცი, ასეთი ბრძანება იყო გაცემული, რომ რუსთაველიდან გაულახავი არავინ გასულიყო.

*— საიდან იცით ამ ბრძანების შესახებ?*

— მე თავად მოვისმინე ეს ბრძანება. როცა ერთმა პოლიციელმა ჩამიარა, მის რაციაში ისმოდა, ჩაკალით, მაგათიო.

*— ვინ იყო, ვინც ამ ბრძანებას იძლეოდა?*

— ვინ იძახდა, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ, იქნებოდა ის, ვისაც ბრძანების გაცემის უფლება აქვს. სახელებითა და გვარებით გვეძებდნენ რუსთაველზე. ასე რომ, ახლა ნაკლებად საინტერესოა მათი ლუღლუღი. ახლა მთავარია ის პოლიტიკური ნება, რომელიც გვიან, მაგრამ მაინც გამოჩნდა. საუბარი მაქვს სამართლიანობის ნაწილობრივ აღდგენაზე. მინდა, რომ ეს მინავლებული ნაპერწკალი გაღვივდეს და გადაიქცეს იმ ცეცხლად, რომელიც მართლა ააგიზგიზებს სამართლიანობის კოცონს. ამ კოცონზე ყველა უნდა შეიწვას, ვინც ცუდი საქმეები ჩაიდინა. სხვანაირად არაფერი გამოვა. თუ სამართალი არ იქნება, არ იქნება მშვიდობა და ძალიან ცუდია, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები უარს ამბობენ სამართლიანობის აღდგენაზე. ლევან ბერძენიშვილი ამბობს ასეთ რამეებს. მას ყველაფერი დაჰყავს ფულზე, ამბობს, იცით, რა, სამართლიანობა ვერ აღდგება, იმიტომ რომ ფული არ არისო. სახელმწიფომ სამართლიანობის აღდგენაზე თუ აიღო ვალდებულება, ჩათვალეთ, რომ საქართველო, სახელმწიფო დაიქცევა. დი-



დი ბოდიში, მაგრამ ხელისუფლებაში რომ მიდიოდა, მაშინ არ იცოდა, რომ ეს ვალდებულება უნდა აეღო? არ იცოდა, რომ ისინი ძველი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეები არიან? მერე რა, თუ ის ხელისუფლება ახლით შეიცვალა, ის ვალი არ უნდა გადაიბაროს? აბა, რისთვის მოვიდნენ ხელისუფლებაში. დიდი ბოდიში, მაგრამ ამ თეზას, რომელსაც დაჟინებით გვიმეორებენ, მე ნამდვილად ვერ მივიღებ. ნუ დაჰყავთ ყველაფერი ფულზე.

*— და თუ ფულია საჭირო?*

— არ არის მთავარი ფული. აქ მთავარია სახელმწიფოს დამოკიდებულება. სახელმწიფომ დაზარალებული უნდა ცნოს დაზარალებულად, ხოლო დამნაშავე ცნოს დამნაშავედ. აუცილებლად უნდა მოხდეს გასამართლება და ამ ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურება, თუნდაც ასი წლის მერე.

*— იქნებიან ამაზე თანახმა დაზარალებულები?*

— ეჭვიც არ მეპარება, რომ მოითმენენ. არავინ არ არის ისეთი შეუგნებელი, რომ არ დაინახოს სახელმწიფოს მდგომარეობა. ყველა გაგებით მოეკიდება, თუმცა ვერავინ მიიღებს იმ შეთავაზებას, რომ ეს ყველაფერი უნდა დავივიწყოთ.

*— ლევან ბერძენიშვილმა ისიც თქვა, რომ სააკაშვილის დაპატიმრებას საზღვარგარეთი არ მოიწონებს. ეს რას ნიშნავს?*

— ლევან ბერძენიშვილს პიროვნულად მე უდიდეს პატივს ვცემ. რას იზამდა, მის თვალწინ მისი შვილები რომ ეწამებინათ და ეს სააკაშვილის უშუალო ბრძანებით მომხდარიყო. მისთვის რომ ეთვალთვალებინათ, მისთვის რომ ეცემათ, საპატიმროში რომ გამოეკეტათ. წაერთმიათ ქონება? მთელი ის უბედურება რომ გადაეტანა, რომელიც ჩვენმა კოლეგებმა გადაიტანეს, მაშინაც ასე იტყოდა.

*— ციხეში თავის დროზე ლევან ბერძენიშვილიც იჯდა.*

— მერე, ვინ უკარგავს მაგას. ერთ-ერთი მე ვიყავი, ვინც სოლიდარობას უცხადებდა მას. ჩვენ დაშვებული თუ დაუშვებელი მეთოდებით ვიბრძოდით, რომ ის რაც შეიძლება მალე გამოსულიყო გარეთ. მაგრამ მას ეს რატომლაც დაავიწყდა. მაშინ რატომ არ აპატია მან ეს ყველაფერი კომუნისტებს? ამიტომ ამის თქმა არ შეიძლება, რომ ჩვენ უნდა ვაპატიოთ და დავივიწყოთ. ამბობენ, ასე რომ გავაკეთოთ, ამერიკა რას იტყვისო. ეს არის ყველაზე უსუსური არგუმენტი.

*— გვინდა თუ არა, ამერიკისთვის მაინც გვიწევს ანგარიშის გაწევა.*

— წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ჯო ბაიდენის შვილი მის თვალწინ რომ აწამონ და ეს მხოლოდ იმიტომ გააკეთონ, რომ ის მხარს უჭერს არა ობამას, არამედ პრეზიდენტობის სხვა კანდიდატს. ობამამ ამის შემდეგ რომ უთხრას, ხმა არ ამოიღო, რას იტყვის ევროპაო, წარმომიდგენია, რა მოხდება ამერიკაში! ეს ორმაგი სტანდარტები არ შეიძლება. რაზეც ამერიკას გადაწვავენ და გადადგამენ, იმის პატიება საქართველოში როგორ შეიძლება?! საქართველოს ეს ორმაგი სტანდარტები დაღუპავს. მე რაში მჭირდება ისეთ სახელმწიფოსთან მეგობრობა, რომელიც საქართველოში დემოკრატიის შელახვაზე თვალის დახუჭვისკენ მომიწოდებს. ეს ორმაგი სტანდარტი ჩვენს თანამემამულეებს ამერიკას შეაძულებს.

*— ამერიკელები ვახსენეთ და რას იტყვით ამერიკული „დენსუსის“ დასკვნაზე, რომელიც 26 მაისის დარბევაზე გაკეთდა?*

— მე ასეთი ორგანიზაცია არ ვიცი. გამოკვლევა გულისხმობს ამა თუ იმ მოვლენის ყველა მონაწილის გამოკითხვას. არც ჩემთან, არც ჩემს მეგობრებთან, არც აქციის სხვა მონაწილეებთან არავინ მისულა, მით უმეტეს, არავის უსაუბრია მათთან. ამიტომ მე თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ის ერთი ერთზე იმეორებს ვანო მერაბიშვილის დასკვნას. ეს არის ვანოს დასკვნა ამერიკული შეფუთვით. რატომ ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება? იქნება მოგვეჩვენა ამდენი სისხლი, ამდენი ძალადობა და ძალის გადამეტება, იქნებ ვიტყუებით, გამოიკვლიონ ამერიკელებმა. რა კარგია იმის თქმა, ვიყავით შენობაში და იქიდან ვადევნებდით თვალსო. ეს ენამასხარა სააკაშვილის დამსახურებაა. მან ამერიკელი კოლეგები გათქვა. სააკაშვილს ახლა სერიოზული საფრთხე შეექმნა მოპარული ფულის რეალიზაციის საქმეში. დარბის პარიზში, საფრანგეთის ხელისუფლებას მუხლებზე უდგება, რომ გირაოთი გამოუშვან კეზერაშვილი. „დენსუსის“ დასკვნაზე საუბარი მისი მხრიდან მსუბუქი შანტაჟის ფორმა იყო.

*— რისი მიღწევა სურდა?*

— ამით მან ამერიკელებს მიმართა: ჩემო ძმებო, თუ თქვენ არ მომხედავთ, მე უფრო მეტს ვიტყვიო. ეს იყო და ეს.

*— „დემოკრატიულ მოძრაობასა“ და სახალხო კრებას გედავებიან, იმასაც, რომ თქვენ დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ზეიმისა და სამხედრო აღლუმის ჩაშლა გსურდათ. ამის შესახებ განცხადება აშშ-ის მაშინდელმა ელჩმა ჯონ ბასმაც გააკეთა.*

— დავა მორევაზეა. მათ გამოთქვეს ეს მოსაზრება. ეს მოსაზრება ერთი ერთზე ემთხვევა სააკაშვილის რეჟიმის პოზიციას. საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს ყოველგვარი სანქციის გარეშე უფლება აქვს, რომელიმე პარტიის ეგიდით ან ცალკე შეიკრიბოს ჭერქვეშ ან ღია ცის ქვეშ და გამოხატოს პროტესტი. მე ამისათვის არავითარი სანქცია არ მჭირდება. რაც შეეხება 26 მაისის სამხედრო აღლუმის ჩაშლას, ეს იყო არა აღლუმის ჩაშლა, არამედ პროტესტის გამოხატვა. ჩვენ გვქონდა რამდენიმე მოთხოვნა — ვითხოვდით რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს, პოლიციის დეპოლიტიზებას, მედიისა და ბიზნესის გათავისუფლებასა და ნორმალური საარჩევნო გარემოს შექმნას. მე კონსტიტუციით მქონდა ეს უფლება და გამოვიყენე კიდევაც. არავის აქვს უფლება, ამიკრძალოს. თუ გზას ვკეტავ და მოძრაობას ხელს ვუშლი, პოლიციამ უნდა გადამიყვანოს გზის სავალი ნაწილიდან. თუ არ ვემორჩილები, უნდა დამაპატიმრონ, მაგრამ მას ჩემი და ჩემი შვილების წამების უფლება კონსტიტუციით არა აქვს. აი, ეს არის კანონი. მე ვარ კანონმორჩილი ადამიანი. 26 მაისის ზეიმი არ იყო სააკაშვილის ღონისძიება. დამოუკიდებლობის დღის ზეიმი იყო ყველას ზეიმი. ამაზე ექსკლუზივი სააკაშვილს არ ჰქონია. ჩემი და ჩემი მეგობრების შინაგანი პროტესტი იყო ის, რომ მიწაზე მფორთხავ მთავარსარდალს აღლუმი არ უნდა ჩაებარებინა. ჩემი მეგობრები და ჩემი შვილები აგვისტოს ომში მოხალისეებად წავიდნენ. მეც ჩავეწერე, მაგრამ ომი ძალიან სწრაფად დამთავრდა. ამ დროს ეს მხედართმთავარი თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე ფორთხავდა. მე არაფერში მჭირდებოდა ასეთი მშიშარა და ქვეშაფსია მხედართმთავარი. მას არ ჰქონდა მორალური უფლება, ყინჩად დამდგარიყო და სამხედრო აღლუმი ჩაებარებინა. მან შექმნა პოლიტპატიმრები, გადაავსო ციხეები უდანაშაულო ადამიანებით. ცალკეული ბიზნესის მონოპოლია შექმნა, გაიფურჩქნა ნეპოტიზმი. მთელ სახელმწიფოს მართავდნენ ძალოვნები მერაბიშვილ-ადეიშვილის თამადობით. თითო ადამიანზე თითო თვალი იყო მიჩენილი. თუ ღმერთი ვინმეს გაუწყრებოდა და სხვანაირად დაიწყებდა ფიქრს, მისთვის გამოწერილი იყო სააკაშვილის სასჯელი, დაუწიოკებდნენ ოჯახს, გამოაგდებდნენ სამსახურიდან, ნარკოტიკს ჩაუდებდნენ, ქონებას ჩამოართმევდნენ და ვაი იმას, ვის ქონებასაც თვალს დაადგამდა რომელიმე ნაციონალი. მე არაფერში მჭირდებოდა ქვეყნის ასეთი მეთაური. მისი მმართველობის დროს იზღუდებოდა ადამიანის ელემენტარული უფლებები. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი აქცია. ამიტომაც გადავწყვიტეთ სახალხო კრებამ და დემოკრატიულმა მოძრაობამ პროტესტის გამოხატვა. დიახაც, ჩვენ გვქონდა უფლება, გამოგვეთქვა ღია პროტესტი, რასაც არავითარი სანქცია არ სჭირდებოდა. თუ ხალხი შეიკრიბებოდა და გზას გადაკეტავდა, ეს დასჯადია. როდესაც ბევრი ხალხია და ბუნებრივად ხდება გზის გადაკეტვა, ეს ნებადართულია. ჩვენ იქ კანონი არ დაგვირღვევია და ნურაფერს დაგვაბრალებენ. თუნდაც დაგვერღვია, ეს არ იყო იმის საფუძველი, რომ ჩვენ მოვექციეთ ალყაში და ჩაეტარებინათ სპეცოპერაცია. იყო ბრძანება, რომ ძვლებში უნდა გადავემტვრიეთ და გააკეთეს კიდევაც.

*— რამდენი ადამიანი დაშავდა იმ დარბევისას?*

— თითქმის ათასამდე ადამიანი დაზარალდა. მათ სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღეს. უცემელი არავინ გამოსულა. ასეთი იყო ბრძანება და ეს შეასრულეს.

*— ნაციონალები და მერაბიშვილი ხშირად აპელირებენ იმ სატელეფონო საუბრით, რომელიც ვითომ ნინო ბურჯანაძესა და მის შვილს შორის შედგა. თითქოს ისინი გრუ-ს შემოსვლას ელოდნენ.*

— ამ ბრალდებაზე ერთი ბუნებრივი შეკითხვა მებადება. თუკი სააკაშვილმა ეს იცოდა, რატომ არაფერი არ გააკეთა. მის ხელში იყო მთელი ძალაუფლება და რატომ არ დაიჭირეს ნინო ბურჯანაძე და მისი შვილი? ხომ თვითონაც დაისვენებდა და ჩვენც დავისვენებდით. ეს ისეთივე მოგონილია, როგორც მოლოტოვის კოქტეილი და უამრავი რამ. ეს ისეთივე მოგონილია, როგორც 2009 წელს მოგონილი ზღაპრები. მაშინ მძლავრი აქციები დაიწყო. აქციებამდე ცოტა ხნით ადრე გვაჩვენეს შავ-თეთრი კადრები, რომლის თანახმადაც, ოპოზიციის მხარდამჭერები ბავშვის საძინებელში „მუხებსა“ და ტანკსაწინააღმდეგო ჭურვებს ინახავდნენ თურმე. ეს ეტაპი საქართველომ გაიარა. ასეთი ზღაპრები საქართველოზე აღარ ჭრის. რომელ გრუ-ზეა ლაპარაკი? რაც დაიპყრეს, დაიპყრეს რუსებმა. ამან არ იკმარა და ახალგორი კოდორთან ერთად ლანგრით მიართვა. არც ერთ მომხდურს იმდენი ზარალი არ მიუყენებია საქართველოსთვის, რამდენიც სააკაშვილმა მიაყენა თავისი უტვინო და უგვანო ქმედებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამაზ საყვარელიძე: „ხელისუფლებამ ხალხს ანგარიში უნდა ჩააბაროს“

ნათია ხურცილავა

### ინტერვიუ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესთან

*– ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებთ ჟურნალისტებთან, ექსპერტებთან შეხვედრისა და კითხვებზე პასუხის ტრადიციას? როგორც ითქვა, ეს ტრადიცია ბიძინა ივანიშვილმა დაამკვიდრა. ღარიბაშვილისგან მივიღეთ პირობა, რომ ის გააგრძელებს მისი წინამორბედის ტრადიციას და არა მხოლოდ ის, არამედ მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლებიც შეხვდებიან ჟურნალისტებს და ყველა კითხვას პასუხი გაეცემა.*



– საქართველოს ყველა მოქალაქე, დარწმუნებული ვარ, დადებითად შეაფასებს ხელისუფლების ასეთ რეგულარულ ანგარიშგებას საზოგადოების წინაშე, რასაც ჟურნალისტებთან შეხვედრა და მათ კითხვებზე პასუხის გაცემა ჰქვია. მე არ დავიწყებდი ჟურნალისტებთან შეხვედრების ტრადიციას მხოლოდ ივანიშვილიდან, რადგან შევარდნაძესაც ჰქონდა ასეთი ტრადიცია, მაგრამ, იმდენად დიდი წყვეტა მოხდა ცხრა წლის განმავლობაში, იმდენად შეაქცია ზურგი საზოგადოებასთან ამ ფორმით ურთიერთობას სააკაშვილმა, რომ დაგვავიწყდა კიდეც, ასეთი ვალდებულების წინაშე თავისთავად რომ არის ქვეყნის მეთაური. დემოკრატია მოითხოვს, რომ ვისი ფულითაც მუშაობს ხელისუფლება, მათ წინაშე რეგულარულად იყოს ანგარიშვალდებული, მიაწოდოს ინფორმაცია. რაც შეეხება პრემიერ ღარიბაშვილის შეხვედრას ჟურნალისტებთან, თავად ფაქტი მისასალმებელია. მისასალმებელია ისიც, რომ ღარიბაშვილმა მისასალმებელი სიტყვის შემდეგ დრო მთლიანად ჟურნალისტების კითხვებს დაუთმო. ამით პრემიერმა თავისი დამოკიდებულება გამოხატა, რომ მეტი დრო კითხვებისთვის დაეთმო. თუმცა, არ არის გამორიცხული, სამომავლოდ უკეთესი იყოს ერთგვარი შესავალი სიტყვა, რადგან ჟურნალისტები მაინც ამოდიან იმ თემებიდან, რომლებიც მედიაშია აქტუალური. შეიძლება, მთავრობის მეთაურს სხვა აქცენტები უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდეს. განსხვავება პოლიტიკოსისა და ჟურნალისტების აქცენტებს შორის ყოველთვის იყო და იქნება.

*– როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა აქტუალური პრესკონფერენციის აქცენტები, რამდენად ეხმიანებოდა საზოგადოების პრობლემებს პრემიერი, თუნდაც პრესა თავისი კითხვებით?*

– რთული კითხვაა. რადგან სიტყვა „აქტუალური“ ძალიან ბევრს იტევს. საზოგადოებისთვის აქტუალურია ის საკითხები, რომლებიც საზოგადოებაში ტრიალებს, მაგრამ აქტუალური სახელმწიფოსთვის შეიძლება სხვა იყოს, რაც საზოგადოებისთვის დაფარულია. ხშირად შეიძლება, თუნდაც ექსპერტებმა, რომლებიც მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ პროცესებს თვალყურს ადევნებენ, სრულიად სხვა პრობლემა წამოსწიონ და ჟურნალისტებმა – სრულიად სხვა, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია მკითხველისა თუ მაყურებლის ყურადღების მიპყრობა. ამდენად, ეს ყოველთვის არ გულისხმობს ერთმანეთს. ის, რაზეც მოსახლეობა ყურადღებას გაამახვილებს, არ ნიშნავს, რომ ყოველთვის მნიშვნელოვანია. ჟურნალისტების კითხვები უდავოდ იყო ის კითხვები, რომლებიც მედიასივრცეში ტრიალებს და ქართველი საზოგადოებაც, ნებსით თუ უნებლიეთ, იკვებება ამ თემატიკით. რამდენიმე შემთხვევაში ჰქონდა პრემიერს იმაზე აქცენტი – სხვა რამე მკითხეთ, ეს კითხვები გამეორდაო. ამ მონაკვეთში პრემიერის გაგება შეიძლება, როდესაც ვთქვი, შესავალი სიტყვა აუცილებელია, სწორედ იმიტომ, რომ შემხვედრი კითხვებიც დაისვას.

*– თქვენ ამბობთ, რომ გაკეთებულის ერთგვარი წარმოჩენა და მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება შესავალ სიტყვაში ამას გულისხმობთ?*

– უდავოდ, რადგან ეს ნაკლი ნამდვილად არის. დღევანდელი ხელისუფლების მუშაობაში, მაგრამ შეიძლება, პრობლემატიკაზე იყოს ინფორმაცია.

*– კომუნიკაციის პრობლემაზე ხშირად იყო საუბარი. საუბრები იყო, რომ წინა ხელისუფლება პიარით არსებობდა, ამ ხელისუფლებას კი პიარი არ უყვარგა. რას იტყვით?*

– სიმბოლურად გეტყვით, მე ხელოსანი რომ დავიქირაო და ბინის რემონტი შევუკვეთო, მაგრამ შემითანხმდეს, რომ ორი-სამი თვე რემონტს მოუნდება და არც ერთხელ შიგნით არ შემიშვას, ხომ ვიქნები უკმაყოფილო, როგორც დამკვეთი, რადგან შეიძლება დამხვდეს ისეთი ბინა, რომელიც სულ არ იყო ჩემ მიერ ჩაფიქრებული. ამიტომ რეგულარული ინფორმაციის მიწოდება, თუ როგორ სრულდება დაპირება, რის გამოც აირჩიეს, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი პოლიტიკური ძალაა, ძალიან მნიშვნელოვანია. დამკვეთი ამ შემთხვევაში ხალხია, ამომრჩეველი, რომელიც ინფორმირებული უნდა იყოს. რეგულარული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება აქვს ხალხს. როგორც ერთ კონკრეტულ დამკვეთს, მაგალითად, მე მჭირდება რეგულარული ინფორმაციის მიწოდება, თუ როგორ მიდის ის პროცესი, რომელშიც მე ვიხდი ფულს, ასევე მოქალაქეების რეგულარული ინფორმირებულობა აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება მივიღოთ ის, რაც მიგვიღია რამდენჯერმე. მათ შორის წინა ხელისუფლების პირობებში, როდესაც ხალხი გვიან აღმოაჩენს, რომ თურმე მის მიერ დაქირავებული ხელისუფლება ისე არ იქცევა, როგორც უნდა იქცეოდეს ან ისინი ელოდნენ.

*– კომუნიკაცია მნიშვნელოვანი რგოლია?*

– დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი რგოლია. თუ ეს რგოლი არ არის მოწესრიგებული, ისე ქვეყნაში დემოკრატიაზე საუბარი ზედმეტია.

*– ბატონო რამაზ, ეს ხელისუფლებას გაცნობიერებული აქვს თუ ფიქრობთ, რომ ფორმალური სახეა?*

– ჩვენს რეალობაში ამის მიღწევა, შეიძლება ითქვას, არც ისე მარტივია. ჩვენ, ყველა ვამბობთ, რომ დემოკრატია გვინდა, მაგრამ დემოკრატიის მექანიზმი რაში მდგომარეობს, რას გულისხმობს, რთულად გასაგებია. უპირველესად ყოვლისა, დემოკრატია გულისხმობს თავისუფალ არჩევნებს, მაგრამ, ამავე დროს – თავისუფალ და ინფორმირებულ არჩევნებს. ვგულისხმობ ინფორმირებული მოსახლეობის მიერ გაკეთებულ არჩევნებს. ამიტომ ხშირად, ვისაც დიქტატურისკენ მიუწევს გული, ის თავისუფალი არჩევნების საშუალებას მისცემს ხალხს, მაგრამ ინფორმაციას არა, რომ სრული არჩევანი გააკეთოს მოსახლეობამ. ამდენად, ინფორმაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დემოკრატიული მმართველობისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, დემოკრატიასთან საქმე არ გვაქვს. თითქმის ყველა დიქტატორულ რეჟიმში, სადაც არჩევნები დაშვებული იყო, მაგალითად, საბჭოთა რეჟიმში ერთი მექანიზმი იყო ის, რომ რეალური ინფორმაცია ხალხს არ ჰქონოდა და ამას პროპაგანდა ერქვა. თუ ეს რგოლი არ იქნა დაცული, მაშინ შეიძლება დიქტატურა მიიღო. ამიტომაა ეს რგოლი ძალიან მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი. ამიტომაა მისასალმებელი ხელისუფლების ეს სტრატეგია, რომ მან რეგულარულად ჩააბაროს ანგარიში მასმედიას.

*– თქვენი აზრით, თუ აქვს გაცნობიერებული ქვედა რგოლს, რომ ეს უმნიშვნელოვანესია, მაგალითად, მინისტრის მოადგილეებს, მინისტრებს. ინფორმაცია ხომ ძირითადად იქ გროვდება?*

– ვერ გეტყვით, რამდენად აქვს ეს ქვედა რგოლს გაცნობიერებული, სადაც მართლაც გროვდება ინფორმაცია.

*– რომელი სამინისტრო უფრო დახურულია და რომელი უფრო ღია, უკვე ჩანს.*

– დიახ, ჩანს. მინდა აღვნიშნო, რომ, როგორც წესი, ბავშვი ტყუილის თქმას იწყებს მაშინ, როდესაც რაღაც აქვს დაშავებული. სკოლაში ხუთიანი თუ მიიღო, არ დამალავს. თუ ორიანი მიიღო, მაშინ იტყუება და მალავს. ის სამინისტროები და სტრუქტურები, ზოგადად, სადაც რაღაც შავდება, დაიწყებენ ინფორმაციის დამალვას და არა ისინი, რომლებსაც წარმატება აქვთ. წარმატებული სტრუქტურები ეცდებიან, ყოველ შემთხვევაში, უნდა ეცადონ, რომ გაასაჯაროონ.

*– შეგიძლიათ დაგვისახელოთ წარმატებული სამინისტრო?*

– ერთ-ერთ წარმატებულ სტრუქტურად ვთვლი ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს. სხვადასხვა გზით, მათ შორის ინფორმაციის მიწოდებით, რომელიც ბოლო პერიოდში გახშირდა, იგებ, რომ ამ მიმართულებით უამრავი რამ კეთდება, თუმცა, ბოლო ხანს იგებ. მანამდე პროცესი ისე მიდის, რომ ფართო საზოგადოებამ არ იცოდა. ახლაც დიდი ეჭვი მაქვს, რომ ახლაც ვერ ხვდება ფართო საზოგადოება, რადგან ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიტანას კიდევ სხვა ტექნოლოგია უნდა. მშრალი სამთავრობო ანგარიშის ფორმით ვერ იგებს ჩვეულებრივი მოქალაქე და დასკვნას ვერ აკეთებს, თუ რა ხდება. ამიტომაც არსებობს პიარი, როგორც ცალკე სფერო, რომელმაც მშრალი ფაქტები საზოგადოებისთვის გასაგები უნდა გახადოს, რომ ადამიანს მეხსიერებაში დარჩეს, ანალიზი გააკეთოს და სწორედ ამ ანალიზის შედეგად მოგვიანებით, არჩევნების დროს, სწორი და ინფორმირებული არჩევანი გააკეთოს.

# ნუკრი ქანთარია: „ნაციონალებს ლაპარაკის გარდა სხვა აღარაფერი დარჩენიათ“

შორენა კოწოწაშვილი

### ინტერვიუ საპარლამენტო უმრავლესობის წევრ, დეპუტატ ნუკრი ქანთარიასთან

*– ბატონო ნუკრი, ხელისუფლების კრიტიკა საბიუჯეტო პრობლემების, გაზრდილი საგარეო ვალებისა და ძვირადღირებული „ჯიპების“ თემის გამო სულ უფრო აქტიურად ისმის, რაც, თავის მხრივ, უკმაყოფილებას იწვევს ამომრჩეველში, რომელმაც ხმა სწორედ „ქართულ ოცნებას“ მისცა. ოპოზიციაში ფიქრობენ, რომ პრემიერ-მინისტრს მოუწევს მთავრობაში საკადრო ცვლილებების გატარება. ხოლო თუ ღარიბაშვილი ამას არ გააკეთებს, საპარლამენტო უმრავლესობის დისკრედიტაციის გაღრმავებას პროგნოზირებენ. რას იტყვით ამ კუთხით?*

– მე მგონი, ყველაფერი ლოგიკურად მიდის, ბუნებრივი პროცესია. ორი წელია, რაც ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით, ვგულისხმობ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას. იყო გადაჭარბებული მოლოდინი, მაგრამ რაც არ უნდა მოლოდინი ყოფილიყო, ბუნებრივია, უნდა ვიცოდეთ, რომ რა დაპირებებიც იყო გაცემული, უცებ ვერ შესრულდებოდა. ეს გადაჭარბებული მოლოდინი იყო ბიძინა ივანიშვილის ფაქტორიდან, მისი ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე. ზოგს ეგონა, რომ რამდენიმე თვეში აყვავდებოდა ქვეყანა, დაინიშნებოდა პრემიები, სტიპენდიები და ა.შ. ბუნებრივია, ასე არ ხდება. დაპირებები იყო გათვლილი 4 წელზე. აღმოჩნდა ხალხის ძალიან დიდი და აქტიური ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც თამაშის მიღმა დარჩა. ბუნებრივია, რაღაც პერიოდის შემდეგ მათ მოედანზე შესვლა მოინდომეს და ამას ყველანაირი ხერხით ცდილობენ. ახლა ისინი ნაციონალების დარტყმას ნაკლებად ცდილობენ და უნდათ დაარტყან ხელისუფლებას. ეს თემა მათ გარკვეულ ორბიტაში მოხვედრის შანსს აძლევს. ვგულისხმობ, იმ პატარა პარტიებს, რომლებიც მარტო ერთი კაცისაგან შედგება, უფრო სწორად, ჩვენ ამ პარტიიდან მხოლოდ ერთ კაცს ვიცნობთ. შეიძლება ეს ადამიანები, როგორც ინდივიდები, ღირსიც არიან, რომ პარლამენტში ისხდნენ, მაგრამ მათი პარტიული ინფრასტრუქტურა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ისინი ახლა გავლენას ახდენდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ამიტომ ისინი ყველანაირად ცდილობენ პოლიტიკურ ველში როგორმე შევიდნენ. რაც შეეხება მთავრობისადმი ჩემ დამოკიდებულებას, პრინციპში, ახალი მთავრობაა. ჩემი აზრით, ყველა მინისტრი არის ძალიან წესიერი, რაც წინა მთავრობას აკლდა. ღრმად მწამს, რომ სახლში წაღებაზე ისინი არ ფიქრობენ. ისინი საქმის გაკეთებაზე ფიქრობენ. ზოგს ეს მეტად კარგად გამოსდის, მეტი პროფესიონალიზმი და მეტი ნიჭი და უნარი აქვს, ზოგს – შედარებით ნაკლები. ვფიქრობ, ჯერ არ დამდგარა ის დრო, როდესაც რადიკალური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს აღმასრულებელი მთავრობის ხელმძღვანელმა, ვგულისხმობ პრემიერ-მინისტრს და რომელიმე მინისტრი გაათავისუფლოს. რაც შეეხება ბიუჯეტს, მართალია ეს მწირი ბიუჯეტია, მაგრამ ეს არის პატიოსანი ბიუჯეტი. ეს არ არის ადამიანების ღამით სახლებიდან გაყვანის შედეგად, ძალდატანებით ქონების გადაფორმებით შევსებაზე აგებული ბიუჯეტი. ეს არის ის, რაც ამ ეტაპისთვის არის შესაძლებელი. ეს არ იწვევს შიშს. როგორც სპეციალისტები ამბობენ, არის სერიოზული შანსი, რომ მომავალი წლიდან მოხდეს ამ ბიუჯეტის გაზრდა, ინვესტიციების შემოსვლა. ამ მხრივ ჯერჯერობით საგანგაშოს ვერ ვხედავ. თუმცა, მთავრობას ჰყავს ეკონომიკური ჯგუფი, რომელიც დღედაღამ ამაზე უნდა ფიქრობდეს.

*– არასწორი შენიშვნებია მთავრობის მისამართით და არასწორი შენიშვნები ისმის ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ?*

– არა, შენიშვნები კეთდება ძალიან ბუნებრივად. მათი მერკანტილური მიზნებიდან გამომდინარე.

*– ანტიკრიზისული მთავრობის შექმნაზე საუბარი გარკვეული ოპოზიციონერი პოლიტიკოსების მხრიდან ნაადრევია?*

– რა თქმა უნდა, ნაადრევია.

*– პრემიერმა განაცხადა, რომ მინისტრების მუშაობით კმაყოფილია და შეცვლას არ აპირებს. თუმცა მთელ რიგ მინისტრებს სერიოზული ხარვეზები აქვთ.*

– მეც ვფიქრობ, რომ ნაადრევია, რომელიმე მინისტრთან რომ იყოს, ასე ვთქვათ, „წითელი“ ანთებული, ამას ვერ ვხედავ. თუმცა სასურველი იქნებოდა, ყველა მინისტრს უფრო მეტად ემუშავა და უკეთესი შედეგები დაედო ამ დროისთვის. ეს ყველას გვინდა, დარწმუნებული ვარ, მათაც უნდათ, მაგრამ არის პროცესი და ეს პროცესი ნორმალურ ფარგლებში მიდის. ვნახოთ, დარწმუნებული ვარ, ამ მუშაობის დადებითი შედეგები თანდათან უფრო გამოიკვეთება. ამ ეტაპზე საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ რომელიმე მინისტრთან დაკავშირებით. შემდგომში ასეთი რამ შეიძლება გამოიკვეთოს რომელიმე მინისტრთან დაკავშირებით და ჩვენი პოზიციაც ადეკვატური იქნება.

*– ნაციონალები და არასაპარლამენტო ოპოზიცის წარმომადგენლები ხელისუფლებას ყველაზე მეტად ეკონომიკური პრობლემების, შემოსავლების კუთხით ბიუჯეტში არსებული გარღვევისა და შეფერხებული ინვესტიციების გამო აკრიტიკებენ. ოპოზიცია ამტკიცებს, მთავრობა ინვესტიციების მოზიდვაზე არ მუშაობს. ეკონომისტების თქმით, ივანიშვილის ფაქტორი მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული, აგრეთვე საელჩოებმაც უნდა იაქტიურონ. რატომ იჩენს ამ კუთხით მთავრობა სისუსტეს?*

– არა მგონია, რომ მთავრობა ინვესტიციების მოზიდვის კუთხით არ მუშაობს. იცით, რომ თანაინვესტირების ფონდი შეიქმნა ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით. საუბარია, რამდენიმე მილიარდის მობილიზებაზე. უკვე ჩანს სილუეტები, რომ ინვესტიციები შემოვა და ინვესტორები წამოვლენ. როგორც მიხსნიან, ერთ წელიწადში არ ხდება ინვესტორების მარტივად მოზიდვა. დიდი ინვესტიციის ჩადებას უნდა დიდი გათვლები. ასე რომ, დაველოდოთ. იმიტომ ვერ შემოდიოდნენ ჯერ აქ დიდი ინვესტორები, რომ კოჰაბიტაციის პერიოდი იყო. დასალაგებელი იყო ყველაფერი, გასარკვევი, რამდენად მართალი იყო ის ჭორები, რასაც ნაცმოძრაობა ავრცელებდა ქვეყნის გარეთ. იცით, ამას რა მასშტაბიც ჰქონდა. ცხრაწლიანი ფესვები აქვს ამ ყველაფერს და ასე მარტივად ამოსაძირკვი არ არის. უკვე უნდა დაიწყოს შედეგზე ორიენტირებული პროცესები. მეორე მხრივ, ნაციონალური მოძრაობა მაქსიმალურად ცდილობს ეს პროცესი შეფერხდეს და თავი ყოვლისშემძლედ წარმოადგინონ. ამას ასევე ემატება ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც უკმაყოფილოა ხელისუფლების ნაბიჯებით სამართლებრივ ფლანგზე და ამბობს, სამართლიანობის აღდგენა არ ხდება და ა.შ. მათაც აქვთ პიროვნული მომენტი. თუმცა, არის ხალხი, რომელსაც პიროვნული კი არ აწუხებთ, არამედ მართლაც გულწრფელად უნდათ, რომ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა მოხდეს და სამართალმა იზეიმოს. სიმართლე რომ ვთქვათ, ეს პროცესი მიდის. უბრალოდ, ზოგს მეტი სიჩქარე უნდა ანუ ძირითადად ტემპებზეა აქ ლაპარაკი. ზოგს უნდა, რომ „შუა გაიკრიფოს“ ფაქტორიდან გამომდინარე, არ გაიკრიფოს და აქტიურად დარჩეს პოლიტიკურ ორბიტაზე. მათი ეს სურვილები, გასაგებია. ის, რომ ეს არის ღია ხელისუფლება, ეს ფაქტია. ეს არის ხელისუფლება, რომელსაც



უკან დახევაც შეუძლია.

*– ანუ დღევანდელი ხელისუფლების დადებითი თვისებაა ის, რომ მას შეცდომის აღიარება შეუძლია?*

– რა თქმა უნდა. ეს ხელისუფლება არ არის ჯიქი. ყველა ხედავს, რომ შეცდომები მოხდა და ამ შეცდომების აღიარებაც ხდება, თუნდაც საკანონმდებლო დონეზე.

*– ხელისუფლების შეცდომას მიაწერდით „ჯიპების“, მაღალი პრემიების და ფუფუნების საგნების თემას, რომელზეც ნაციონალები აპელირებენ?*

– მე არ ვთვლი, რომ „ჯიპები“ არის საგანგაშო. დროულად მოხდება რანგირება, ვის რა მანქანა უნდა ჰყავდეს და თუ ზედმეტია კონკრეტული თანამდებობის პირისთვის ის მანქანა, რაც მას ჰყავს, ის გაიყიდება. ვფიქრობ, იმ ყველაფერთან შედარებით, რაც იყო, რა ფულიც იფლანგებოდა ყოფილი პრეზიდენტის ფონდიდან, სად იხარჯებოდა, დღეს ნაციონალების ხმაური სასაცილოა. მაშინ რატომღაც ყველა ჩუმად იყო და ეს ყველაფერი ნორმალურად მიაჩნდათ. ეს იმიტომ, რომ სააკაშვილის დროს ყველა ტერორის და შიშის ქვეშ იყო. ეს რომ მოიხსნა, ყველაფერზე ღიად წავიდა ლაპარაკი და საუბარი „ჯიპებზე“ ჩამოვიდა. თო-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ნონა ცაბაძე

# სანდრო ბრეგაძე: „ნაცბანდის სახადი ქვეყანაში ისევ მოდებულია“

**დედაქალაქის ობშიაკი გიგი უგულავასთან ინახებოდა, ძალოვანების ობშიაკი ინახებოდა ვანო მერაბიშვილთან, დანიოკებული ბიზნესმენების ობშიაკი – ადეიშვილთან, ხოლო ეს უკანონო იარაღი, ნარკოტიკები და სხვა არალეგალური მაქინაციებით მიღებული ობშიაკი კი – კეზერაშვილთან.**

## ინტერვიუ „ეროვნულების“ ლიდერ სანდრო ბრეგაძესთან

*— ბატონო სანდრო, თქვენ არაერთხელ გააკეთეთ განცხადება იმის თაობაზე, რომ ნაცზონდერებით არის სავსე ახალი ხელისუფლებაო. მოდით, ამ თემაზე საუბრით დავიწყოთ ჩვენი ინტერვიუ, რამდენად აფერხებენ ეს ადამიანები ხელისუფლების საქმიანობას?*

— ჩემი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ნაციონალებს საკმაოდ ბევრი ადამიანი ჰყავს ჩანერგილი, ჩატოვებული თუ რაც გინდა ის დავარქვათ, ახალი ხელისუფლების შედარებით დაბალ რგოლებში, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან რგოლებში, ეს კიდევ ერთხელ გაამყარა პატიმარ ჯოლოხავას მიერ მიცემულმა ინტერვიუმ, როდესაც მან ბრძანა, რომ როდესაც მას ახალაიას ოჯახის წევრები და ახალაიას ადვოკატი ესაუბრებოდა, მათ დაუდეს მისი გადაადგილების და სატელეფონო საუბრების სრული ნუსხა და პირდაპირ განუცხადეს, რომ ახალი ხელისუფლების გარკვეულ სტრუქტურებში საკმაოდ მრავლად არიან კვლავ დარჩენილნი ახალაიას, მერაბიშვილის, ადეიშვილის და ამ ბანდის წარმომადგენლების მომხრე ადამიანები. მე ვფიქრობ, რომ ეს უნდა ყოფილიყო შემფოთების სიგნალი ხელისუფლებისთვის და წმენდის პროცესის დაწყების ნიშანი. მე არ ვიცი, ახლა ამაზე რამდენად იმოქმედებს ხელისუფლება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, ე.წ. პროფესიონალიზმს ამოფარებული ნაცზონდერები ჯერ კიდევ მრავლად არიან იგივე ადგილობრივ ხელისუფლებებში, იგივე ძალოვანი სტრუქტურების სხვადასხვა რგოლებში და ასე შემდეგ. ახლა ყველას ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ეს ყველაფერი არის შენელებული მოქმედების ნაღმი, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად ამოქმედდება და რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობას ძალიან ცუდად მოუბრუნდება. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ ეს არის საკმაოდ დამაფიქრებელი პროცესი, შესაძლოა ბევრი შეგნებულად აკეთებს ამას, ბევრი შეუგნებლად, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ნაცზონდერებს ჰყავთ მფარველები, რომლებიც დღემდე ცდილობენ, რომ მათ შეუნარჩუნონ ის პრივილეგირებული მდგომარეობები, რომელი პრივილეგირებული მდგომარეობებიც მათ ჰქონდათ წინა ხელისუფლების პირობებში.

***— რამდენად სახიფათოა ეს ყველაფერი და მაინც რა პროცესების გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს?***

— რამდენად სახიფათოა და პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მეხუთე კოლონა. მეხუთე კოლონა რამდენად სახიფათოა, ამაზე, მე მგონი, მსჯელობაც კი არ ღირს, რადგან ჩვენ ვიცით, რომ მეხუთე კოლონა არის ერთგვარი ყველაზე დიდი საშიშროება ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. ამავე დროს შეიძლება ბევრმა ტროას ცხენის როლიც კი იკისროს ბოლო მომენტში და ამან კიდევ უფრო დააზარალოს ის პროცესები, რომელი პროცესებიც ქვეყანაში უნდა წავიდეს და რომელსაც დემოკრატიული პროცესები ჰქვია. რა თქმა უნდა, მე არ ვამბობ, რომ ეს არის ისეთი საფრთხე, რომელიც აუცილებლად ხვალ მოხდება, მაგრამ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი თავს იჩენს და ეს ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან ცუდი იქნება. ეს არის გარდაუვალი, რადგან ნაცი ნაცი იყო და ნაცად დარჩება მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში. მე ასევე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ იმ ინფორმაციაში, რომ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს, სააკაშვილის მეთაურობით, აბსოლუტურად ყველა თავისი სტრუქტურის წარმომადგენელზე გააჩნიათ სერიოზული მაკომპრომეტირებელი მასალები, რომელი მაკომპრომეტირებელი მასალებითაც ისინი აშანტაჟებენ ამ ადამიანებს და მუდმივად ჰყავთ თავიანთი გავლენის ქვეშ.

***— როგორ ფიქრობთ, არ დადგა იმის დრო, რომ ახალმა ხელისუფლებამ დროულად დაიწყოს წმენდა, შეცვალოს კადრების დანიშვნის პოლიტიკა. საზოგადოება საკმაოდ გალიზიანებულია, ახალი ხელისუფლების ნაბიჯებით, მათი პოლიტიკით და ამ კრახის მხოლოდ ნაციონალებზე გადაბრალება, არ იქნება სწორი...***

— რა თქმა უნდა, ეს წმენდის პროცესი ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს და აქამდეც უნდა დაეწყო. მე გარკვეულწილად მესმის ხელისუფლების, იმიტომ, რომ ეს არ არის ადვილი პროცესი. იმდენად მოდებული იყო ნაცბანდის




სახადი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რომ საკმაოდ ძნელია მთელი ამ ნაციონალური ბანდის გავლენების აღმოფხვრა ძალიან მოკლე პერიოდში. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს პროცესი აუცილებლად დასაწყებია. მე ხალხის მესმის, საზოგადოება მოითხოვს, რომ რაც შეიძლება ჩქარი ტემპებით წარიმართოს ეს პროცესი. ამ ყველაფერს ხელს უშლის ის საერთაშორისო ზეწოლა, რომელ ზეწოლასაც ნაციონალებისგან დაქირავებული ლობისტები ახორციელებენ საქართველოს ხელისუფლებაზე. სწორედ ამ ზეწოლის შედეგი იყო ის ხელოვნური კოჰაბიტაცია, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში ვუყურებდით. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ისეთ დამნაშავეებს, როგორიც ვანო მერაბიშვილია, ცდილობენ, რომ ხელი დააფარონ და პოლიტიკური ნიშნით დევნილადაც კი შერაცხეს. დასავლური სტრუქტურების ზოგიერთ წარმომადგენელს არც კი რცხვენია იმის, რომ მერაბიშვილს პოლიტპატიმრად მოიხსენიებს. მათ ფული აქვთ ამაში აღებული, ზოგი არის თეთრი ლობისტი, ზოგი კი — შავი, რომლებსაც შავ ფულს უხდიდნენ საქართველოდან წლების განმავლობაში. ჩვენზე ნაქურდალი ფულების ხარჯზე, ეს უცხოელები მილიარდელები გახდნენ.

***— ბატონო სანდრო, იმ ფონზე, როცა უმრავლესობის წევრი, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, რომ სააკაშვილის რეიტინგი საქართველოს რეიტინგზე მაღალია და დასავლეთი ვერ გაგვიგებს და გაგვინაწყენდება თუკი ჩვენ სააკაშვილს დავაპატიმრებთო, რამდენად უნდა გვქონდეს იმედი სამართლიანობის აღდგენის და რეალური დამნაშავეების დასჯის?***

— იცით რაშია საქმე? მე ვფიქრობ, რომ უმრავლესობის ლიდერის ეს მოსაზრება რაღაც გარკვეულ ლოგიკას ეფუძნება, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს. ეს არის ის, რაზეც მე ვსაუბრობდი. რასაკვირველია, სააკაშვილს აქვს ამუშავებული სერიოზული ლობისტური მანქანა მთელ მსოფლიოში, რომ როგორმე არ მოხდეს მისი ან დაკითხვა, ან დაპატიმრება და დანაშაულებებზე პასუხის გება. ეს ფაქტია, მაგრამ, მეორე მხრივ, მე ვერ დავეთანხმებოდი ამ მოსაზრებაში, იმიტომ, რომ ჩვენ თუ ანგარიში გავუწიეთ რაღაც ფაქტორებს და ამ ფაქტორების გამო სიმართლე მივჩქმალეთ, მაშინ ეს სახელმწიფო დემოკრატიული განვითარების გზით ვერ წავა. თუ არ მოხდა სამართლიანობის აღდგენა, ქვეყანაში ვერ იქნება დემოკრატია, ფიზიკურად ვერ იქნება. არ არსებობს მსოფლიოში პრეცედენტი იმისა, რომ უსამართლობის ნიადაგზე აღმოცენებულიყოს დემოკრატია. სამართლიანობის აღდგენა თავის თავში გულისხმობს დემოკრატიის გავრცობას და დემოკრატიის აშენებას. ჩვენ თუ გვსურს დემოკრატიის აშენება, მაშინ სააკაშვილი იქნება ეს თუ პეტრიაშვილი, მნიშვნელობა არა აქვს, აბსოლუტურად ყველას უნდა ვაგებინოთ პასუხი იმ სერიოზულ დანაშაულებებზე, რომელიც აქვთ ჩადენილი. ამ მოსაზრებას რევიზია არ სჭირდება. ლოგიკურია და ყველამ იცის, რომ საკმაოდ დიდი ლობისტური კომპანიები, კერძო ლობისტები, შავი ლობისტები, სხვადასხვა პოლიტიკოსების სახით ჰყავს სააკაშვილს, რომლებიც სააკაშვილის გულისთვის თავს მოიკლავენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ხელები უნდა ჩამოვუშვათ და სამართლიანობის აღდგენისთვის და სამართლიანობის დადგენისთვის არ ვიბრძოლოთ.

***— სწორედ ამაში ედავებიან ახალ ხელისუფლებას, რომ ვერ ახერხებს სათანადო პიარს, თუნდაც იმ სიმართლის მიწოდებას დასავლეთისთვის, რაც სინამდვილეში იყო, რომ დაინახოს დასავლეთს სააკაშვილის და მისი გუნდის რეალური სახე. რატომ ვერ ხერხდება ეს ყველაფერი?***

— ვერ ხერხდება და ამას რამდენიმე ფაქტორი აქვს. პირველი არის ის, რომ შეიძლება ის ტემპები საგარეო სარბიელზე, რომელიც საჭიროა, ჩვენ არა გვაქვს. მეორე არის ის, რომ თითქმის ერთი წლის განმავლობაში სააკაშვილი ელჩების დანიშვნას ხელს უშლიდა და მესამე — ის პიარტექნოლოგები, რომელიც ამ ხელისუფლებას ჰყავს დაქირავებული, მათ ვერ გაამართლეს. ხელისუფლების პიარტექნოლოგები სერიოზულად უკან არიან დარჩენილები და ისინი არიან საოცრად არაპროფესიონალები. ხშირ შემთხვევაში ხდება იმის ვერდამტკიცება, რომ თეთრი თეთრია და შავი შავია. ეს, რა თქმა უნდა, იმ პიარტექნოლოგების და იმ სამსახურების არაპროფესიონალიზმის შედეგია, რომელიც დღეს არსებობს და რომელთა ხელმძღვანელები ძალიან შორს არიან პროფესიონალიზმისგან.

***— ალბათ დროა, რომ ხელისუფლებამ სერიოზულად გადახედოს საკადრო პოლიტიკას.***

— გადასახედი რომ არის, ეს ხელისუფლებამაც მშვენივრად იცის და ეს უახლოეს პერიოდში აუცილებლად უნდა განხორციელდეს. ისევე, როგორც აუცილებლად უნდა მოხდეს სამართლიანობის აღდგენა. იგივე ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ეს აუცილებელია. თუ ეს ვერ მოხდა, ეს პრობლემები მუდმივად იარსებებს. პრობლემები არ გაქრება, პირიქით, მოიმატებს. ახლა, უფრო გაზრდილი პრობლემების პირობებში, მე ნაკლებად წარმომიდგენია ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური აღორძინება, ფაქტიურად, ეს წარმოუდგენელია. ჯერ უნდა მოხდეს სამართლიანობის დამკვიდრება და ამის შემდგომ პოლიტიკური და ეკონომიური აყვავება. თუ სამართლიანობა არ დამკვიდრდა, მაშინ ამ მეორე საკითხის დაწყებაც კი სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

***— საუბრისას ჩვენ სააკაშვილის დანაშაულებები ვახსენეთ და თანდათან ფარდა ეხდება მისი გუნდის წევრების დანაშაულებრივ ქმედებებს, იგივე დავით კეზერაშვილის საქმიანობას, საუბარია, რომ ის იარაღის უკანონო ვაჭრობაში იყო ჩართული. ალბათ წარმოუდგენელია, რომ სააკაშვილის გვერდის ავლით მას ეს ბიზნესი ეწარმოებინა?***

— ეს დაახლოებით იმას ჰგავს, როდესაც თავის დროზე მხედრიონი მიტინგებს არბევდა და სამეგრელოს აწიოკებდა, შემდგომში შევარდნაძე აცხადებდა, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცოდა და ასე აბრიყვებდა ხალხს. სააკაშვილი და მისი უახლოესი გარემოცვა, ამ შემთხვევაში მე მის ბიძას ვგულისხმობ და მის უახლოეს ნათესავებს, რა თქმა უნდა, ყველაფრის მაკონტროლებლები იყვნენ. კეზერაშვილს თუ აქვს ოფიციალურად მილიარდ ნახევარი დოლარი, რა თქმა უნდა, სააკაშვილს აქვს მასზე ათჯერ მეტი. იმიტომ, რომ ამ ფულის ძირითადი წამლები იყო სააკაშვილი. მე ახლა ზღაპრების მოყოლას არ დავიწყებ და პირდაპირ გეტყვით, რომ ეს იყო ერთგვარი დანაშაულებრივი კლანი, რომელსაც, სხვათა შორის, ე.წ. ობშიაკიც კი ჰქონდა. მაგალითად, დედაქალაქის ობშიაკი გიგი უგულავასთან ინახებოდა, ძალოვანების ობშიაკი ინახებოდა ვანო მერაბიშვილთან, დაწიოკებული ბიზნესმენების ობშიაკი კი — ადეიშვილთან. ხოლო ეს უკანონო იარაღი, ნარკოტიკები და სხვა არალეგალური მაქინაციებით მიღებული ობშიაკი ინახებოდა კეზერაშვილთან. შემდეგ კი ეს ყველაფერი იკრიბებოდა და მიდიოდა ამ პირამიდის სათავეში მდგომი, ე.წ. პრეზიდენტ სააკაშვილის ჯიბეში. რა თქმა უნდა, სულელი ან ბრიყვი უნდა იყო, დაიჯერო, რომ სააკაშვილმა არაფერი იცოდა და კეზერაშვილი ამას აკეთებდა. სააკაშვილმა იცოდა, სააკაშვილი ბრძანებებს იძლეოდა, კეზერაშვილი და ასეთი პატარ-პატარა მოთამაშეები კი ამის შემსრულებლები იყვნენ.

# ნუკრი ქანთარია: „ნაციონალებს ლაპარაკის გარდა სხვა აღარაფერი დარჩენიათ“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

რემ თუ გახსოვთ, წინა ხელისუფლების დროს „ჯიპებზე არავის ულაპარაკია. ნაციონალებს „ჯიპებიც“ ჰყავდათ და ვერტალიოტებიც, მაგრამ მაშინ ამაზე სასაუბროდ არავინ იცლიდა, რადგან სხვა უფრო მნიშვნელოვანი თემები და პრობლემები იყო წინა პლანზე წამოსაწევი. ამაზეც ხმამაღლა საუბარი უფრო 2007 წლიდან დაიწყო. ამიტომ, ვფიქრობ, რომ დღეისათვის რადგან „ჯიპების“ თემამდე დავედით და კრიტიკის საგანი გახდა ავტომანქანა, ეს, ერთი მხრივ, კარგია.

***— ურჩევდით მთავრობის წევრებს, მანქანების შეძენისას ზომიერება დაეცვათ?***

— ვფიქრობ, რანგირება თუ მოხდება, ყველაფერი დალაგდება. მაშინ ასე ვთქვათ, რაში დაზოგეს თანხა ნაციონალებმა. ღიად ვთქვათ, რამდენი თანხა იხარჯებოდა სააკაშვილის რეზიდენციებზე, მთელი საქართველოს მასშტაბით, რამდენი დაცვა იყო, რამდენი ფულია წყალში გადაყრილი. შევადაროთ, ეს ერთი ან ორი „ჯიპი“ ამ თანხებს გადაწონის? რა თქმა უნდა, არა. ჩვენ ცოტა გადაწყვეტილების მიღებაში ვფერხდებით. ამას ცოტა მეტი დრო სჭირდება-ხოლმე.

***— ამ დროში გაჭიმვის მიზეზი კოალიციის შიგნით შეუთანხმებლობაა?***

— არა. კოალიციის შიგნით შეუთანხმებლობა არ არის. კოალიციაში ერთიანი აზრია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფიცვერცხლნაჭამი ხალხი ვართ. ეს იმის შედეგია, რომ კოალიციის თითოეულ სუბიექტს ერთმანეთი სჭირდება და იციან, დამოუკიდებლად გაუჭირდებათ გადაწყვეტილების მიღება და არჩევნებში ხმების მიღება. ეს ერთობლიობაში ხერხდება. თუმცა, ბუნებრივია, ამას თავის სირთულეებიც ახლავს. ამას კომუნიკაცია და ერთმანეთთან აზრების შეჯერება სჭირდება. კოალიციის წევრებს ურჩევნიათ კოალიციაში იყვნენ, ვიდრე ცალკე გავიდნენ. ახლა არის მესამე ეტაპი — ადგილობრივი არჩევნები, რომელიც წერტილს დაუსვამს იმ დიდ ციკლს, რომელიც 1 ოქტომბრის არჩევნებით დაიწყო და 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებით გაგრძელდა. ეს ე.წ. ტრილოგია დამთავრდება ადგილობრივი არჩევნებით და მერე სრული პასუხისმგებლობა, ვფიქრობ, ხელისუფლებაზე გადმოვა. ეს არჩევნებიც ბრწყინვალედ ჩატარდება. ჩვენ უკვე შეგვაქვს კანონი და მერის არჩევნები იქნება არაერთ ქალაქში და გამგებლებიც, რაც ერთი მხრივ სირთულეებს იწვევს, მეორე მხრივ, ეს არის აბსოლუტურად გახსნილი და ღია მმართველობა და მთელი პასუხისმგებლობა გადადის ხალხზე. გამოჩნდება, რამდენად მზად არის ჩვენი საზოგადოება სოფლებში, რაიონებში, ქალაქებში თავისი ხელმძღვანელის ასარჩევად. გამოჩნდება, არჩევითი კულტურა რამდენად გვაქვს არა მხოლოდ ერთ ქალაქში, არამედ სხვ. რაც მთავარია, რაიონის დონეზე მოხდება აგრეთვე გამგებლების არჩევა. ეს ძალიან საინტერესო პროცესი იქნება ექსპერტებისთვის. მეორე მხრივ, ეს ჩვენი ხელისუფლებისთვის იქნება სერიოზული გამოცდა.

***— ალბათ საკმაოდ უარყოფითად აისახება ხელისუფლების რეიტინგზე და ადგილობრივი არჩევნების შედეგებზე ის ტენდენცია, რაც ბაჩო ახალაიას და სხვა მაღალჩინოსანი ნაციონალების მიმართ გამოკვეთა სასამართლომ, პროკურატურამ. სამართლიანობის აღდგენის კუთხით ყველაზე მეტი პრეტენზიებია ხელისუფლების მისამართით.***

— სამართლიანობის აღდგენის თემა მართლაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, თუმცა იგივე მერაბიშვილის მიმართ ხმაური გადაჭარბებულია. გამოიყვანეს თუ არა, ერთია, არ ვიცი, თუმცა მას წამების კვალი არ ატყვია, ამბობდა, თავზე გადამაფარესო. მახსოვს, წინა ხელისუფლების დროს ასეთივე რანგის პიროვნება დააკავეს, ირაკლი ოქრუაშვილზე მაქვს საუბარი. მან ორ დღეში ტელევიზიით ადრე ნათქვამი უარყო და ყველაფერში დაეთანხმა პროკურატურას. ანუ ძალიან ხმაურიანი აღიარებითი ჩვენება იყო. მეეჭვება, რომ მერაბიშვილი ოქრუაშვილზე უფრო მტკიცე ნებისყოფის კაცია. არა მგონია, ასე იყოს. ოქრუაშვილსაც საკმაოდ დიდი ბეგრაუნდი ჰქონდა და ჩანდა, რომ ძალიან თამამი და შემტევი ადამიანი იყო. ეტყობა, მას ისეთი რაღაცები დაულაგეს და აჩვენეს მომავალში საფრთხის შექმნის თვალსაზრისით, რომ მან არჩია გამოსულიყო ტელევიზიით და პროკურატურისთვის სასურველი აღიარებითი ჩვენება მიეცა. ასეთი რამ რომ ყოფილიყო ვანო მერაბიშვილის შემთხვევაში, თუნდაც გაყვანის დროს, ისიც არ ვიცი, მისი გაყვანა მოხდა თუ არა, ამბობენ, რომ არ მომხდარა და მე ამის მჯერა. ეს რომ ყოფილიყო, სასამართლოზე იტყოდა. ალბათ მერაბიშვილის შემთხვევაში, რაღაც სცენარებთან გვაქვს საქმე. ალბათ ეს ადამიანები, ვინც ამ სცენარებს წერენ, ახალ-ახალ პროვოკაციულ სქემებს ალაგებენ, რომელზეც საზოგადოების წამოკიდება შეიძლება. ამაში იყენებენ იმ ხალხს, რომელიც დაკავებულია და რომელიც გარეთ არის.

***— ნაციონალმა დეპუტატმა საყვარელიძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ პირადად მინისტრმა სოზარ სუბარმა გაანადგურა ის ჩანაწერები, სადაც ასახული იყო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის ფაქტი. ამაზე პასუხისმგებლობა მან პირადად სუბარს დააკისრა.***

— მისი განცხადება გასაგებია, მაგრამ სად აქვს მტკიცებულება? მაინტერესებს, საყვარელიძეს რა ფაქტი აქვს, რომ მინისტრი სოზარ სუბარი დაჯდა და ამ ფირების წაშლა დაიწყო. ბუნებრივია, ვისაც რა უნდა, იმას საუბრობს. მათ ისღა დარჩენიათ, მსგავსი რაღაცები ილაპარაკონ ზოგი გაიყიდება, ზოგი — არა.

## ნინოწმინდაში მოქალაქემ დიდი ოდენობით საბრძოლო მასალა ჩააბარა

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში ქალაქ ნინოწმინდაში მცხოვრებმა, 1979 წელს დაბადებულმა სამველ ა-მ ნებაყოფლობით წარადგინა და ჩააბარა დიდი ოდენობით საბრძოლო მასალა. მათ შორის დაზგის ტანკსაწინააღმდეგო ნალმტყორცნის ჭურვები: 6 ცალი „პეგა-15-პ“ და 6 ცალი „პეგა-9“, ასევე, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის „ა-კა-ეს“-ის 12 საბრძოლო ვაზნა.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს - სსსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

მედიანიუსი

# როგორ გადავარჩინოთ ლარი

შორენა გონგლაძე

მას შემდეგ, რაც ყოფილმა პრემიერმა პოლიტიკიდან სამოქალაქო სექტორში გადაინაცვლა, მოსაგონარი ბევრი რამ დაგვიტოვა, რაც ნელ-ნელა ტრადიციად იქცა. ერთ-ერთია, მაგალითად, პრემიერის შეხვედრა ჟურნალისტებთან, რომელიც ივანიშვილის [illegible] გააგრძელა. მართალია, ვერ ვიტყვით, რომ ჟურნალისტებსა და პრემიერს შორის პირველი შეხვედრა დიდად წარმატებული იყო, მაგრამ გარკვეული მარგალიტების ამორჩევა ღარიბაშვილის კითხვა-პასუხებიდან ნამდვილად შეიძლება. ყველაზე მეტად გამორჩეული მაინც ღარიბაშვილის ის პასუხები იყო, რომლებიც „ოცნების" წინასაარჩევნო დაპირებებს 100 საწარმოსა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას შეეხებოდა. როგორც ეტყობა, ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი საერთო ნიშან-თვისება დემაგოგიაა, რაც აშკარად ემჩნევა პოლიტიკოსებს უხერხული სიტუაციების დასაფარად და რაც ასე წარმატებით [illegible]. ნამდვილად იმსახურებს გაოცებას პრემიერის პასუხი იმაზე, რომ თურმე დაპირებული ასი საწარმოდან 65-მდე საწარმო უკვე [illegible] და რომ „ოცნებამ" იმაზე მეტი გააკეთა, რაც მათ წინასაარჩევნო დაპირებებში შედიოდა.

მართალია, თუ ვინმეს უფრო ღრმად დააინტერესებს, [illegible] „ოცნების" [illegible] და რაში გადაგვიყვანა, მაგრამ ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ და მხოლოდ ლარის კურსის ვარდნაზე ვისაუბრებთ, [illegible] მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის პრემიერის თქმით ქვეყანაში გასულ წელს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 5 პროცენტს [illegible] და მომავალ წელს კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება, რეალობა თავისას შვრება და ეკონომიკა, ლარის კურსის მსგავსად, ქვესკნელისკენ მიექანება.



ლარის კურსი, ეროვნული ბანკის მონაცემებით, 0,01 თეთრით გაუფასურდა. ამერიკულ დოლართან მიმართებით – 1.7678, ევროსთან მიმართებით კი 2.4072 გახდა. ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორხელიძე ლარის კურსის გაუფასურების სწრაფ ტემპში ქვეყნისთვის საფრთხეებს ხედავს და აცხადებს, რომ ეს მხოლოდ სპეკულაციების შედეგია.

– საფრთხე პირველ რიგში ისაა, რომ სწრაფი ტემპია ძალიან და, თუ ცვლილება არ მოხდა, შემდეგ, პანიკის შემთხვევაში, ინფლაციის პროცესების მოლოდინი თავისას გააკეთებს და სავალუტო რეზერვებიც დიდხანს არ იქნება საკმარისი ლარის კურსის დაჭერისთვის. ყველაზე ცუდი ისაა, რომ პროგნოზი ეროვნული ბანკის საქმიანობისა შეუძლებელი ხდება, რას ელოდება, გაუგებარია. ინფლაცია, მართალია, დაბალი იყო და დეფლაციაშიც კი ვიყავით, მაგრამ, როცა ეკონომიკაში არაფერი ხდება, სჯობს, დეფლაცია იყოს, ვიდრე ეკონომიკაში არაფერი ხდებოდეს და ინფლაციური პროცესები მიმდინარეობდეს. ლარის კურსის ცვლილება წმინდა სპეკულაციური ხასიათისაა, იმიტომ, რომ ის ჯგუფები, ვისაც ხელი მიუწვდება, იცოდეს ინფორმაცია, რა ხდება ხვალ და ზეგ, ფულს არანორმალური ოდენობით შოულობენ, ფაქტობრივად, ყოველგვარი შრომის გარეშე, მხოლოდ ინსაიდერული ინფორმაციის საფუძველზე. ლარის კურსის ცვლილების არანაირი საფუძველი არ იყო, გარდა სპეკულაციებისა, – განაცხადა გიორხელიძემ. კურსის გაუფასურებას, ექსპერტის განმარტებით, ქვეყნის გაღარიბება მოჰყვება.

– ტენდენცია აშკარად არასასურველია, საშიშია, ეს გამოიწვევს ისედაც გაღარიბებული ქვეყნის კიდევ უფრო გაღარიბებას, იმიტომ რომ დღეს ფულს კარგავენ ადამიანები, ვისაც რაღაც დანაზოგი ჰქონდა და დღეს ეს ყველაფერი საბანკო სექტორში ან თუნდაც სახლში აქვთ. ასეთი სწრაფი ტემპით კურსის ვარდნა, როდესაც არც ერთი ინვესტიცია განხორციელებული არაა, არანაირი სერიოზული ნაბიჯი ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის არ არის, ბუნებრივია. პროცესი აწყვეტილია და თუ ამ პროცესს სწრაფად არ ეშველა, ეს უარყოფითი შედეგების მატარებელი იქნება, – აღნიშნავს ექსპერტი.

გიორხელიძე აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავალს შიდა რესურსების დასაქმებასა და ინვესტიციების მოზიდვაში ხედავს.

# სააკაშვილი ბუნებრივ აირს უკანონოდ მოიხმარდა

შორენა გონგლაძე

„კანონი ძლიერია, ოღონდ უფრო ძლიერია გაჭირვება" – საოცრებათა ქვეყანაში რომ ვცხოვრობთ, ამაში ყველა დამემოწმება, მაგრამ, რამდენად შეესაბამება დიდი გერმანელი მოაზროვნის იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთეს ეს სიტყვები გუშინ „ყაზტრანსგაზის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, ნამდვილად არ ვიცი. მოკლედ, გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, თურმე პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციის ერთი ნაწილი ბუნებრივ აირს უკანონოდ მოიხმარდა.

– მრიცხველის გვერდით ავლით შეყვანილი გაზის მილი მალხაზ აბდუშელიშვილის ქუჩის 1-ში რეგისტრირებულ მისამართზე, სადაც პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენცია მდებარეობს, „ყაზტრანსგაზ-თბილისის" უსაფრთხოების სამსახურის მიერ გეგმური შემოწმების შედეგად იქნა აღმოჩენილი. ამის შესახებ გუშინ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილმა „ყაზტრანსგაზ-თბილისის" წარმომადგენლებთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მათი განმარტებით, ამ გზით ობიექტი გაზს, სავარაუდოდ, ადმინისტრაციის შექმნის დღიდან მოიხმარდა და იგი სასადილოსა და სხვა დამხმარე ნაგებობებს მიეწოდებოდა.

ბუნებრივი აირის უკანონოდ მოხმარებისთვის კომპანიის თანამშრომლების მიერ ადგილზე უკვე გაფორმდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ორგანიზაციას შეუწყდა გაზმომარაგება, რომლის აღდგენაც მხოლოდ დაკისრებული ჯარიმის გადახდისა და გაზმომარაგების ქსელის მოწესრიგების შემდეგ მოხდება.

– ზამთრის სიცივეებთან ერთად, მკვეთრად იმატა ბუნებრივი აირის მოხმარებამ და, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, გაზის დატაცების ფაქტებმა. განსაკუთრებით საგანგაშოა, როცა ბუნებრივი აირის უკანონოდ მოხმარებას ბიზნესსექტორის წარმომადგენლები და სხვა დიდი ორგანიზაციები ცდილობენ. ასეთი ფაქტი გამოვლენილია მალხაზ აბდუშელიშვილის ქუჩის 1-ში რეგისტრირებულ მისამართზე, სადაც პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენცია მდებარეობს, – განაცხადა ელოშვილმა.

ამასთან ერთად, „ყაზტრანსგაზ-თბილისი" აფრთხილებს მომხმარებლებს (მიუხედავად მათი თანამდებობრივი თუ სოციალური მდგომარეობისა), რომ საგან-



გებო რეიდები და შემოწმებები მთელი თბილისის ტერიტორიაზე გაგრძელდება და ურჩი გადამხდელების წინააღმდეგ კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები გატარდება.

მომხდარს ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძეც გამოეხმაურა.

– „ყაზტრანსგაზმა" აღმოაჩინა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია ბუნებრივ აირს უკანონოდ მოიხმარდა. რამდენადაც გასაოცარი უნდა იყოს, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ხდებოდა. არ ვიცი, ბატონმა პრეზიდენტმა იცოდა თუ არა ამის შესახებ, უბრალოდ, მიუღებელია, როცა ჩვენ მოსახლეობას ვაფრთხილებთ, რომ უკანონოდ არ მოიხმარონ ბუნებრივი აირი, ამ დროს კი ქვეყნის პირველი პირი თავისი ადმინისტრაციისათვის ბუნებრივ აირს უკანონოდ მოიხმარდა, – განაცხადა კახი კალაძემ.

მომხდარს ექსპრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ანდრო ბარნოვიც გამოეხმაურა. ბარნოვის განცხადებით, გაუგებარია, თუ რატომ შეიძლებოდა, სასახლეში გაზი მრიცხველის გარეშე შეყვანილიყო.

– სიტყვა „ლევს" ცნება „ნაციონალურმა მოძრაობამ" საერთოდ გააქრო და გაუგებარია, რატომ გვაბრალებენ, რომ პრეზიდენტის სასახლეში მრიცხველის გვერდის ავლით გვქონდა შეყვანილი, ან რატომ უნდა შეგვეყვანა, როცა ამ თანხას სახელმწიფო იხდიდა. ეს ყველაფერი ჟურნალისტებისგან შევიტყვე. თბილისში როცა ჩავალ, ადგილზე დეტალურად გავეცნობი სიტუაციას, – განაცხადა ბარნოვმა. აღნიშნული განცხადება ანდრო ბარნოვმა ქუთაისში გააკეთა, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნებას დაესწრო.

პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციის ადმინისტრაციის უფროსის ყოფილი მოადგილის ირაკლი ნადირაძის განცხადებით, პრეზიდენტის ადმინისტრაცია კომუნალურ გადასახადებს არასოდეს იხდიდა და ეს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის პრეროგატივა იყო.

– პრეზიდენტის ადმინისტრაციას არ ეხებოდა კომუნალური გადასახადების გადახდა, რადგან ამისთვის არსებობს სპეციალური სამსახური, რომელსაც ჰქვია სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური. ბოლო წლების განმავლობაში ანუ საპარლამენტო არჩევნებამდე ეს სტრუქტურა იყო ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში, ხოლო არჩევნების შემდეგ მთავრობის დაქვემდებარებაში გადავიდა. ამიტომ კომუნალურების გადახდა მათი ვალდებულება იყო და ეს მინისტრის მოადგილეს უნდა სცოდნოდა. ყველანაირ კომუნალურ გადასახადს – ეს იქნება გაზი თუ შუქი, იხდის ის და, თუ თავისი მთავრობის სსიპ-ს ადანაშაულებს, რომ არ იხდიდა გადასახადებს, ეს მეორე თემაა, – აცხადებს ირაკლი ნადირაძე.

ირაკლი ნადირაძე აღმოჩენილი გაზის უკანონო მილის პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან კავშირს გამორიცხავს და განმარტავს, რომ გაზს ის მთავრობის სსიპ იპარავდა, რომლის ხელმძღვანელიც ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა დანიშნა.

„ყაზტრანსგაზის" განცხადებას ხელისუფლების მხრიდან მორიგი სულელური ბრალდება უწოდეს ნაციონალურ მოძრაობაში და განაცხადეს, რომ ეს თემა იმდენად არასერიოზულია, მასზე სერიოზული რეაგირებაც კი წარმოუდგენელია.

## შსს-ს მომსახურების სააგენტოს დიპლომატიური კორპუსის და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები ეწვივნენ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტომ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს უმასპინძლა. მომსახურების სააგენტოში სტუმრებისთვის სააგენტოს ფუნქციების, განხორციელებული სიახლეებისა და სამომავლო გეგმების შესახებ პრეზენტაცია გაიმართა.

ამასთან, დიპლომატიური კორპუსის და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის გამოცდების ევროპული სტანდარტების შესაბამისად ჩაბარების ახლადდანერგილ წესს და მართვის მოწმობაში მითითებულ მონაცემებში განხორციელებულ ცვლილებებს გაეცნენ.

მათ საინფორმაციო ბროშურები – „როგორ ვისარგებლოთ ქართული მართვის მოწმობით ევროპაში" და „როგორ შევცვალოთ უცხო ქვეყნის მართვის მოწმობა" გადაეცათ. მომსახურების სააგენტო სხვა სერვისების შესახებ ანალოგიური სახის ბროშურებს უახლოეს მომავალში შესთავაზებს მომხმარებელს და ქვეყნის სტუმრებს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ნიუსპრესი

## მედიკამენტის ურეცეპტოდ გაცემა დაჯარიმდება

რეცეპტს დაქვემდებარებული მედიკამენტების ურეცეპტოდ გაცემისას მედიკამენტის გამცემი პირი 6000 ლარით დაჯარიმდება. როგორც ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, დიმიტრი ხუნდაძემ განუცხადა, ჯარიმები ასეთი ტიპის მედიკამენტებზე გაორმაგებულია.

მისივე თქმით, განმეორებით შემთხვევაში, შესაძლოა, საქმე ლიცენზიის ჩამორთმევამდეც მივიდეს.

„თუ პრეპარატი გაიცემა რეცეპტის გარეშე, შესაბამისი კანონმდებლობით დაისჯება გამცემი. საუბარია იმ პრეპარატებზე, რომელზეც რეცეპტის გაცემა არის დაწესებული. საჯარიმო სანქციები რეცეპტს დაქვემდებარებული მედიკამენტების ურეცეპტოდ გაცემაზე გაორმაგებულია. პირველ შემთხვევაში გამცემი დაჯარიმდება 6 000 ლარით და თუ ისევ გაიმეორა, შესაძლოა, ლიცენზიის ჩამორთმევამდეც მივიდა საქმე",-აღნიშნა ხუნდაძემ.

მედიანიუსი

# რას ითხოვენ პატიმრები

გულიკო ბალაძე

– სანამ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია ამოქმედდება, მანამ ჩვენ ცოცხალი ვეღარ გავაღწევთ, – ამბობს პატიმარი ზაურ გიგაური უფლებადამცველ გიორგი თევზაძისადმი გაგზავნილ წერილში.

ხელისუფლებამ ჯერჯერობით უარი თქვა მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნაზე. ამ სტატუსის კომისიის შექმნას დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უამრავი პატიმარი ელოდება. ხელისუფლების უარს მსგავსი სამართლებრივი მექანიზმების შექმნის საჭიროებაზე ათასობით პატიმარმა შიმშილობის აქციით უპასუხა.

თუმცა, ცნობილი გახდა ისიც, რომ მმართველი სახელისუფლებო გუნდი მუშაობს ალტერნატიულ სამართლებრივ მექანიზმებზე.

მთავარია არა ფორმატი, არამედ შედეგი, რათა საზოგადოებას გაუჩნდეს სამართლიანობის განცდა და შესაძლებლობა, კანონიერი გზით დაიცვას ადამიანის უფლებები, მათ შორის, ისიც, რომ შეძლოს დარღვეული უფლებების აღდგენა.

უფლებადამცველ გიორგი თევზაძესა და მის ორგანიზაციას არაერთი პატიმარი მიმართავს განცხადებით. ისინი მოითხოვენ ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნას, მათი საქმეების გადასინჯვასა და უკანონო პატიმრობისაგან გათავისუფლებას.

– ჩვენს ორგანიზაციაში შემოდის ხოლმე პატიმართა განცხადებები და საჩივრები. პატიმრები ითხოვენ დახმარებას, თუმცა მათი რაოდენობა, წინა წლებთან შედარებით, შემცირებულია. ვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დარღვევები, რომლებიც ფიქსირდება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, სისტემურ ხასიათს აღარ ატარებს, მაგრამ აუცილებელია ყველა იმ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირება და სისტემის გამჭვირვალობა, რათა საზოგადოებაში არ დარჩეს პასუხგაუცემელი კითხვები. მართალია, ციხეების ოპტიმიზაცია მოხდა, მაგრამ დღესდღეობით კვლავ ჩაკეტილია, რაც შედეგებზეც აისახება. მაგალითისთვის გავიხსენებ რამდენიმე დღის წინ სასჯელაღსრულების №19 დაწესებულებიდან შემოსულ მსჯავრდებულთა ერთობლივ განცხადებას, რომელიც ეხება ამ დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულთა მხრიდან ცალკეული თანამშრომლების მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებს ანუ დღეისთვის ციხეებში კვლავ ადგილი აქვს პატიმრების დამცირებასა და არაადამიანურ მოპყრობას.

***– თქვენ ამბობთ, რომ პატიმრების წერილებს იღებთ. კონკრეტულად რომელი დაწესებულებიდან და რა საკითხებზე ჩივიან პატიმრები?***

– მაგალითად, მე-19 დაწესებულების პატიმრების განცხადებით, უხეშად ირღვევა მათი უფლებები და იზღუდება კანონიერი ინტერესები. მართალია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ ამ ფაქტების შესწავლა დაიწყო, მაგრამ ასეთი ფაქტები ხშირად ხდება. პატიმარი ზაურ გიგაური ჩვენს ორგანიზაციას სწერს, რომ ის უკანონოდ იხდის სასჯელს და კითხულობს, თუ როდემდე უნდა გაგრძელდეს უკანონო პატიმრების წამება მაშინ, როდესაც ის უდანაშაულოა და უკვე მერვე წელია, იხდის სასჯელს. „ხელისუფლებამ მხოლოდ უკანონო პატიმრებზე იფიქრა. ჩვენ, ეტყობა, ადამიანებად არ გვთვლიან და დაამთავრეს ყველა პროცედურა. ახლა უკვე კარგს აღარაფერს ველოდები. ხელისუფლება იმას ფიქრობს, უკანონო პატიმრებს როგორ გადაუხადოს კომპენსაციები და როგორ განახორციელონ რეაბილიტაცია. მე კი იმას ვფიქრობ, მანამდე გავაღწევ აქედან ცოცხალი? მე სხვაობას იმ ხელისუფლებასა და ამ ხელისუფლებას შორის უკანონო პატიმრობებთან დაკავშირებით მხოლოდ იმით ვასხვავებ, რომ ისინი ძალისმიერი მეთოდებით გვანადგურებდნენ, ესენი კი მორალურად და ფსიქოლოგიურად, „ლიმილით" გვანადგურებენ". გთხოვთ, კიდევ ერთხელ ადამიანის უფლებათა ორგანიზაციას, მოგვაქციეთ ყურადღება", – ვკითხულობთ პატიმარ ზაურ გიგაურის მიერ გამოგზავნილ წერილში. სწორედ ამ კატეგორიის უკანონო პატიმრებს უნდა გასცეს ხელისუფლებამ პასუხი.

***– განსასჯელთა დიდი ნაწილი „ცე" ჰეპატიტითაა დაავადებული. დაიწყო თუ არა „ცე" ჰეპატიტის პროგრამა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში?***

– მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ამ მიმართულებით. როგორც ჩემთვის ცნობილია, უახლოეს პერიოდში დაიწყება ამ პროგრამის განხორციელება, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ამგვარი პრობლემის მქონე მსჯავრდებულებისთვის. ამ პრობლემის მქონე მსჯავრდებულთა მკურნალობა იქნება სამოქალაქო სექტორში ანალოგიური პრობლემის მქონე პაციენტის მკურნალობის შესატყვისი. ვიმედოვნებთ, ყველა ის პატიმარი, რომლებსაც „ცე" ჰეპატიტის პრობლემა აქვთ, დროულ და ადეკვატურ სამედიცინო დახმარებას მიიღებს. აუცილებელია არა მარტო „ცე" ჰეპატიტის მქონე მსჯავრდებულთა, არამედ სხვა გადამდები დაავადების მქონე მსჯავრდებულთა ადეკვატური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების პასპორტიზაცია. ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი და პრიორიტეტული საერთაშორისო მოთხოვნა, რომელიც დადგენილია საერთაშორისო მინიმალური სტანდარტით. მიზანშეწონილია, უწყებამ ამ მიმართულებით აუცილებელი ღონისძიებები დაგეგმოს. ჩვენი მხრიდან დაფიქსირებული იყო ინიციატივა მინისტრთან საკონსულტაციო საზოგადოებრივი საბჭოს შექმნაზე პრაქტიკოსი უფლებადამცველების მონაწილეობით, რომელსაც სისტემის საზოგადოებრივი მონიტორინგის განხორციელებისა და სათანადო რეკომენდაციების წარდგენის შესაძლებლობა აქვს. ასეთი ფორმატის საბჭო ხელს შეუწყობს ყველა პრობლემის უფრო ოპერატიულ მოგვარებას, რომელიც ამჟამად სისტემის წინაშე დგას.

# ნანა ქავთარაშვილი: „ქართველი საოპერო მომღერლები მოდაში არიან“

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი ნანა ქავთარაშვილი საშობაო არდადეგებს საქართველოში ატარებს. 20 წლის წინ იტალიაში წასულმა ქართველმა სოპრანომ ისაუბრა იმაზე, თუ როგორია საოპერო ხელოვნება ევროპაში, თუმცა თბილისის ოპერის თეატრში განვითარებულ ბოლო მოვლენებსაც შეეხო.

ნანა ქავთარაშვილი:

– 20 წელია აქედან წასული ვარ, ყოველთვის მოწვევით ჩამოვდივარ, მაგრამ გული შემტკივა ჩემს თეატრზე. ძალიან დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალყურს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მიმდინარე მოვლენებს, ძალიან განვიცადე ყველაფერი. როგორც ყველა ქართველ საოპერო მომღერალს, მეც მინდა, იყოს სიმშვიდე და თეატრი იყოს უმაღლეს დონეზე. 2005 წლიდან ჩამოვდივარ ჩვენი ოპერის თეატრში, ჯერ კიდევ დათო საყვარელიძის და ზაზა აზმაიფარაშვილის დროს, ყოველთვის მიწვევდნენ, ვმღეროდი, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, მათი წყალობით გამიცნო საქართველომ. რაც შეეხება გიორგი ჟორდანიას, ინტელიგენტი ბიჭია, კარგი პიროვნება მგონია, ორჯერ ვნახე, ვიმღერე მისი დირიჟორობით და რა ვიცი... ჩემი სურვილია თეატრში არ იყოს განხეთქილება. ერთია ოპერის თეატრი და ეს აბსოლუტურად ყველას ტკივილია. აქ ვარ და არ შემიძლია იგნორირება გავუკეთო ამ ყველაფერს. მართალია, შიდა სამზარეულო არ ვიცი, მაგრამ მაინც მინდა, რომ ჩემი თეატრი იყოს კარგად და იყოს სიმშვიდე.

*– საშობაო–საახალწლო არდადეგები გაქვთ საქართველოში?*

– დიახ. 29 დეკემბრის გალაკონცერტზე მომიწვიეს, ძალიან კარგი საღამო გამოვიდა, ამ მიზეზით ჩამოვედი, თან დაემთხვა ახალი წელი, შობა და დავრჩი საქართველოში. 20 იანვარს უკვე მივემგზავრები.

*– რატომ წახვედით საქართველოდან?*

– 90-იან წლებში, როცა ყველაფერი აირია, მაშინ გადავწყვიტე საკუთარი თავისთვის მეშველა. როგორც კი გაიხსნა გზები, მაშინვე წავედი, არაფერი აღარ ფუნქციონირებდა, იყო უშუქობა, უწყლობა, უგაზობა, კულტურა ჩაკვდა, თბილისის ნგრევა მიმდინარეობდა. ამდენი წლის მიუხედავად, მაინც არ მთავრდება ქაოსი, თითქოს სიმშვიდეა, მაგრამ არ ლაგდება სიტუაცია. არაჯანმრთელი სიტუაციაა საქართველოში.

*– ასე ჩანს შორიდან?*

– რომ ჩამოვდივარ, მაშინ ვგრძნობ ამას და გული მტკივა. ძალიან შევეჩვიე იქაურობას, მაგრამ ყველა უცხოეთში მცხოვრებ ქართველს მაინც აქვს საშინელი ნოსტალგია. საკმარისია ორი თვე გავიდეს, რომ უკვე საქართველოში მინდა. ვიცი, რომ აქ ძალიან ბევრ არასასიამოვნო ფაქტს ვაწყდები, მაგრამ მაინც აქ მომიწევს გული, მერე ისევ აქედან გავრბივარ და ასე.

*– საქართველოში მხოლოდ მოწვევით ჩამოდიხართ?*

– კი, სტუმარივით ვარ. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ როცა დალაგდება ყველაფერი, ხშირად ჩამოვიდე. მით უმეტეს, წელს იხსნება განახლებული ოპერის თეატრი და დიდი სურვილი მაქვს, ჩვენი ოპერას თეატრის კალენდარზეც იყოს ჩემი სახელი და გვარი. მინდა, რომ ყველაფერი იყოს სათანადო დონეზე. 9 წელია საქართველოში თითქმის ყოველ წელს მიწვევენ, პრემიერა იქნება თუ პაატა ბურჭულაძის ფონდის „იავნანა“ კონცერტები, სააღდგომო ფესტივალები. ოპერის თეატრიც ყოველთვის მიწვევდა, თუკი რამე პრემიერა იქნებოდა. გიორგი ჟორდანიაც რომ მოვიდა ოპერის თეატრში, მანაც მომიწვია. ჩვენ მომღერლები ვართ, ხელოვანი ხალხი, უნდა ვიმღეროთ, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება, რა იქნება, მაგრამ დაძაბულობა არ არის სასიამოვნო.

*– როგორია წელს თქვენი საკონცერტო გასტროლები?*

– იტალიაში ვცხოვრობ, მაგრამ კონტრაქტული სისტემით ვმოგზაურობ მთელს მსოფლიოში, ევროპაში, სადაც მიმიწვევენ. ბოლო პერიოდში იტალიაში კრიზისია. ბოლო ორი წელია თეატრებს არ აფინანსებენ, აირია იქაც სიტუაცია, ხელფასებს არ იძლევიან და თეატრები იხურება. ეს ძალიან დიდი კრიტიკული მომენტია იტალიისთვის, რადგან ეს ქვეყანა არის ოპერის დედა. იქ იხურება მნიშვნელოვანი თეატრები დაუფინანსებლობის გამო, ეს დიდი ტრაგედიაა, საპროტესტო აქციები და გამოსვლებიც იყო. თან არც გიხდიან, შეიძლება იმღერო სპექტაკლი, მიგიწვიონ და 6 თვე ან ერთი წელი არ გადაგიხადონ, ან საერთოდ არ გადაგიხადონ, ან ძალიან ცოტას იხდიან, ამიტომ ძირითადად ვმოღვაწეობ დასავლეთ ევროპაში, გერმანიაში, ჩეხეთში მაქვს ბევრი მიწვევა. პრაღის ნაციონალურ თეატრში მაქვს ბევრი სპექტაკლი დაგეგმილი, მომავალ წელს ვენაში, ლონდონში უნდა გავიდე. კმაყოფილი ვარ, შეიძლება ძალიან დიდი ანაზღაურება არ არის, მაგრამ სისტემატურად ბევრი სპექტაკლი რომ გაქვს, შემოსავალიც არის, თან სულ მობილიზებული ვარ და ფორმაში, ბევრი სპექტაკლია, სხვადასხვა რეპერტუარია, სხვადასხვა ოპერებია, მოსმენებზე გავდივარ. კმაყოფილი ვარ, რომ სცენაზე ვდგავარ. მომავალი გვიჩვენებს, რა იქნება, რადგან დიდ მოსმენებზე გასვლას ვაპირებ.

*– წელს გაქვთ სადებიუტო გამოსვლა თუ ყველა იმ ქვეყანაში უკვე გიცნობენ, სადაც მოგიწევთ სიმღერა?*

– წელს ისევ იმ ქვეყნებში მიწევს გამოსვლა, სადაც მიცნობენ, მაგრამ მოსმენები უნდა გავაკეთო იმ ქვეყნებშიც, სადაც არ მიცნობენ და იმედია, ყველაფერი კარგად ჩაივლის. ძალიან დიდი თეატრებია, შეიძლება მქონდეს დებიუტი და პირველად ვიმღერო ამ ქვეყნებში.

*– მოსმენები ბევრისთვის მიუღებელია, თქვენთვის?*

– პირადად ჩემთვის ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, ყოველთვის გავდივარ მოსმენაზე. როცა ძალიან ცნობილია მომღერალი, მას ნამდვილად არ სჭირდება მოსმენა, რადგან ყველამ იცის, ვინ არის. როცა ჩვეულებრივი ან ცოტა მეტიც არის მომღერალი და მას მოსმენას უნიშნავენ, ყოველთვის გამოთქვამს პრეტენზიას, რადგან ყველას თავისი თავი მარია კალასად მიაჩნია. მიმაჩნია, რომ მოსმენაზე უნდა გახვიდე, თეატრის დირექტორიც იცვლება, მასაც კონტრაქტული სისტემა აქვს, ამიტომ მანაც უნდა მოგისმინოს. ერთადერთი შეიძლება იმიტომ გამოთქვამენ პრეტენზიებს მოსმენაზე ზოგიერთები, რომ ყველაფერი ეს მგზავრობასთან, თანხებთან არის დაკავშირებული.

*– ამართლებს ხოლმე მოსმენები?*

– საქართველოში რომ ტარდება მოსმენები, გამოდიან და იძახიან, რად მინდა მოსმენაო, რატომ არ გინდა? ყველას უნდა მოსმენა. საქართველოში საკმაოდ მიცნობენ, მაგრამ რომ მითხრას თეატრის დირექტორმა, უნდა მოგისმინოო, გავალ და ვიმღერებ, რა პრობლემაა? რეჟისორსაც თავისი შეხედულება აქვს და უნდა მოგისმინოს აუცილებლად.

*– რამდენად სამართლიანები არიან ევროპაში მოსმენების დროს?*

– იქაც არის ნაცნობობა. ყოველი თეატრი ვალდებულია კანონების და წესების მიხედვით, ჩაატაროს მოსმენები. გეგმიურ მოსმენებზე გასვლას აზრი არ აქვს, მაგრამ ბევრი მაინც გადის, იქნებ გამიმართლოსო. პირადად მე, ასეთ მოსმენებზე გასვლისგან თავს ვიკავებ, რადგან სავალდებულო მოსმენებში ბევრი იღებს მონაწილეობას, კომისია ზის მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით, მას ამას კანონი ავალდებულებს. 2-3 დღიანი მოსმენები ტარდება ხოლმე და იქიდან არც ერთი არ ხვდება შემადგენლობაში, რადგან თეატრს შემადგენლობა უკვე შერჩეული ჰყავს, მაგრამ მოსმენას მაინც ატარებს. შეიძლება პატარა როლებზე ვილაცას გაუმართლოს, მაგრამ მთავარ როლებზე თეატრში უკვე ჰყავთ მომღერლები. ეს გავიგე საკმაოდ გვიან, რამდენიმე წლის შემდეგ, ძალიან ბევრი თანხა წავიდა ამ მოსმენებში, გადაფრენა-გადმოფრენა, სასტუმრო, ტაქსი, ყველაფერი ფული დაჯდა. სულ ვეკითხებოდი ჩემ თავს, რა ხდება, არც ერთი მოსმენა არ ამართლებს, ნუთუ ასეთი ცუდი ვარ-მეთქი. ასეთ დროს მორალურად ნადგურდები, პასუხს აღარ გცემენ. დასავლეთ ევროპაში უფრო კულტურულები და ცივილიზებულები არიან, გიპასუხებენ, წერილობით მოგწერენ, რომ ძალიან მოეწონე, რეზერვში ეყოლები და თუ საჭირო იქნება, გამოგიძახებენ, ასე მოგიშორებენ თავიდან. იტალიაში საერთოდ შეიძლება არც მოგწერონ და არც გიპასუხონ, რომ იმღერებ, მადლობას გეტყვიან და მორჩა. მთავარი მენეჯერები და აგენტები არიან, მათ ჰყავთ თავისი არტისტები წარდგენილი, ყველა აგენტი თავის თეატრთან არის კონტაქტში და მათი მომღერლები მღერიან. მომსმენების გაკეთება მიყვარს დირიჟორებთან, როცა ვიცი, რომ დირიჟორი ზის, ვინც უნდა იდირიჟოროს ოპერა, მაშინ ყოველთვის გავდივარ, აზრიც აქვს და წარმოიდგინეთ, ხშირად მიმართლებს ხოლმე. ძალიან რთული და შრომატევადი პროფესიაა, რაღაცას მიაღწევ დიდი ტანჯვით და წვალებით. როგორი მხარდამჭერიც არ უნდა გყავდეს, მაინც ძალიან ძლიერი და კარგი უნდა იყო. აგენტებიც რომ მუშაობენ არტისტებზე, ის არტისტებიც არიან სტაბილურები. აგენტი არ მოგკიდებს ხელს, თუ არ იცის, რომ შენგან დიდ შემოსავალს მიიღებს. ერთხელ შეიძლება გამღეროს ვიღაცის ხათრით, მაგრამ მერე უკვე აღარ სჭირდები, რადგან შენგან არანაირი შემოსავალი არ აქვს. მათ ძალიან ძლიერებთან აქვთ კონტაქტი. ასე რომ, მთელ მსოფლიოში ერთი და იგივე სიტუაციაა. ქართველი რომ საზღვარგარეთ კარიერას იკეთებს და ცნობილი ხდება, ეს ასმაგად დასაფასებელია. წარმოიდგინეთ, ევროპაში ჯერ თავისი მომღერლები ჰყავთ და უცებ ქართველი რომ გამოჩნდება. თან რამდენი ქართველი გამოჩნდა წარმატებით საზღვარგარეთ? ე.ი. რამდენად ნიჭიერი ხალხი ვართ. საქართველოში ხმების, ნიჭის, მუსიკის საბადოა, ძალიან ნიჭიერები ვართ, უბრალოდ, ერთი ნაკლი გვაქვს, ერთმანეთის ჭამა და გაუტანლობა გვჭირს. მთელ მსოფლიოში საოპერო ხელოვნებაში მოდაში არიან ქართველი მომღერლები. პირველი პრემიერა იქნება, სეზონის გახსნა მეტროპოლიტენში, ლა სკალაში თუ კოვენტ გარდენში, ქართველია ყველგან. ხანდახან არის, რომ სამი-ოთხი ქართველია ერთ ოპერაში.

*– ყველას უჭირს გამორჩეულად საყვარელი როლის დასახელება, თქვენც ასე ხართ?*

– ნამდვილად, ყველა ის პარტია მიყვარს, რაც მიმღერია, ყველა ჩემი საყვარელია. როცა პარტიას ვიღებ და ვიცი, რომ უნდა ვიმღერო, ამ როლში ვძვრები და მაქსიმალურად ვირგებ, თან მიყვარდება ძალიან. ბევრი ოპერა მიმღერია, ბევრი როლი



მქონია და ყველა ჩემთვის საყვარელია. იყო პერიოდი, როცა ვერდის მაკბეტში ძალიან დიდხანს ვმღეროდი ლედი მაკბეტს და სულ ამ როლში ვიყავი, მართლაც ულამაზესი როლია, რომელიც მოვამზადე რენატა სკოტოსთან, ლეგენდარული ადამიანია, თვითონაც არაჩვეულებრივად ასრულებდა. ეს იყო ჩემი საყვარელი როლი ბევრი წლის განმავლობაში თავისი მრავალფეროვნების გამო. მერე ვერიზმზე გადავედი ვერდიდან, მიყვარს ტოსკას პარტია, სანტუცას პარტია, ამ ბოლო ხანებში ყველა მეუბნება ვინც მომისმინა, რომ ვაგნერის ხმა გაქვსო. პირველად ვაჟა ჩაჩავამ რომ მომისმინა, გაჩერდა, მიყურა და მითხრა, თქვენ ვაგნერის მომღერალი ხართო. ეს ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო, რადგან 20 წელია იტალიაში ვცხოვრობ და სულ იტალიურ ოპერებს ვმღერი ევროპის ქვეყნებში. ვაგნერი უდიდესი კომპოზიტორია, ვუსმენდი მის ოპერებს სიამოვნებით, მაგრამ ვიყავი კონცენტრირებული იმ ოპერებზე, რომელსაც ვასრულებდი. არასოდეს არ მქონდა ვაგნერის ოპერები შესრულებული. მითხრა, მომიმზადე ბრუნჰილდის სიკვდილის 20 წუთიანი სცენა და იზოლდას სიკვდილის სცენაო. ეს ორი სცენა მომამზადებინა ვაჟამ, გავდიოდი მოსმენებზე ამით და ყველა აღფრთოვანებული იყო, რადგან ვაგნერს ძალიან მასშტაბური ხმა სჭირდება, უზარმაზარი ორკესტრი უკრავს, ამიტომ მისი შემსრულებლები არიან ძალიან ცოტანი. როგორც მეუბნებიან, მაქვს ძალიან პოტენციური და დიდი ხმა და როგორც შემიძლია დრამატული რეპერტუარი თუ ვერიზმი ვიმღერო, ასევე ვაგნერიც. როცა ვაგნერს მღერი, ორკესტრი ფარავს ხმებს, ისეთი მრავალფეროვანი ჟღერადობაა, აუცილებლად უნდა გქონდეს ძალიან დიდი ხმა, ასევე სირბილე, რომ ორკესტრს შენმა ხმამ გადაუფრინოს და არ გაჯობოს. ამიტომაც იშვიათია ვაგნერის მომღერლები და იყიდებიან ოქროზე, ძალიან დიდი ანაზღაურება აქვთ. ჩემი პრობლემა ის არის, რომ არ ვიცი გერმანული ენა, ყველა მეუბნება, დაიწყე გერმანულის სწავლა, ვაგნერით გაიკეთებ უდიდეს კარიერასო. ცოტა დავიწყე, თბილისის ოპერაშიც აპირებენ ვაგნერის დადგმას, დათო საყვარელიძეც მეუბნებოდა, გიორგი ჟორდანიაც, ისწავლე გერმანული, ვაგნერი უნდა დავდგათო. ასე რომ, ახალი დავალება მაქვს. სკოლაში ვსწავლობდი გერმანულს, არ მიჭირს კითხვა, წერა, გრამატიკა ცოტა ვისწავლე, რომ ვცადეთ ბრუნჰილდის სიმღერა, არ გამჭირვებია. პრაღაშიც ამას მთხოვენ, ვაგნერის ოპერების დადგმა უნდათ და ოპერის დირექტორმა შემომთავაზა. ერთდროულად ყველამ ვაგნერი მოინდომა. მსოფლიოში ვაგნერი და რუსული ოპერებია მოდაში. ვისთანაც მივდივარ, ყველა მეუბნება, ვაგნერი მოამზადეო, ამიტომ თავი უნდა დავაკლა გერმანულ ენას და ვაგნერზე ვიმუშაო. ვაგნერის გარდა აიდას, ტრუბადურს, ნაბუქოს მთავაზობენ, აბიგაილის პარტიას ვმღერი. შარშან 4 სპექტაკლი დავიტოვე და 30 სპექტაკლი გავაუქმე, ძალიან დაღლილი ხმა მაქვს ხოლმე, ურთულესი პარტიაა. თან ათასი სხვა რამ მაქვს სამღერი, მაგრამ რომც არ მქონდეს, ნაბუქოს ამდენს არ ვიმღერებ. წელიწადში 30 სპექტაკლი ნაბუქო რომ იმღერო, ხმას დაკარგავ. ერთი სპექტაკლის მერე დრო გინდა, რომ აღიდგინო ენერგია და გადაღლილი სახმო სიმები დაასვენო. ხმასაც ხელშეწყობა და მოვლა სჭირდება, იმიტომ ვსუქდებით საოპერო მომღერლები, რომ სულ გვძინავს და ვჭამთ, რომ ენერგია აღვიდგინოთ, რეპეტიციებზე ცალკე ვიღლებით, ეს გადაფრენა-გადმოფრენა ცალკე პრობლემაა, საათების განსხვავება, აქ დღეა, იქ ღამეა. სულაც არ არის საჭირო ოპერის მომღერალი იყოს მსუქანი, ადრე იმდენად არ აქცევდნენ ყურადღებას გარეგნულ მხარეს, მთლიანად კონცენტრირებული იყვნენ ხმაზე. მერე მარია კალასმა შეიტანა ცვლილებები და ვიზუალური მხარეც გახდა საჭირო. უმეტესობა ვიტამინებზე ზის, რომ ენერგიულად იყოს და იმიტომაც სუქდებიან.

დღევანდელი რეჟისორები აქცევენ ყურადღებას ესთეტიკურ მხარეს, ეს მისასალმებელია, მაგრამ მეორე მხრივ, არის კატასტროფა, იმიტომ, რომ რეჟისორები იყვანენ ლამაზ გოგოს, გრძელფეხებას, მოდელის გარეგნობით და მიკროფონში ამღერებენ, იმიტომ, რომ ხმა არ აქვს. ხალხს უკვე მობეზრდა გრძელი ფეხების ყურება, ხმა მოგვასმენინეთო, მოითხოვენ. ასე ნელ-ნელა ოპერაც გადაგვარდა. მენეჯერებმა გააფუჭეს ოპერა.

*– ევროპულ საოპერო წარმოდგენებში თამამი სცენების გამოყენებაც ერთგვარი ხრიკია მაყურებლის მისაზიდად?*

– რა თქმა უნდა. დღევანდელი თანამედროვე რეჟისორები ტრადიციულ ოპერებს ეძახიან ნაფტალინის ოპერებს, იმიტომ, რომ სულ ტრადიციულად იდგმება. იმდენ მრავალფეროვნებას იგონებენ თანამედროვე ოპერებისთვის, რომ მარაზმში გადადის, ველარ იგებ, ვის რა როლი აქვს, დაარბენინებენ, ახტუნავებენ, არადა, სიმღერის დროს მომღერალი უნდა იყოს გაჩერებული.

*– თქვენ მოგიწიათ ასეთ სპექტაკლში მონაწილეობა?*

– კი, მქონდა ასეთი სანტუცა. „სოფლის პატიოსნება“ ძალიან ტრადიციულია, სიცილიური ცხოვრების აღწერის შინაარსია ამ ოპერაში, ყოველთვის ტრადიციულად იდგმებოდა. შევხვდი გერმანელ რეჟისორს, რომელმაც ისეთი საშინელებები გააკეთა, რომ პრემიერაზე ხალხი კი მოვიდა, მაგრამ რამდენიმე სპექტაკლის შემდეგ 10 კაციღა იჯდა, ეს მართლა საშინელება იყო. მუსოლინის პერიოდის სპექტაკლი დადგა, მთავარ გმირს სანტუცას ჩამაცვა ჩექმები, ჯარისკაცის სამოსი, ტურიდუ არის მეხანძრე, ალფიო არის მაფიოზი. მაკრატლით დავდევ ტურიდუს, რომ მოვკლა. მერე შუბს დავინახავ, ავიღებ და იმით ვაშინებ, მერე თავს ვიკლავ, ვენებს ვიჭრი, წამლებს ვსვამ, თავი უნდა მოვიწამლო, მერე ლოლა ყვავილს რომ ესვრის, გამოვტაცებ და ვურტყამ. თან ისეთი კოსტიუმები გვეცვა, შეეშინდა ხალხს. საგრიმიორო გააკეთა კიდევ, ვითომ იქ ვზივარ, თან თეატრია, თან მუსოლინის პერიოდია, თან კინოგადაღებაა და იმდენი ქაოსი იყო ერთ სპექტაკლში, მაყურებელმა ვერ გაიგო, რა ხდებოდა. ამას იმით ამართლებენ, რომ მობეზრდა ხალხს ერთი და იგივეს ყურებაო, იმდენს ვერ ხვდებიან, რომ ოპერას მოსმენა უნდა.

*– გარყვნილობებსაც დგამენ ოპერებში?*

– კი, არიან ასეთი რეჟისორებიც. ისეთი მიზანსცენები აქვს, რომ გაშიშვლებულებიც არიან მომღერლები, სექსუალური, პორნოგრაფიული მომენტებიც არის გერმანიაში, იმიტომ, რომ უფრო იზიდავს ხალხს. არც ერთი საოპერო ნაწარმოები არ იძლევა ამის საშუალებას, მაგრამ ზოგიერთმა რეჟისორმა თავზე ხელი აიღო. იტალიაში ამდენს ვერ ბედავდნენ. იქ რომ ასეთი საშინელი მიზანსცენები დადგან, სასწაული მოხდება, იტალიას იცავს თავისი მაყურებელი. ისინი არიან განლაგებული გალერეაში და როცა რეჟისორი ასეთ საშინელებებს დადგამს, პრემიერებს უშლიან ზემოდან, არ პატიობენ. ძალიან ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა გაუპარებიათ კიდეც თეატრიდან ჩამოყვანილი რეჟისორი. ტრადიციულ პარმის თეატრში პატარა შეცდომასაც არ აპატიებენ არავის, ვარსკვლავსაც არ გაუვლია, რომ არ დაესტვინათ ან რამე არ ესროლათ. ასევეა ლა სკალაშიც. პირადად შევესწარი, როგორ ჩაიშალა „მაკბეტი“. პირველი აქტის მერე დიდი აჟიოტაჟი იყო და მეორე აქტის მერე აღარ გაგრძელდა სპექტაკლი და გააპარეს რეჟისორი, ემუქრებოდნენ, არ გამოხვიდე, დაგხვდებით და არ გაპატიებთ ვერდის შეურაცხყოფასო. ამ სპექტაკლში იყო ჰიტლერი, ჩარლი ჩაპლინი ცეკვავდა, ბერლინის დაბომბვას აჩვენებდნენ მაშინ, როცა ჯადოქრები ცეკვავენ, არადა, ეს ყველაზე ლამაზი მომენტია. იდიოტობებს იგონებენ, რა თქმა უნდა, ყველას არ ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ ზომიერების დაცვაა საჭირო, ოპერა ნელ-ნელა გადაგვარებისკენ მიდის. 7 დეკემბერს ლა სკალას სეზონის გახსნა იყო და საშინელი ტრავიატა დაიდგა. ეს იყო რუსი რეჟისორი, პეტერბურგიდან იყო მოწვეული, დირიჟორობდა დანიელა გატი და ცნობილი მომღერლები მღეროდნენ. არადა, ჯუზეპე ვერდის 200 წლის იუბილე იყო, მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები ტრავიატა იდგმებოდა, ალბათ დაავიწყდათ ეს ყველაფერი და დადგეს საშინელება და მაშინაც სკანდალი იყო სპექტაკლის დროს. ყველა ბუს ყვიროდა, ეს ყველაზე დიდი შეურაცხყოფაა. ისეთი ბუები და ლანძღვა იყო გალერიიდან, ნამდვილი შოკი იყო. გალერისტებს ცალკე შესასვლელი აქვს, სულ ესწრებიან სპექტაკლებს. ისინი დიდი მელომანები არიან, რომლებმაც იციან წერტილიც და მძიმეც, არაფერს გაპატიებენ, ჩასაფრებულები არიან და როგორც კი შეურაცხყოფას მიაყენებ მათ საყვარელ კომპოზიტორს, იწყებენ ლანძღვას და სტვენას. ასეთი რამ რომ ხდება, მოხარული ვარ. დღევანდელ მენეჯერებს და რეჟისორებს უხარიათ, რომ ესენი უკვე დაბერდნენ და გადაჯიშდნენო, არადა, მალე ახლებიც იქნებიან, მადლობა ღმერთს, რომ არსებობენ, თორემ მართლა გადააგვარებდნენ ოპერას. იტალიაში ასე თუ ისე ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ტრადიციები, გერმანიაში კი არის გარყვნილობა. მასში ქართველებსაც მიუღიათ მონაწილეობა, მაგრამ უარს ვერ იტყვი, მაშინ გაგაპროტესტებენ და შენს ადგილს სხვა დაიკავებს. მაშინ უნდა იყო ძალიან ძლიერი, სახელმოხვეჭილი, რომ უარის შემთხვევაში ვერ გაგაპროტესტონ. მაყურებლის დიდი ნაწილი უკვე აპროტესტებს მაღალ ფეხებს, მიკროფონში სიმღერას, გარყვნილებას, მათი სურვილია მოისმინონ ნამდვილი ძლიერი ხმებით შესრულებული ოპერები და ამით მიიღონ სიამოვნება.

# კვირის მატჩი: ჩელსი–მანჩესტერი

ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18.01 სანდერლენდი-საუთჰემპტონი | 3.0 | 3.25 | 2.4 |
| 18.01 კრ.პალასი-სტოკი | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 18.01 არსენალი-ფულემი | 1.22 | 6.0 | 13.0 |
| 18.01 სიტი-კარდიფი | 1.12 | 8.0 | 21.0 |
| 18.01 ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 3.0 | 3.25 | 2.37 |
| 18.01 ნორვიჩი-ჰალი | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 18.01 ლივერპული-ასტონ ვილა | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 19.01 სუონსი-ტოტენჰემი | 3.1 | 3.2 | 2.37 |
| 19.01 ჩელსი-მანჩესტერი | 1.8 | 3.6 | 4.33 |
| 20.01 ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 3.2 | 3.4 | 2.2 |

**სანდერლენდი-საუთჰემპტონი**

სანდერლენდი: *ტრავმ*-კირენ ვესტვუდი, კარლოს გუელარი

საუთჰემპტონი: *ტრავმ*-ვიქტორ ვანუამა

**კრ.პალასი-სტოკი**

კრ.პალასი: *ტრავმ*-კაგიშო დიკაცოი, ჯერომ ტომასი

სტოკი: *ტრავმ*-ენდი უილკინსონი, ასმირ ბეგოვიჩი, რობერტ ჰატი

**არსენალი-ფულემი**

არსენალი: *ტრავმ*-მიკელ არტეტა, ტომას ვერმალენი, თეო უოლკოტი, ნიკლას ბენდტნერი, აარომ რამზი, იაია სანოგო, აბუ დიაბი

ფულემი: *ტრავმ*-მეთიუ ბრიგი

**სიტი-კარდიფი**

სიტი: *ტრავმ*-სამირ ნასრი, ჯეკ როდველი, სტევან იოვეტიჩი

კარდიფი: *ტრავმ*-ჯორდონ მუტჩი, ენდრიუ ტეილორი

**ვესტ ჰემი-ნიუკასლი**

ვესტ ჰემი: *ტრავმ*-უინსტონ რედი

ნიუკასლი: *ტრავმ*-ფაბრიციო კოლოჩინი

**ნორვიჩი-ჰალი**

ნორვიჩი: *ტრავმ*-მაიკლ ტერნერი, ჯონათან ჰაუსონი

ჰალი: *ტრავმ*-რობი ბრეიდი, სონე ალუკო

**ლივერპული-ასტონ ვილა**

ლივერპული: *ტრავმ*-დანიელ აგერი, მამადუ სახო, ჯონ ფლენეგენი, ხოსე ენრიკე

ასტონ ვილა: *ტრავმ*-ნათან ბაკერი, ლიბორ კოზაკი, კრის ჰერდი, იორის ოკორე, ჩარლზ ნზოგბია

**სუონსი-ტოტენჰემი**

სუონსი: *ტრავმ*-ჯონჯო შელვი, ხოსე კანასი, ჯონათან დე გუზმანი, მიჩუ, მიშელ ვორმი

ტოტენჰემი: *ტრავმ*-კილი უოლკერი, პაულინიუ, იან ვერტონგენი

**ჩელსი-მანჩესტერი**

ჩელსი: *ტრავმ*-ბრანისლავ ივანოვიჩი, მარკო ვან გინკელი

მანჩესტერი: *ტრავმ*-პატრის ევრა, უეინ რუნი, ეშლი იანგი, ნანი, რობინ ვან პერსი, მარუან ფელაინი

**ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი**

ვესტ ბრომვიჩი: *ტრავმ*-შტეფან სესინიონი, ბილი ჯოუნსი

ევერტონი: *ტრავმ*-როს ბარკლი, ჟერარდ დელუფო, არუნა კონე, დარონ გიბსონი

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 21 | 15 | 3 | 3 | 41-19 | 48 |
| 2.სიტი | 21 | 15 | 2 | 4 | 59-23 | 47 |
| 3.ჩელსი | 21 | 14 | 4 | 3 | 40-19 | 46 |
| 4.ლივერპული | 21 | 13 | 3 | 5 | 51-26 | 42 |
| 5.ევერტონი | 21 | 11 | 8 | 2 | 34-19 | 41 |
| 6.ტოტენჰემი | 21 | 12 | 4 | 5 | 26-25 | 40 |
| 7.მანჩესტერი | 21 | 11 | 4 | 6 | 35-24 | 37 |
| 8.ნიუკასლი | 21 | 10 | 3 | 8 | 29-27 | 33 |
| 9.საუთჰემპტონი | 21 | 8 | 6 | 7 | 27-23 | 30 |
| 10.ჰალი | 21 | 6 | 5 | 10 | 22-27 | 23 |
| 11.ასტონ ვილა | 21 | 6 | 5 | 10 | 20-27 | 23 |
| 12.სტოკი | 21 | 5 | 7 | 9 | 22-35 | 22 |
| 13.სუონსი | 21 | 5 | 6 | 10 | 26-30 | 21 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 21 | 4 | 9 | 8 | 23-28 | 21 |
| 15.ნორვიჩი | 21 | 5 | 5 | 11 | 17-35 | 20 |
| 16.ფულემი | 21 | 6 | 1 | 14 | 22-46 | 19 |
| 17.ვესტ ჰემი | 21 | 4 | 6 | 11 | 21-30 | 18 |
| 18.კარდიფი | 21 | 4 | 6 | 11 | 15-34 | 18 |
| 19.სანდერლენდი | 21 | 4 | 5 | 12 | 19-34 | 17 |
| 20.კრ. პალასი | 21 | 5 | 2 | 14 | 13-31 | 17 |




ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18.01 ბეტისი-რეალი | 9.5 | 5.5 | 1.28 |
| 18.01 ელჩე-რაიო | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 18.01 გრანადა-ოსასუნა | 2.05 | 3.25 | 3.8 |
| 18.01 ესპანიოლი-სელტა | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 19.01 ხეტაფე-სოსიედადი | 3.1 | 3.3 | 2.3 |
| 19.01 ვილიარეალი-ალმერია | 1.35 | 4.8 | 9.0 |
| 19.01 ლევანტე-ბარსელონა | 13.0 | 7.5 | 1.18 |
| 19.01 ატლეტიკო-სევილია | 1.36 | 4.8 | 8.5 |
| 20.01 ბილბაო-ვალიადოლიდი | 1.4 | 4.5 | 8.0 |

**ბეტისი-რეალი**

ბეტისი: *ტრავმ*-ხავი ტორესი, ნოსა იგებორი; *დისკვ*-ნონო

რეალი: *ტრავმ*-რაფაელ ვარანი, სამი ხედირა

**ელჩე-რაიო**

ელჩე: *ტრავმ*-კრისტიან ერერა

რაიო: *ტრავმ*-ალბერტო პერეა, სება ფერნანდესი, ანაიტ არბილა, ხოსე კარლოსი

**გრანადა-ოსასუნა**

გრანადა: *ტრავმ*-ჰასან იებდა, ოდონ იგალო

ოსასუნა: *ტრავმ*-ემანუელ არმენტეროსი, სისი; *დისკვ*-ანდრეს ფერნანდესი

**ესპანიოლი-სელტა**

ესპანიოლი: *ტრავმ*-დავიდ ლოპესი

სელტა: *ტრავმ*-არავინ

**ხეტაფე-სოსიედადი**

ხეტაფე: *ტრავმ*-პედრო მოსკერა

სოსიედადი: *ტრავმ*-ალბერტო დე ლა ბელა, დანიელ ესტრადა, ესტებან გრანერო; *დისკვ*-ინიგო მარტინესი

**ვილიარეალი-ალმერია**

ვილიარეალი: *ტრავმ*-ფრანსისკო ფარინოსი

ალმერია: *ტრავმ*-ნელსონი

**ლევანტე-ბარსელონა**

ლევანტე: *ტრავმ*-დავიდ ნავარო, პაპა ბაბაქარ დიავარა; *დისკვ*-დავიდ ბარალი

ბარსელონა: *ტრავმ*-ნეიმარი, ჯონათან დოს სანტოსი; *დისკვ*-დანი ალვეში

**ატლეტიკო-სევილია**

ატლეტიკო: *ტრავმ*-მარიო სუარესი

სევილია: *ტრავმ*-შტეფან მბია, დენის ჩერიშევი

**ბილბაო-ვალიადოლიდი**

ბილბაო: *ტრავმ*-უნაი ალბიზუა; დიკსვ-მორენო მიკელ რიკო, მიკელ სან ხოსე

ვალიადოლიდი: *ტრავმ*-უმბერტო ოსორიო, ჟილბერტო გარსია

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 19 | 16 | 2 | 1 | 53-12 | 50 |
| 2.ატლეტიკო | 19 | 16 | 2 | 1 | 47-11 | 50 |
| 3.რეალი | 19 | 15 | 2 | 2 | 53-21 | 47 |
| 4.ბილბაო | 19 | 11 | 3 | 5 | 32-24 | 36 |
| 5.ვილიარეალი | 19 | 10 | 4 | 5 | 37-21 | 34 |
| 6.სოსიედადი | 19 | 9 | 5 | 5 | 36-28 | 32 |
| 7.სევილია | 19 | 8 | 6 | 5 | 36-30 | 30 |
| 8.ვალენსია | 19 | 7 | 2 | 10 | 26-31 | 23 |
| 9.გრანადა | 19 | 7 | 2 | 10 | 19-25 | 23 |
| 10.ლევანტე | 19 | 6 | 5 | 8 | 18-27 | 23 |
| 11.ხეტაფე | 19 | 7 | 2 | 10 | 20-31 | 23 |
| 12.ესპანიოლი | 19 | 6 | 4 | 9 | 22-25 | 22 |
| 13.ოსასუნა | 19 | 6 | 3 | 10 | 17-29 | 21 |
| 14.მალაგა | 19 | 5 | 5 | 9 | 19-24 | 20 |
| 15.სელტა | 19 | 5 | 4 | 10 | 23-31 | 19 |
| 16.ალმერია | 19 | 5 | 4 | 10 | 21-38 | 19 |
| 17.ელჩე | 19 | 4 | 6 | 9 | 17-28 | 18 |
| 18.ვალიადოლიდი | 19 | 3 | 7 | 9 | 21-33 | 16 |
| 19.რაიო | 19 | 5 | 1 | 13 | 19-45 | 16 |
| 20.ბეტისი | 19 | 2 | 5 | 12 | 16-38 | 11 |

იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 18.01 რომა-ლივორნო | 1.17 | 7.0 | 15.0 |
| 18.01 იუვენტუსი-სამპდორია | 1.18 | 6.5 | 17.0 |
| 19.01 უდინეზე-ლაციო | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 19.01 კატანია-ფიორენტინა | 3.6 | 3.4 | 2.05 |
| 19.01 ატალანტა-კალიარი | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 19.01 ბოლონია-ნაპოლი | 5.0 | 3.8 | 1.67 |
| 19.01 ჯენოა-ინტერი | 3.75 | 3.6 | 1.95 |
| 19.01 კიევო-პარმა | 2.9 | 3.0 | 2.6 |
| 19.01 სასუოლო-ტორინო | 2.8 | 3.3 | 2.5 |
| 19.01 მილანი-ვერონა | 1.5 | 4.4 | 6.0 |

**რომა-ლივორნო**

რომა: *ტრავმ*-ფედერიკო ბალძარეტი

ლივორნო: *ტრავმ*-არავინ

**იუვენტუსი-სამპდორია**

იუვენტუსი: *ტრავმ*-არავინ

სამპდორია: *ტრავმ*-არავინ; *დისკვ*-ნენად კრტიჩიჩი, რობერტო სორიანო

**უდინეზე-ლაციო**

უდინეზე: *ტრავმ*-არავინ; *დისკვ*-ალანი, გაბრიელ სილვა

ლაციო: *ტრავმ*-ლორიკ კანა, სტეფანო მაური; *დისკვ*-კრისტიან ლედესმა

**კატანია-ფიორენტინა**

კატანია: *ტრავმ*-პაბლო ალვარესი, სერხიო ალმირონი; *დისკვ*-ჯინო პერუცი, ფრანჩესკო ლოდი

ფიორენტინა: *ტრავმ*-ჯუზეპე როსი, მარიო გომესი

**ატალანტა-კალიარი**

ატალანტა: *ტრავმ*-ანდრეა კონსილი, ჯანპაოლო ბელინი; *დისკვ*-იოან ბენალუანი

კალიარი: *ტრავმ*-მიქელე აგაცი; *დისკვ*-მაურისიო პინილია

**ბოლონია-ნაპოლი**

ბოლონია: *ტრავმ*-ალესანდრო დიამანტი, ფრედერიკ სორენსენი

ნაპოლი: *ტრავმ*-ვალონ ბეჰრამი, ჯანდომენიკო მესტო, ხუან ზუნიგა

**ჯენოა-ინტერი**

ჯენოა: *ტრავმ*-ალესანდრო გამბერინი, იურაი კუჩკა; *დისკვ*-მათისალემი

ინტერი: *ტრავმ*-მაურო იკარდი, კრისტიან კივუ

**კიევო-პარმა**

კიევო: *ტრავმ*-არავინ

პარმა: *ტრავმ*-ჯოელ ობი, სტეფანო ოკაკა ჩუკა

**სასუოლო-ტორინო**

სასუოლო: *ტრავმ*-გაეტანო მასუჩი, ფრანჩესკო აცერბი, ემანუელე ტერანოვა; *დისკვ*-სიმონე ზაზა, მარსელო გაცოლა

ტორინო: *ტრავმ*-მარსელო ლარონდო

**მილანი-ვერონა**

მილანი: *ტრავმ*-შტეფან ელ შაარავი; *დისკვ*-სალი მუნტარი

ვერონა: *ტრავმ*-ჯაკომო სალა, სამუელ ლონგო

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 19 | 17 | 1 | 1 | 46-12 | 52 |
| 2.რომა | 19 | 13 | 5 | 1 | 39-10 | 44 |
| 3.ნაპოლი | 19 | 13 | 3 | 3 | 41-20 | 42 |
| 4.ფიორენტინა | 19 | 11 | 4 | 4 | 34-20 | 37 |
| 5.ინტერი | 19 | 8 | 8 | 3 | 38-23 | 32 |
| 6.ვერონა | 19 | 10 | 2 | 7 | 34-30 | 32 |
| 7.ტორინო | 19 | 6 | 8 | 5 | 31-27 | 26 |
| 8.პარმა | 19 | 6 | 8 | 5 | 29-26 | 26 |
| 9.ლაციო | 19 | 6 | 6 | 7 | 23-26 | 24 |
| 10.ჯენოა | 19 | 6 | 5 | 8 | 19-24 | 23 |
| 11.მილანი | 19 | 5 | 7 | 7 | 31-30 | 22 |
| 12.სამპდორია | 19 | 5 | 6 | 8 | 22-27 | 21 |
| 13.ატალანტა | 19 | 6 | 3 | 10 | 20-29 | 21 |
| 14.კალიარი | 19 | 4 | 9 | 6 | 19-28 | 21 |
| 15.უდინეზე | 19 | 6 | 2 | 11 | 18-28 | 20 |
| 16.კიევო | 19 | 4 | 5 | 10 | 14-24 | 17 |
| 17.სასუოლო | 19 | 4 | 5 | 10 | 21-41 | 17 |
| 18.ბოლონია | 19 | 3 | 7 | 9 | 17-33 | 16 |
| 19.ლივორნო | 19 | 3 | 4 | 12 | 16-33 | 13 |
| 20.კატანია | 19 | 3 | 4 | 12 | 13-34 | 13 |

საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18.01 მარსელი-ვალანსიენი | 1.61 | 3.6 | 6.0 |
| 18.01 ბასტია-ბორდო | 2.8 | 3.1 | 2.62 |
| 18.01 ნიცა-აიაჩო | 1.6 | 3.75 | 6.0 |
| 18.01 რენი-ევიანი | 1.8 | 3.5 | 4.6 |
| 18.01 ლორიანი-გენგამი | 1.91 | 3.3 | 4.33 |
| 18.01 სოშო-მონპელიე | 2.9 | 3.2 | 2.25 |
| 19.01 რეიმსი-ლიონი | 3.3 | 3.2 | 2.25 |
| 19.01 ტულუზა-მონაკო | 4.0 | 3.2 | 2.0 |
| 19.01 პსჟ-ნანტი | 1.25 | 5.5 | 12.0 |

**მარსელი-ვალანსიენი**

მარსელი: *ტრავმ*-ანდრე აიევი

ვალანსიენი: *ტრავმ*-ანტუან ლე ტალეკი, ოპა ნგუეტე, ლინდსეი როუზი

**ბასტია-ბორდო**

ბასტია: *ტრავმ*-ფრანკოის მოდესტო

ბორდო: *ტრავმ*-ჯუსი, ჩეიკ დიაბატე, ლუკას ორბანი, იუნის ქაბული

**ნიცა-აიაჩო**

ნიცა: *ტრავმ*-ჟერემი პიდი, ნემანია პეჩინოვიჩი, მაჰამანე ტრაორე

აიაჩო: *ტრავმ*-სალიმ არაჩე, ჯუნიორ ტალო, შტეფან პოპესკუ, რონალდ ზუბარი, ბენუა პედრეტი

**რენი-ევიანი**

რენი: *ტრავმ*-ვინსენ პაიო, ჯონ ბოი

ევიანი: *ტრავმ*-იოან დურანი

**ლორიანი-გენგამი**

ლორიანი: *ტრავმ*-ჩეიკ დაკური, ფაბიენ რობერი, ფაბიენ აუდო

გენგამი: *ტრავმ*-რეინალდ რემატრი

**სოშო-მონპელიე**

სოშო: *ტრავმ*-სიმონ პუპლინი, ჟერომ რუსილონი

მონპელიე: *ტრავმ*-ბრაიან დაბო, ჯამელ ბაქარი

**რეიმსი-ლიონი**

რეიმსი: *ტრავმ*-ატილა თურანი, ელინარ ატარი, ანტუან კონტე

ლიონი: *ტრავმ*-მუჰამადუ დაბო

**ტულუზა-მონაკო**

ტულუზა: *ტრავმ*-აიმენ აბდენური, სტივენ იაგო, პავლე ნინკოვი

მონაკო: *ტრავმ*-ბორხა ლოპესი

**პსჟ-ნანტი**

პსჟ: *ტრავმ*-მარკო ვერატი, კრისტოფერ ჟალე

ნანტი: *ტრავმ*-იოან ედელინი

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 19 | 13 | 5 | 1 | 44-13 | 44 |
| 2.მონაკო | 19 | 12 | 5 | 2 | 31-13 | 41 |
| 3.ლილი | 19 | 12 | 4 | 3 | 22-8 | 40 |
| 4.სტ. ეტიენი | 19 | 10 | 3 | 6 | 28-20 | 33 |
| 5.ბორდო | 19 | 8 | 7 | 4 | 27-21 | 31 |
| 6.მარსელი | 19 | 8 | 5 | 6 | 27-20 | 29 |
| 7.ნანტი | 19 | 9 | 2 | 8 | 23-17 | 29 |
| 8.რეიმსი | 19 | 7 | 8 | 4 | 23-21 | 29 |
| 9.ლორიანი | 19 | 8 | 3 | 8 | 26-26 | 27 |
| 10.ლიონი | 19 | 6 | 7 | 6 | 28-27 | 25 |
| 11.ტულუზა | 19 | 6 | 7 | 6 | 20-24 | 25 |
| 12.გენგამი | 19 | 6 | 6 | 7 | 19-19 | 24 |
| 13.ბასტია | 19 | 6 | 6 | 7 | 21-26 | 24 |
| 14.ნიცა | 19 | 7 | 2 | 10 | 18-25 | 23 |
| 15.რენი | 19 | 5 | 6 | 8 | 22-24 | 21 |
| 16.ევიანი | 19 | 5 | 5 | 9 | 19-32 | 20 |
| 17.მონპელიე | 19 | 2 | 11 | 6 | 18-24 | 17 |
| 18.ვალანსიენი | 19 | 3 | 5 | 11 | 17-28 | 14 |
| 19.სოშო | 19 | 2 | 5 | 12 | 15-39 | 11 |
| 20.აიაჩო | 19 | 1 | 6 | 12 | 13-34 | 9 |

# ვაჟა ჟვანია: „ქეცბაიას 10 მილიონიც რომ მისცენ, ამ ნაკრებს შანსი მაინც არ აქვს“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ძალიან ბევრს აკეთებს. გვინდა, მადლიერება გამოვხატოთ სახელმწიფოს, „ქართუ ჯგუფის“ და „დინამო“ თბილისის მიმართ, რასაც ისინი აკეთებენ ვეტერანებისთვის. ვფიქრობ, ფედერაცია სწორი მიმართულებით მიდის და შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს. ხაზი მინდა გავუსვა საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების წარმატებებს, რაც უკვე ტრადიციად იქცა. არ შემიძლია, არ გამოვარჩიო ვასილ მაისურაძე და მისი 19-წლამდელები. ეს არის გამორჩეული გუნდი და გამორჩეული თაობა, რომელიც 2-3 წელში თავის სიტყვას იტყვის.

როცა ვეტერანები ამხანაგურ თამაშებს ვატარებთ, ან სადმე მივდივართ, ყველა ხარჯს ფეხბურთის ფედერაცია ფარავს. თუ ვინმეს იუბილეა, ან ვინმე გარდაიცვალა, ფედერაცია ყველანაირად გვერდში გვიდგას. აქვე გეტყვით, რომ ფედერაცია დაეხმარა ნუკრი კაკილაშვილს, ზორბეგ ებრალიძეს, ვახტანგ კოპალეიშვილს, დავით გოგიას ოპერაციების გაკეთებაში. ინტენსიურად გამოდის წიგნები ქართველ ვეტერანებზე, ქართული ფეხბურთის ლეგენდებზე და ამასაც ფედერაცია აფინანსებს.

ჩვენ გულნატკენები ვართ, რომ ყაველაშვილმა და ჯამარაულმა რაღაც წყალგამყოფივით გაავლეს და თავისთავს „ახალგაზრდა ვეტერანებს“ ეძახიან... ვერაფრით გავიგე, რა არის ეს „ახალგაზრდა ვეტერანი“... ვეტერანი ვეტერანია.

**მურთაზ ხურცილავა:**

– საქმეები წინა წლებშიც კეთდებოდა, მაგრამ ასეთი მასშტაბით არა. მიმდინარეობს მოედნების, ბაზების მშენებლობები; ხორციელდება არაერთი საინტერესო პროექტი და ამის დაუნახავობა არ შეიძლება. ზვიად სიჭინავას მინუსად ჩაუთვალეს, რომ რამაზ შენგელიას დაკრძალვის ხარჯები გაიღო... როგორ, რამაზ შენგელიას ოჯახს ფედერაცია არ უნდა დახმარებოდა?!

– საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპს როგორ შეაფასებთ? რამდენად კარგად ჩატარდა? რას იტყვით ქართულ კლუბებში არსებულ ფინანსურ კრიზისზე?

**მურთაზ ხურცილავა:**

– რა თქმა უნდა, პრობლემაა ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი, მისი დონე, მაყურებელთა დასწრება... ამაზე გული ძალიან მტკივა. გულშემატკივარი სტადიონზე ფეხბურთელებმა უნდა მიიყვანონ – სხვანაირად მე არ ვიცი... 12 წლის ბავშვს პროგრამა რაში სჭირდება. თბილისის „დინამოში“ ისე მივედი, მწვრთნელი რა იყო, არ ვიცოდი.

**ვაჟა ჟვანია:**

– ჩემპიონატი კარგი რომ იყოს, კარგი ფეხბურთელები უნდა თამაშობდნენ. მათ გაზრდას კარგი მწვრთნელი სჭირდება. ბავშვთა ფეხბურთში მწვრთნელთა დონე მოიკოჭლებს. იქ საქმე ცოტა ცუდად არის. საქართველოში ზოგი კლუბი კერძოა, ზოგი მუნიციპალური. კერძო კლუბების მესვეურები ბევრ ფულს ხარჯავენ, მაგრამ არ მიწყინონ და ხშირ შემთხვევაში არასწორი მენეჯმენტი აქვთ. ინტელექტუალი მწვრთნელების დეფიციტია. საქართველოში ძალიან დიდი ფეხბურთელები იზრდებოდნენ. ამ გენეტიკის კლება ან ბუნებრივად ხდება ან შეგნებულად. მწვრთნელი 18 წლამდე ბავშვს თამაშის დროს შენიშვნას არ უნდა აძლევდეს. სამხრეთ ამერიკაში საფეხბურთო ფედერაციების მიერაა დაწესებული, რომ თამაშის დროს თუ მწვრთნელი ბავშვს შენიშვნას მისცემს, მას მსაჯი ყვითელი ბარათით აფრთხილებს და 100 დოლარით აჯარიმებენ. თუ კიდევ იგივეს გაიმეორებს, მაშინ წითელ ბარათს აჩვენებენ და მის საკითხს სპორტულ-ტექნიკური კომისია განიხილავს. ბევრი მწვრთნელი იმ ინდივიდუალიზმს კრძალავს, რაც ქართულ ფეხბურთს ახასიათებს. კარგია, რომ გამოჩნდა ვასილ მაისურაძე. სამი წელიწადია ვუყურებთ მის მიერ გაწვრთნილ ნაკრებს და ყველაფერი აქვს: ტაქტიკა, ინდივიდუალიზმი, ფიზიკური მომზადება. 10 წელია ხმა არ ამომიღია და მაისურაძის ნაკრებმა ჰოლანდიას რომ მოუგო, „კიროვის ბალელებსაც“ კი გაუკვირდათ, ხმა რომ ამოვიღე. ვამაყობთ იმ პროექტებით, რომელსაც ფედერაცია ანხორციელებს. ფეხბურთის ფედერაცია სწორი გზით მიდის.

**ლევან ნოდია:**

– ვეტერანები, როგორც დელეგატები თამაშებზე დავდივართ. თვალშისაცემია, რომ ყველა მოედანი ნორმალურ მდგომარეობაშია. აღარაა ჩხუბები, რაც თითქმის ყოველი მატჩის მერე იყო. კარგი მოედნები რომ კეთდება, ეს ქმნის სიტუაციას, რათა ფეხბურთის დონემ აიწიოს. ჩემი აზრით, 2014-15 წლების სეზონში, უფრო მეტი კარგი ფეხბურთელი გამოჩნდება. არ შეიძლება ჩავარდნა ამდენ ხანს გაგრძელდეს.

– ფეხბურთის სამყაროს მეტი სოლიდარობა მოეთხოვება. დაიკარგა „შევარდენის“ სტადიონი, „სინათლე“, ავლაბრის სტადიონი, „ირაო“, ვერის ბაღში არსებული სტადიონი ავტომანქანების სადგომად გადააქციეს. თითქოს იქვე ალტერნატიული მოედანი გააკეთეს, მაგრამ ის ფასიანია. 35-ე სკოლაც დაიკარგა. ბავშვი სად უნდა გაიზარდოს?

**ოთარ გაბელია:**

– ძველი 35-ე სკოლის მაგივრად, ბაზარს რომ აკეთბდნენ, „ლელოში“ 5-ჯერ დავწერე, რომ არ შეიძლებოდა, რადგან ეს სკოლა რელიქვიაა. ადამიანს ფეხბურთი რომ არ უყვარს, აირჩია ბაზრობა. 35-ე სკოლას და ავლაბრის სტადიონსაც კერძო მეპატრონეები ჰყავდათ. ჩვენ მეტის გაკეთება არ შეგვიძლია. ისე არავინ გაგვიგოს, რომ რადგან ფედერაციაში ვმუშაობთ, მას ვადიდებთ. მერაბმა თავის დროზე რაღაც გააკეთა. პატარა ნოდარის დროსაც რაღაც გაკეთდა. ზვიადი და მთლიანად ფედერაციის წევრები რაც ევალებათ, იმას აკეთებენ. ნაკრებებს ამდენი შეკრება ჰქონოდათ და ამხანაგური თამაშები ჩაეტარებინათ, ასეთი რამ არასოდეს ყოფილა. საშა რომ ნაკრების მწვრთნელი იყო, მწვრთნელები წყალს ვაცხელებდით და ბიჭები ისე იბანდნენ. ხვალ და ზეგ სიჭინავა რომ არ იქნება, ვინც იქნება პრეზიდენტი იგივეს მოვთხოვთ. მართალია, რომ ეროვნულ ნაკრებს შედეგი არ აქვს. ფეხბურთელებს თუ უნდა ეწყინოთ, მაგრამ საფრანგეთის და ესპანეთის დონის მოთამაშეები არ გვყავს. ის ოსტატობა არ აქვთ და არც დიდ კლუბებში თამაშობენ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნებისმიერ მეტოქესთან არ უნდა იბრძოლოს.

– განვლილ შესარჩევ ციკლში ნაკრების მიერ ნაჩვენებ შედეგზე რას იტყოდით? ქეცბაიას ხელფასი მის კვალიფიკაციას რამდენად შეესაბამება?

**ვაჟა ჟვანია:**

– ქეცბაიას 10 მილიონიც რომ მისცენ, ამ ნაკრებს შანსი მაინც არ აქვს. ისიც ცოტაა, რასაც აძლევენ, რადგან მწვრთნელობისთვის ჯანმრთელობას, ნერვებს, თავის დროს ხარჯავს. 10 მილიონიც რომ მისცე, ეს ფეხბურთელები რაც არიან, იმაზე მეტს ვერ გააკეთებენ.

**ლევან ნოდია:**

– რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან განვიცდით ეროვნული ნაკრების წარუმატებლობას. მე თემურ ქეცბაიას პოზიცია აბსოლუტურად მესმის. ეს არის პროფესიონალური მიდგომა. დისციპლინა უმთავრესია. თანაც ფეხბურთელი ნაკრებში ზედმეტი კილოგრამებით არ უნდა ჩამოდიოდეს... თვითონ უნდა გრძნობდნენ ამ პასუხისმგებლობას.

**ოთარ გაბელია:**

– ალბათ, ყველას დაავიწყდა, რა პირობებში უხდებოდა ნაკრებს ვარჯიში და თამაში წლების განმავლობაში. ფედერაციას რაც ევალება, იმას აკეთებს. სწორედ, ესაა მისი მოვალეობა, რომ შექმნას სათანადო ინფრასტრუქტურული და საფეხბურთო პირობები. ასეთი რამ არასდროს ყოფილა, რომ ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებს ამდენი შეკრება, ტურნირი და ამხანაგური თამაში ჰქონოდათ.

# ანზორ წოწონავა: „კარგია, ჩვენი მძღოლები გამარტივებული ვიზებით რომ შევლენ რუსეთში“

მარიკა მჭედლიშვილი

## ინტერვიუ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრ ანზორ წოწონავასთან

*– რა შეიცვალა ბოლო პერიოდში აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით?*

– ეს ძალიან დიდი მოცულობის პრობლემაა, რომელზეც მოკლე და ცალსახა პასუხს ვერ გავცემთ. ჩვენ ჩამოგვიყალიბდა გარკვეული პოზიციები. პირველ რიგში, კონფლიქტის მოგვარება დამოკიდებულია საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე. ჩვენი მთავარი მისწრაფებაა, რომ პირდაპირი კავშირი და მოლაპარაკება გვქონდეს აფხაზურ მხარესთან. თუ პირდაპირი კონტაქტები გვექნება, მწვავე საკითხები ნელ-ნელა მოიხსნება. ეს პროცესი დაკავშირებულია სხვადასხვა ეტაპთან.

*– რუსეთთან ურთიერთობა ერთ-ერთი ეტაპია?*

– სამწუხაროდ, რუსეთთან არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა. რუსეთთან მოლაპარაკებისთვის მთავრობის აპარატში შექმნილია სპეციალური წარმომადგენლობა ზურაბ აბაშიძის სახით. იყო არაერთი შეხვედრა, სიტუაცია შერბილებისკენ უნდა წასულიყო, მაგრამ ამის მაგივრად გაგრძელდა მავთულხლართების პრობლემა.

*– რატომ გაგრძელდა ეს პრობლემა?*

– მთავარი მიზეზი ისაა, რომ ჩვენ ძირფესვიანად არ შეგვისწავლია ძველი თუ ახალი საზღვრების საკითხი. საზღვრები ბოლომდე არც მაშინ იყო დადგენილი და არც ახლაა. მაშინდელი ადმინისტრაციული საზღვრები ახლაც ადმინისტრაციულად მიგვაჩნია, იმიტომ რომ ეს ძირძველი ქართული მიწაა და სხვანაირად არ უნდა იყოს.

*– გამოსავალი რაშია?*

– გამოსავალი იმაშია, რომ არჩეული გზით ვიაროთ. ომისა და რუსეთთან დაპირისპირების რიტორიკა დამთავრდა. ეს პოზიცია ყოფილ ხელისუფლებას ეკავა. რუსეთთან მოლაპარაკებას უნდა მივაღწიოთ.

*– აფხაზურ მხარესთან პირდაპირ კონტაქტებზე რას იტყვით?*

– პირველ რიგში, გვინდა მივაღწიოთ იმას, რომ ამ პროცესში ჩავრთოთ აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურები, რომ გამოვიყენოთ ლეგიტიმური სტრუქტურების როლი.

*– ანუ საუბარია თქვენი და თქვენი კოლეგების პროცესში ჩართვაზე?*



– დიახ. ჩვენ არ უნდა დავამძიმოთ მიდგომები კონფლიქტის მოწესრიგებაში, არ უნდა შევცვალოთ არსებული მტკიცე პოზიციები. მავთულხლართების გაბმა და წითელი ხაზების გავლება ხელს უშლის პროცესს. ვიღაცას ჰგონია, რომ ჩვენ ამ ტერიტორიებს დავთმობთ და ვიქნებით ნორმალურ ურთიერთობაში რუსეთთან. ეს გამორიცხულია. ამ პრინციპს ვიცავთ ჟენევის ფორმატის მოლაპარაკებებშიც.

*– თქვენი საუბრიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ მიმართულებით დიდი ცვლილებები არ მომხდარა...*

– მთავარი ისაა, რომ ხელისუფლებაში გარკვეული ძვრები მოხდა და ხდება – რეინტეგრაციის სამინისტროს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელი დაერქვა. ეს მთლიანი გეგმის შემადგენელი ნაწილია. ეს იწვევს მდგომარეობის შერბილებას.

*– თქვენ თუ შემოგრჩათ კონტაქტები აფხაზურ მხარესთან?*

– მეც და ჩემს კოლეგებსაც გვაქვს ასეთი კონტაქტები. მაგრამ საუბარი არაა ოფიციალურ შეხვედრებზე. მათ არ ეძლევათ საშუალება, ჩვენ მიმართ რბილი ნაბიჯები გადადგან. ამიტომ გვინდა, რუსეთის ფაქტორი მოსცილდეს ჩვენს ორმხრივ ურთიერთობებს.

*– მით უმეტეს, რომ აფხაზეთში რუსეთის მიმართ დიდი უკმაყოფილებაა.*

– უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფხაზეთში რუსეთის მიმართ არის უკმაყოფილება. 10 და 15 წლის წინ სულ სხვა განწყობა იყო, ახლა სულ სხვაა. აფხაზები მიხვდნენ, რომ რუსეთის ფაქტორი საფრთხეს უქმნის მათი ეთნოსის არსებობას.

*– თქვენ როგორ აპირებთ ამ ეთნოსის გადარჩენას?*

– გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ როგორმე დავიწყოთ პროცესი, რაზეც ვისაუბრეთ. ჩვენი ინფორმაციები უკვე მიდის აფხაზეთში, არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენთან თანამშრომლობენ. აქტიური იყო სახალხო დიპლომატიაც, მაგრამ რატომღაც ბოლო 8-9 წლის განმავლობაში შეწყდა მისი მონაწილეების მოქმედებები. ახლა ამ პროცესის განახლებაც იწყება. თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ ამ პროცესს ხელს უშლიან რუსეთის სპეცსამსახურები. აფხაზეთის მცხოვრებლებს აქვთ რუსული პასპორტები, რომლითაც ისინი ვერ გადიან სხვა ქვეყნებში. ჩვენ ვცდილობთ აფხაზეთში ნეიტრალური პასპორტების შემოღებას.

*– ნეიტრალური პასპორტებით უცხოეთში ადვილად გაემგზავრებიან?*

– რა თქმა უნდა. ახალგაზრდები უცხოეთში სასწავლებლადაც წავლენ, გრანტებსაც მიიღებენ და აქეთ, ჩვენკენაც გადმოვლენ, ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქის უფლებებით. 200-ზე მეტი ნეიტრალური პასპორტი გაცემულია. ჩვენ როგორმე უნდა დავარწმუნოთ აფხაზური მხარე, რომ აფხაზური მხარე უფრო ახლოს არის ჩვენთან, ვიდრე რუსეთთან. თბილისში ოპერაციები ჩაუტარდათ აფხაზეთიდან გადმოსულ ბავშვებს, ყოფილ მეომრებს. ახლაც მიდის ეს პროცესი. კარგია, რომ ამაზე პიარი არ კეთდება.

*– ანუ ოპტიმისტურად ხართ განწყობილი?*

– კარგია ისიც, რომ გარკვეული ქართული პროდუქცია რუსეთის ბაზარზე შევიდა, მძღოლები გამარტივებული ვიზებით შევლენ რუსეთში.

*– დასავლური სტრუქტურების იმედი თუ უნდა გვქონდეს?*

– ცივილიზებულმა სამყარომ ყველაფერი გააკეთა ჩვენ დასახმარებლად. დღეს მსოფლიოში უმძიმესი პრობლემებია – ჩრდილოეთი კორეა, ირანი, ერაყი, სირია. ყველა ამ პრობლემებითაა დაკავებული. გასათვალისწინებელია რუსეთის ინტერესები. რუსეთი დიდი პოტენციალის მქონე სახელმწიფოა. კარგია, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც ახლებურად უყურებენ ამ საკითხებს.

# ალექსანდრე ჭიკაიძე ირანის ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე გუშინ ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩს საქართველოში აბას თალებიფარს შეხვდა.

შს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო და მასზე მხარეებმა ურთერთთანამშრომლობის საკითხები განიხილეს. საუბარი სამომავლო გეგმებსაც შეეხო.

ნიუსპრესი

# უკრაინა: ძალისმიერი სცენარი რეალობა ხდება?

### ხელისუფლება პროტესტის ჩასახშობად ემზადება

საახალწლო დღესასწაულების მიუხედავად, უკრაინაში საპროტესტო ტალღა არ ჩაცხრა. მაიდანზეც ხალხმრავლობა იყო. მეტიც, ოპოზიციამ იანუკოვიჩის რეზიდენციისაკენ ავტორეიდი მოაწყო.

– შინაგანი ჯარის ნაწილებმა ავტომაიდანის წარმომადგენლები რეზიდენციასთან არ მიუშვეს. მიუხედავად ამისა, აქცია ეფექტური იყო, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მმართველი პარტიის ლიდერთა მხრიდან აქციის მონაწილეთა მიმართ მუქარების მთელი კასკადი წამოვიდა, რაც მალე კონკრეტულ ქმედებებში გადაიზარდა.

#### რატომ ველოლიავებით ექსტრემისტებს?!

პირველი მუქარა ხარკოვიდან გაისმა. იქაური ხელმძღვანელები (დობკინი, კერნესი) ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ უკვე დროა, ხელისუფლებამ ქვეყანაში წესრიგი დაამყაროს. ხარკოვის ხელმძღვანელობას ლუგანსკის ოლქის პირველი პირებიც არ ჩამორჩნენ. ოლქის გუბერნატორის მოადგილე ედუარდ ლოზოვსკიმ თავის ტელეინტერვიუში განაცხადა:

– ჩემი აზრით, დროა, ხელისუფლებამ იარაღი გამოიყენოს. გაიხსენეთ 1946 წელი, როცა ოდესაში ანტისაბჭოთა ელემენტებმა არეულობა მოაწყვეს. მარშალ ჟუკოვის ბრძანებით რამდენიმე ასეული კაცი იქვე ქუჩაში მიახვრიტეს. წესრიგიც დამყარდა.

რეგიონებიდან წამოსული ინიციატივა კიევმა აიტაცა. პარლამენტის შენობასთან „ხელისუფლების მომხრეთა აქცია“ განახლდა. მოსახლეობის შეკრების მეთოდი ძველი იყო: დირექტორები თავიანთ დაწესებულებებში კრებას აწყობდნენ, შემდეგ თანამშრომლები ავტობუსებით კიევში მიჰყავდათ. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ სრული მობილიზაცია გამოაცხადა, მხოლოდ 20 ათასამდე ადამიანის შეკრება მოხერხდა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# მებაჟეებმა სპირტის უკანონო შემოტანის მცდელობა აღკვეთეს

საბაჟო გამშვები პუნქტის, „ყაზბეგის“ მებაჟე ოფიცრებმა საქართველოში, ავტომანქანაში დამონტაჟებული გაზის რეზერვუარებით სპირტის უკანონო შემოტანის მცდელობა აღკვეთეს. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, გაზის ორი რეზერვუარი სამალავად ჰქონდა გამოყენებული რუსეთის მოქალაქე თ. კ.-ს, რომელიც „ყაზბეგის“ ტერიტორიაზე რუსეთის მხრიდან შემოვიდა. მისი კუთვნილი ავტომანქანის ორ რეზერვუარში მებაჟე ოფიცრებმა 240 ლიტრი სპირტი აღმოაჩინეს. აღიშნულ პირს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, სანქციის სახით ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით შეეფარდა.

ნიუსპრესი


# განცხადებები

• იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

• ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

• ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

• მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

• გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

• ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

• მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

• კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

• მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

• ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

• ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

• გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

• მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

• იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

• ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.



ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის




საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# TV პროგრამა

### ორშაბათი 20 იანვარი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"გაალეთ პოლიტიკა!"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"გულის მუსიკა"** 19.30 "ქართული ჯარი" 21.00 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 22.00 სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" (პ/ე) 23.30 "საფეხბურთო მიმოხილვა" 00.30 მხ/ფ **"ჩემი იმედი გქონდეს"** (მ.ფრიმანი)

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "პეკინი" 09.00 მხ/ფ **"ფეხსაცმელი და ვარდი-კონკიას ამბავი"** (რ.ჩემბერლენი) 11.30 დ/ფ "ბერლინი 1885 წელი" იერიში აფრიკაზე" I ნაწ. 12.30 მხ/ფ **"ზუმი"** (ს.მარსო) 14.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "იორდანია – უდაბნოს სამეფო" 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 6 სერ. 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე)თ 14.40, 15.05 ფულთან თამაში 16.03 სერ. **"სიყვარულის დრო"** 1 სერ. 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 20.50 სერ. **"სილა"** 22.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 23.00 რომ გადახვალ" გაჩერე 23.30 EMERGENCY– სასწრაფო დახმარება 00.30 მხ/ფ **"დიდი სტენი"** (დ.ქერედინი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 ქ.მხ/ფ. **"მანდარინები"** 00.00 სპორტ ტაიმი 01.00 შიშის ფაქტორი 02.00 მხ/ფ 04.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 ეთნოგრაფია 06.20 მხ/ფ **"მუსიკის პანგები"** I სერ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება. 08.30 "განთიადი" 10.40 კვირიაკე. 12.10 მხ/ფ **"მზე შემოდგომისა"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე. 15.00 განთიადის სტუმარი. 15.25 დოკ/ფ "ველური ბუნება". 15.50 კონცერტი - ლექსო არ დაიკარგები. 17.50, 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო. 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი. 19.15 მხ/ფ **"კუკარაჩა"**. 20.40 ძილი ნებისა. 21.05 პატრიარქის ქადაგება. 21.25 სადვთისმეტყველო საუბრები. 22.25 "წმინდანთა ცხოვრება" აბო თბილელი" 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ასი". 00.30 განთიადის სტუმარი. 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**მაესტრო** 7.00, 0.00, 3.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30, 13.35, 2.30, 5.45 ფარული კამერა 8.00 მულტფილმები. 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 9.15 მულტფილმები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"**. 13.00, 18.25, 0.30, 4.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 14.30 ჟურნალისტური გამოძიება სტუდია "მონიტორის". 17.45, 21.30, 1.00, 2.15, 5.30 "ყოველდღიური ამბები". 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 21.45, 1.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.30 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

### სამშაბათი 21 იანვარი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"მიფრთხილდი, ლაზურ!"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"გულის მუსიკა"** 4 სერ. 19.15 "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" 21.00 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" – ნაღვლისფერი სიხარულის ქრონიკა 2 ნაწ. 23.00 მხ/ფ **"მაგარი პოლიციელები"** (ბ.უილისი) 01.00 მხ/ფ **"ცვილის ფიგურების სახლი"**

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "ბერლინი 1885 წელი" იერიში აფრიკაზე" 2 ნაწ. 14.00, 16.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო"

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 იმედის გმირები 15.25 რომ გადახვალ" გაჩერე 16.03 სერ. **"სიყვარულის დრო"** 2 სერ. 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 20.50 სერ. **"სილა"** 22.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 23.00 ღამის შოუ (გ/ჩ) 00.00 მხ/ფ **"ზინქური სიყვარული"** (კ. ელექტრა) 01.50 მხ/ფ **"გოსფორდ პარკი"**

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 არჩევანი 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 ეთნოგრაფია. 06.25 დოკ/ფ "ასი". 06.50 მხ/ფ **"მუსიკის პანგები"** II სერია 08.00 დილის ლოცვა. 08.20 სახარება. 08.30 "განთიადი". 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00 სიახლენი. 10.35 ქართული მულტფილმი. 10.50 სადვთისმეტყველო საუბრები 11.30 პატერიკი. 11.35 "წმინდანთა ცხოვრება" აბო თბილელი" 12.10 მხ/ფ **"კუკარაჩა"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება". 15.55 კონცერტი - ალიოშა იუნიჩი. 17.00 ერთსულოვნების სალონი. 18.10 საქართველო არის ესე. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 19.20 მოკ/ფ **"მიხა"** 20.00 ღია აუდიტორია. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** 7.00, 0.00, 3.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30, 13.35, 2.30, 5.45 ფარული კამერა 8.00, 9.15 მულტფილმები 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 13.00, 18.25, 0.30, 4.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 17.45, 21.30, 1.00, 2.15, 5.30 "ყოველდღიური ამბები". 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 21.45, 1.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.30 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

### ოთხშაბათი 22 იანვარი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"გაალეთ პოლიტიკა! -2"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"გულის მუსიკა"** 19.30 "ჩვენი ეზო" 21.00 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.00 მხ/ფ **"მზის იმპერია"** 01.30 მხ/ფ **"ულელტეხილის მებრძოლები"**

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) 14.00, 16.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.03 სერ. **"სიყვარულის დრო"** 3 სერ. 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 00.00 მხ/ფ **"ჩემი ერთადერთი და განუმეორებელი"** (კ. ბეიკონი) 02.00 მხ/ფ **"ლუდი ჩემი ცხენებისთვის"**

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 00.30 მხ/ფ 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ (ტიტ.)

06.10 საგალობელი. 06.20 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.45 დოკ/ფ "ნაძარცვის კვალდაკვალ". 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.15 ჩვენი ფონდი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია. 12.50 მოკ/ფ **"მიხა"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე. 15.05 განთიადის სტუმარი. 15.30 კონცერტი - რიჩარდ გალიანო 16.45 კვირიაკე 17.50, 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო. 18.10 საქართველო არის ესე. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 19.20 მხ/ფ **"შეხვედრა მთაში"**. 20.40 ძილი ნებისა. 21.05 პატრიარქის ქადაგება. 21.30 ეპოქის სახელები. 21.55 ფოტოგალერეა 22.25 ქართული ალბომი 23.00 სალამოს ლოცვა. 23.15 დოკ/ფ "ლაზი ვორე,ლაზი ქართველი ჭანი". 00.30 განთიადის სტუმარი. 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** 7.00, 0.00, 3.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30, 13.35, 2.30, 5.45 ფარული კამერა 8.00, 9.15 მულტფილმები 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 13.00, 18.25, 0.30, 4.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 14.30 გადაცემა "პულსი" 17.45, 21.30, 1.00, 2.15, 5.30 "ყოველდღიური ამბები" 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 21.45, 1.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.30 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

### ხუთშაბათი 23 იანვარი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"ფანტომი სამოთხეში"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"გულის მუსიკა"** 19.30 "შემოძახილი" 21.00 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 22.00 სპორტული თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) 23.00 "უცნობი მუსიკა" 00.30 მხ/ფ **"ვაჟიშვილები"** (პ. მირენი) 01.20 მხ/ფ **"ულელტეხილის მებრძოლები"**

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "მტკნარი წყლის ჯუნგლები" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო"

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 9 სერ. 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.03 სერ. **"სიყვარულის დრო"** 4 სერ. 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 20.50 სერ. **"სილა"** 22.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 23.00 ღამის შოუ (გ/ჩ) 00.00 მხ/ფ **"კვარტეტი"** 01.50 მხ/ფ **"წაიკითხე და დაწვი"** (ჯ.კლუნი) (ტიტ.)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 პროფილი 00.30 მხ/ფ 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ (ტიტ.)

06.10 საგალობელი 06.15 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.40 დოკ/ფ "შორეულთა სიახლოვე" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი". 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.45 ჩვენი ფონდი 11.05 ქართული ალბომი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"შეხვედრა მთაში"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე. 15.05 განთიადის სტუმარი 15.40 დოკ/ფ "ველური ბუნება" 16.10 კონცერტი -ნიკა რაჭველი - მენდელსონი,პროკოფიევი. 17.50, 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო. 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 19.30 "პორტრეტები" 20.10 მოკ/ფ **"წყარო გზის პირას"** 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი. 21.10 "ერთსულოვნების სალონი" 22.25 დოკ/ფ "ვაჟკაცსა კარგ უნდა ჰყვანდის ცხენიო". 23.00 სალამოს ლოცვა. 23.15 დოკ/ფ "შურიმშინე". 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** 7.00, 3.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30, 13.35, 0.00, 2.30, 5.45 ფარული კამერა 8.00, 9.15 მულტფილმები 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 13.00, 18.25, 0.30, 4.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 17.45, 21.30, 1.00, 2.15, 5.30 "ყოველდღიური ამბები" 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 21.45, 1.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.30 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

### პარასკევი 24 იანვარი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"ყველანი ციხეში"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"გულის მუსიკა"** 19.05 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 21.00 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.30 მხ/ფ **"თბილისი – თბილისი"** 01.00 მხ/ფ **"მონსტრები დღეს"**

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) 14.00, 16.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო"

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 10 სერ. 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კულინარიული დუელი (გ/ჩ) 16.03 სერ. **"სიყვარულის დრო"** 5 სერ. 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 20.50 სერ. **"სილა"** 22.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 23.00 კონცერტი: "თამარ გვერდწითელი" 00.45 მხ/ფ **"კაცების გარეშე"**

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 საგალობელი. 06.20 დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" 07.00 დოკ/ფ "ფურცლები ფრანგული დღიურიდან". 07.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება. 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენ. 10.40 მოკ/ფ **"ზზიანეთი"**. 10.55 დოკ/ფ "შურიმშინე". 11.25 ისტორიის გაკვეთილი. 12.10 პორტრეტები 12.50 მოკ/ფ **"წყარო გზის პირას"**. 13.25 პატერიკი. 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე. 15.05 განთიადის სტუმარი. 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება". 15.55 კონცერტი - კვინტეტი "ურმული" 17.00 კვირიაკე. 18.10 საქართველო არის ესე. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ/ფ **"ადამიანთა სევდა"** 20.40 ძილი ნებისა. 21.05 პატრიარქის ქადაგება. 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.15 დროის ჩანაწერები. 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** 7.30, 13.35, 0.00, 2.30, 5.45 ფარული კამერა. 8.00, 9.15 მულტფილმები. 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 13.00, 18.25, 0.30, 4.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 14.30 გადაცემა "პულსი" 17.45, 21.30, 1.00, 2.15, 5.30 "ყოველდღიური ამბები" 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"**. 21.45, 1.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.30 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

### შაბათი 25 იანვარი

08.00 დ/ფ "პატარა ვარსკვლავები" 09.00 საბ. ან/სერ. "ტატონკას თავგადასავალი" 10.10 საბ. მხ/ფ **"სუპერმენი და ბეტმენი-აპოკალიფსი"** 11.30 საბ. გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 კონცერტი: მანანა მენაბდე 14.00 მხ/ფ **"უცოლო"** (რ.ზელვეგერი) 16.30 "გურმანია" 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"გულის მუსიკა"** 19.00 "ეტალონი" 21.00 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 22.00 "წითელი ზონა" 23.30 მხ/ფ **"პირველი ლედი"** 01.30 მხ/ფ **"უცხოპლანეტელის გაკვეთა"**

08.00, 10.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (პარ. გ/ჩვ) 12.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ვენეცია" 12.30 მხ/ფ **"ბანზაი"** 14.00 დ/ფ "ფანტასტიკური სიმფონია" 15.00 დ/ფ "ზღვის სიღრმეში" 17.00 მხ/ფ **"განრისხებული ფანტომასი"** (ჟ.მარე) 19.00 დ/ფ "ჰოლივუდი" 20.00 მხ/ფ **"სიყვარულით გაბრუებული"** (მ.რაიანი) 22.00 ტ/სერ. **"ლამაზი ანტონიო"** 3 სერ. 23.00 მხ/ფ **"წითელი ვიოლინო"**

08.00 ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" 7 სერ. 08.25 მხ/ფ **"ფესტივალი კანში"** 10.25 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 16 სერ. 12.45 სერ. **"ჰანა მონტანა"**. 14.30 მხ/ფ **"როგორ მოვიპაროთ მილიონი"** 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 20.50 სერ. **"სილა"** 22.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 23.00 კაცების შოუ (გ/ჩ) 00.00 მხ/ფ **"შეგიძლიათ არ აკოცოთ პატარძალს"** (კ.ბეითსი) 01.45 მხ/ფ **"ჯარისკაცები"**

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ 10.00 ეკი ვოკი 11.00 იღბლიანი ბორბალი 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 შერეკილები 15.30 "ნანუკას შოუ" 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 00.30 მხ/ფ 03.30 მხ/ფ

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა". 07.35 მოგზაურობა სამშობლოში. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი. 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე. 12.10 მხ/ფ **"ადამიანთა სევდა"** 13.40 "კარაბადინი" 14.05 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება. 15.05 ოპერა - **"ბოჰემა"**. 17.30 დოკ/ფ "ველური ბუნება". 18.10 საქართველოს ქალაქები. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 19.20 გამოყენებითი ხელოვნება. 19.35 ქართული ალბომი. 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.15 ლექსით ქებათა ქება 21.20 ქრისტიანული ხელოვნება. 22.25 ჟურნალისტის დღიური. 22.50 საკვირაო სახარების განმარტება. 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 ქართული ხმები. 00.35 დროის ჩანაწერები. 01.25 მხ/ფ **"დიდი ვალსი"**

**მაესტრო** 7.00, 23.00, 2.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 ფარული კამერა (საბ.) 8.00 მულტფილმი 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 22.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 18.45, 23.30, 2.30, 3.30, 5.30 "ყოველდღიური ამბები" (გამ.) 21.45, 2.30 **სერიალი „მომავლის გაელვება"** 0.00 მხ/ფ 4.30, 5.30, 6.30 ფარული კამერა.

### კვირა 26 იანვარი

08.00 დ/ფ "პატარა ვარსკვლავები" 08.50 საბ. ან/სერ. "ტატონკას თავგადასავალი" 09.50 საბ. მხ/ფ **"ნილზის შვილი"** 11.30 საბ. გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სამოთხის ვაშლები" 14.30 ქართ. მხ/ფ **"ჭირვეული მეზობლები"** 16.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.00 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 18.00 მხ/ფ **"ჰატელი"** (ჟ.დეპარდიე) 20.30 შ. რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლი: **"შეთქმულება"** 23.00 "ელექტრონავტები" 00.30 მხ/ფ **"სიყვარულის მანძილზე"** (დ.ბერიმორი) 02.15 დოკ/ფ "კაპურის მიერ დანახული სამყარო"

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "მეხიკო" 09.00, "ბრიფინგის დრო" (შაბ. გ/ჩვ.) 10.00 მხ/ფ **"ბავშვები უჟურადღებოდ"** 11.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ვიეტნამი" 12.00 მხ/ფ **"ჰარი პოტერი და სიკვდილის ძღვენი"** (დ.რედკლიფი) 14.30 მხ/ფ **"ზუმი-2"** (ს.მარსო) 16.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ავსტრალია" 17.00 მხ/ფ **"ფანტომასი სკოტლანდ იარდის წინააღმდეგ"** 19.00 დ/ფ "ბალადა დედოფლისთვის" 20.00 მხ/ფ **"უფილი შეყვარებულების აჩრდილები"** (მ.მაკონახი) 22.00 ტ/სერ. **"ლამაზი ანტონიო"** 4 სერ. 23.00 მხ/ფ **"მაგნოლია"** (ტ.კრუზი)

08.00 ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" 8-9 სერ. 09.00 მხ/ფ **"რამდენად მნიშვნელოვანია იყო სერიოზული"** 11.00, 14.00, 17.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 13.00 კულინარიული დუელი 14.30 იმედის გმირები 15.00 ქ.მხ/ფ **"კუკარაჩა"** 17.40, 23.00 რომ 'გადახვალ" გაჩერე (გ/ჩ) 18.00 კონცერტი: "ფრიდონ სულაბერიძე" 20.00 პანორამა 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 23.30 მხ/ფ **"გონიერების ასაკი"** (ს. მარსო) 02.00 მხ/ფ **"მელქიადეს ესტრადას სამი დასაფლა**

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ 10.30 ვანოს შოუ 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 გააცინე და მოიგე 14.00 ეკი ვოკი 15.30 პროფილი 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 21.00 P.S 22.00 კომედი შოუ 00.30 მხ/ფ 03.30 მხ/ფ

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება". 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება. 08.30 საქართველოს ქალაქები. 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15 სიახლენი. 10.40 მულტფილმი 10.50 ქართული ხმები. 11.30 ქართული ალბომი 12.10 მხ/ფ **"ზოლიანი დოლი"** 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა. 16.00 ერთსულოვნების სალონი. 16.50 ეპოქის სახელები.17.15 სადვთისმეტყველო საუბრები. 18.30 დროის ჩანაწერები. 19.30 მხ/ფ **"სანამ წვიმა გადიღებდეს"** 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი. 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე. 21.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 სალამოს ლოცვა. 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.30 პორტრეტები. 01.10 მხ/ფ **"საბრინა"**

**მაესტრო** 7.00, 23.00, 2.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 ფარული კამერა (საბ.) 8.00 მულტფილმი 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული** 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 22.55 კვირის აზრები. 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 18.30, 23.30 ჟურნალისტური გამოძიება სტუდია "მონიტორის" 21.45, 2.30 **სერიალი "მომავლის გაელვება"** 0.00, 3.30 "ყოველდღიური ამბები" (გამ.) 0.30 მხ/ფ 4.30, 5.30, 6.30 ფარული კამერა.

# უკრაინა: ძალისმიერი სცენარი რეალობა ხდება?

დასაწყისი მე-9 გვერდზე

– მაიდანზე კი ას ათასზე მეტია შეკრებილი, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მიუხედავად ამისა, მარინინის პარკში ხელისუფლებისაგან „ექსტრემისტების“ ალაგმვა და წესრიგის დამყარება მოითხოვეს. უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა ცარიოვმა განაცხადა:

– დროა, დემოკრატიულობანას თამაშს შევეშვათ! ბანდიტებსა და ექსტრემისტებს რას ველოლიავებით? უკრაინელი მშრომელები წესრიგის დამყარებას მოითხოვენ!

ასეთ განცხადებას ხელისუფლების მხრიდან კონკრეტული ნაბიჯი მოჰყვა. უკრაინის კულტურის სამინისტრომ ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობას წერილით მიმართა და განუცხადა: თქვენი საქციელი უკანონოა და, თუკი ასე განაგრძობთ, ეკლესიის არსებობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებაო.

– რელიგიის შესახებ კანონი ლოცვის უფლებას მხოლოდ ეკლესიაში იძლევა და არა „მაიდანებზე“, – ნათქვამია წერილში.

პარალელურად, ხარკოვში უცნობმა პირებმა იქაური უკრაინული ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის შტურმით აღება სცადეს. მორწმუნეების მიერ იერიში მოგერიებულ იქნა.

– მიმდინარეობს შეტევა უკრაინული ეკლესიის წინააღმდეგ. ხელისუფლება ძალისმიერი მოქმედებებისათვის ემზადება, – განაცხადა მიტინგზე გამოსვლისას პატრიოტული ორგანიზაცია „სვობოდას“ ლიდერმა ოლეგ ტაგნიბოკმა.

დსთ-ის ქვეყნების ტრაგედიის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ხელისუფლების უმთავრესი მახასიათებელი ცხოვრების პარაზიტული წესი და უპრინციპობაა. თავის სამსახურებრივ მდგომარეობას ხელისუფალნი პირადი გამდიდრებისათვის იყენებენ. როგორც კი მათ ძალაუფლებას საფრთხე დაემუქრება, ყველანი დახმარებისათვის ერთსულოვნად მოსკოვს მიაშურებენ ხოლმე. უკრაინაც ამ მხრივ გამონაკლისი როდია. როგორც კი კიევში მასობრივი აქციები აზვირთდა, პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა მოსკოვს მიაშურა. კრემლში მან მიიღო ის, რასაც ელოდა – მხარდაჭერა. პუტინმაც თავისი პოზიცია ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დააფიქსირა:

– ის, რაც უკრაინაში ხდება, ანარქიაა! გაოცებული ვარ, რომ ხელისუფლება უმოქმედობას იჩენს!

რუსეთმა უკრაინას მხოლოდ კრედიტები როდი მისცა. მოსკოველი სპეციალისტები თავიანთ კიეველ კოლეგებს „სათანადო საკანონმდებლო ბაზის“ შექმნაშიც დაეხმარნენ.

– აუცილებელია, ექსტრემისტები და უპასუხისმგებლო ელემენტები, რომლებიც არეულობას აწყობენ, პასუხისგებაში მიეცნენ! – განაცხადა პუტინმა.

რუსი სპეციალისტების დახმარებით უკრაინის პარლამენტის დეპუტატებმა ე.წ. საკანონმდებლო ბაზის შექმნა დაიწყეს. კანონი ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, შენობების ძალისმიერი გზით დაპყრობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ისეთი ორგანიზაციების ქმედებების გამართლებისთვის პასუხისმგებლობა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს ამა თუ იმ ფორმით ჰიტლერელებთან თანამშრომლობდნენ.

– უკრაინელი დეპუტატი კოლესნიჩენკო, რომელიც თავისი პრორუსული პოზიციითაა ცნობილი, ამ კანონებზე მუშაობას ინტენსიურად შეუდგა, – აცხადებს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი არსენი იაცენიუკი.

კრემლში არაორაზროვნად აცხადებდნენ, რომ უკრაინის ხელისუფლების ძალისმიერ აქციას მხარს დაუჭერდნენ. კიევურმა ელიტამაც ეს აიტაცა.

## სკანდალურად მიღებული ბიუჯეტი

მიუხედავად მუქარებისა, აქციები არ ცხრებოდა. დაბლოკილი იყო პარლამენტი, არ მუშაობდა კიევის საქალაქო საბჭო, ქუჩებში სისტემატურად იმართებოდა მსვლელობები ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით, თუმცა მთავარი ციებ-ცხელება ბიუჯეტის გარშემო ატყდა:

– ეს ბიუჯეტი კი არა, სამარცხვინო დოკუმენტია! ჩვენ ამის მიღებას არ დავუშვებთ! – განაცხადა პატრიოტული ორგანიზაცია „სვობოდას“ ლიდერმა ოლეგ ტიაგნიბოკმა.

ოპოზიციონერი ხაზს უსვამდა იმას, რომ ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული არც პენსიების ზრდა, არც მასწავლებლებისათვის ხელფასების მომატება. სამაგიეროდ, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს ხელფასი მთელი ორმოცდაათი პროცენტით ეზრდებათ.

– იზრდება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება! გათვალისწინებულია ავადსახსენებელი „ბერკუტის“ წარმომადგენლებისათვის ჯამაგირის მთელი ორმოცი პროცენტით მომატება! – აცხადებს ტიაგნიბოკი.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ოპოზიციის არგუმენტებს მმართველი პარტიის ზოგიერთი წარმომადგენელიც დაეთანხმა, თუმცა პრეზიდენტთან „კონსულტაციის“ შემდეგ მათ პოზიცია შეიცვალეს.

– ბიუჯეტი, რასაკვირველია, იდეალური არაა, მაგრამ მისი მიღება აუცილებელია, – განაცხადა რეგიონალთა ერთ-ერთმა ლიდერმა ეფრემოვმა.

საპარლამენტო დარბაზშიც ვნებები ბობოქრობდა. ოპოზიციამ ნაცად მეთოდს მიმართა და ტრიბუნის ბლოკირება მოახდინა.



ორშაბათს პარლამენტის სხდომა ჩაიშალა. ასევე ჩაიშალა მომდევნო სხდომაც. ბიუჯეტსაც ჩავარდნის რეალური პერსპექტივა დაემუქრა. ამან პრეზიდენტი იანუკოვიჩი გააცოფა:

– ბიუჯეტი ამ კვირას აუცილებლად უნდა იყოს დამტკიცებული! – განაცხადა მან.

ხუთშაბათს, 16 იანვარს, სასესიო დარბაზში ნამდვილი ომი გაიმართა. ოპოზიციამ კვლავ ტრიბუნის ბლოკირება მოახდინა. პარლამენტის სპიკერ რიბაკს კაბინეტიდან გამოსვლის საშუალება არ მისცეს. რეგიონალთა მცდელობებს, ტრიბუნასთან გაჭრილიყვნენ, წარმატება არ მოჰყოლია. ამ შეხლა-შემოხლის დროს ერთ-ერთ დეპუტატ-რეგიონალს თავი გაუტეხეს:

– ასეთ პირობებში არავითარი ბიუჯეტის მიღება არ შეიძლება! – განაცხადა დეპუტატმა ინა ბოგოსლოვსკაიამ.

ვიცესპიკერი კილიმნიკი ტელეფონით პრეზიდენტ იანუკოვიჩს დაუკავშირდა. როგორც ჩანს, პრეზიდენტმა ნებისმიერ ფასად ბიუჯეტის მიღება მოსთხოვა, რადგანაც კილიმნიკმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო: ხმის მიცემა ჩვეულებრივი ხელის აწევით მოხდება! დეპუტატი ოპოზიციონერები აღშფოთებას არ მალავდნენ:

– ეს ხომ ყოველგვარი რეგლამენტის უგულებელყოფაა!

მიუხედავად ამისა, კენჭისყრა მაინც ჩატარდა. როგორც ვიცესპიკერი ირწმუნება, ხმების აუცილებელი რაოდენობის მოგროვება მოხერხდა. ბიუჯეტიც ყოველგვარი განხილვის გარეშე მიიღეს.

– ასეთ პირობებში განხილვა შეუძლებელია! – განაცხადა დეპუტატმა-რეგიონალმა კოლესნიჩენკომ.

რადიო „თავისუფლების“ ცნობით, სპიკერმა რიბაკმა მიღებულ კანონს ხელი უკვე მოაწერა. ახლა სიტყვა პრეზიდენტზეა.

## სკანდალური კანონები

სხდომა ამით არ დასრულებულა. დეპუტატებმა ასევე ხელის აწევით, ყოველგვარი განხილვის გარეშე, „პოლიციური კანონებიც“ მიიღეს. ამიერიდან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული როგორც ე.წ. ფაშისტების დამქაშთა გამართლებისათვის, ასევე ქუჩაში ათ კაცზე მეტის შეკრებისათვის, კამუფლიაჟით სიარულისათვის, სახელმწიფო დაწესებულებების ხელში ჩაგდებისა თუ მათთვის მუშაობის ხელის შეშლისათვის. იზღუდება არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა, პრესის თავისუფლება. ერთ-ერთი კანონით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის და ა.შ. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული სამართალდამცველთა ან მოსამართლეთა შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებისათვის. მიღებული კანონი ძალოვნებს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლებასაც აძლევს. აღსანიშნავია, რომ მთელი ეს პაკეტი უმრავლესობის წარმომადგენლებმა ხელის აწევით, ყოველგვარი განხილვის გარეშე, სულ ათი წუთის განმავლობაში მიიღეს,

– უკრაინაში, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალება მოხდა! – განაცხადა ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა არსენი იაცენიუკმა.

მომხდარით აღშფოთებას თვით ხელისუფლების ზოგიერთი მომხრეც არ მალავდა. ასე მაგალითად, დეპუტატმა ვოლკოვმა რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტს განუცხადა:

– რასაკვირველია, დაუშვებელია ის, რაც მოხდა, მაგრამ, აბა, რა ვქნათ? ამის დედა!...

ამრიგად, სესია დაიხურა. პარლამენტი არდადეგებზე წავიდა და მხოლოდ 2 თებერვალს შეიკრიბება.

## საერთაშორისო რეაქცია

საერთაშორისო საზოგადოებამ უკრაინაში განვითარებული პროცესების შესახებ თავისი შეშფოთება კიდევ ერთხელ დააფიქსირა. თეთრმა სახლმა იანუკოვიჩს კვლავ შეახსენა, რომ ძალის გამოყენების შემთხვევაში აშშ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ სანქციებს შემოიღებს.

– ჯერჯერობით ამაზე თავს ვიკავებთ, – განაცხადა ვიქტორია ნულანდმა, – მაგრამ, თუკი მომიტინგეთა მიმართ ძალა გამოიყენეს, სანქციები დაუყოვნებლივ იქნება შემოღებული.

ევროკავშირის ელჩმა უკრაინაში იან ტამბინსკიმ განაცხადა:

– პარლამენტის უკანასკნელი დადგენილებანი უკრაინულ დემოკრატიას საფრთხეს უქმნის!

ეუთომ მომხდარის თაობაზე საგანგებო განცხადება გააკეთა და იანუკოვიჩს მოუწოდა, სკანდალური წესით მიღებულ კანონებს ხელი არ მოაწეროს.

– ისინი ადამიანის უფლებებს ზღუდავენ, – ნათქვამია განცხადებაში.

შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილტმა აღნიშნა, რომ უკრაინის ხელისუფლება პროდასავლურ კურსსა და ევროპულ ფასეულობებს სცილდება:

– უკრაინაში ბელორუსული სცენარი სურთ განახორციელონ! – ამბობს ბილტი.

პოლონეთის რადიომ მომხდარი პარლამენტარიზმის დასასრულად და დიქტატურის დამყარებად შეაფასა. ცნობილმა გერმანელმა ექსპერტმა მაიერმა კი რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში განაცხადა:

– როგორც ჩანს, იანუკოვიჩი ცდილობს, წესრიგი პოლიციური მეთოდებით დაამყაროს. ჩემი აზრით, უკრაინის პრეზიდენტი არასაკმარისადაა ინფორმირებული და ქვეყანაში რეალურად შექმნილი მდგომარეობის თაობაზე წარმოდგენაც არა აქვს!

მაიერის აზრით, ძალისმიერი აქციები ვითარებას კიდევ უფრო დაძაბავს და კონფლიქტის ესკალაციას გამოიწვევს.

## რეაქცია უკრაინაში

უკრაინელი ექსპერტები უკანასკნელ მოვლენებს აქტიურად ეხმაურებიან. ცნობილი უკრაინელი სპეციალისტი და როზუმკოვის სახელობის ცენტრის ხელმძღვანელი ჩალიი მიიჩნევს, რომ ყველა პრობლემა მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა გადაწყდეს.

– ძალისმიერი სცენარი დამღუპველია. ეს უკრაინის დაშლას ნიშნავს, – განაცხადა ჩალიიმ რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტთან საუბარში.

პარლამენტის გადაწყვეტილებებმა „მაიდანზე“ შეკრებილი მომიტინგეების შემართება ვერ დააცხრო. პირიქით, ხალხის ოდენობა გაიზარდა. 16 იანვარს გაიმართა მიტინგი, რომელსაც 160 ათასი ადამიანი დაესწრო. მიტინგზე სიტყვით ოლეგ ტიაგნიბოკი გამოვიდა:

– ჩვენ უკან არ დავიხევთ! – განაცხადა ტიაგნიბოკმა.

ამას მოსახლეობის ფართო ფენები იზიარებენ. სტუდენტობა, მწერლები, ინტელიგენცია, ჟურნალისტები გამოთქვამენ პროტესტს იმის გამო, რაც უკრაინაში ხდება. ყველა წამყვანმა გაზეთმა მომხდარი უარყოფითად შეაფასა. ცნობილი ჟურნალისტი იულია მოსტოვაია მიიჩნევს, რომ ქვეყანა საფრთხეშია და ყველა შეგნებული მოქალაქის ვალია, უკრაინის დამოუკიდებლობა და დემოკრატიული არჩევანი დაიცვას.

– ახლა ბრძოლის ჟამია, – წერს მოსტოვაია.

## ეპილოგი

„მაიდანზე“ მობილიზაციაა გამოცხადებული. შტურმის მოსაგერიებლად ყველანი მზად არიან.

– ხელისუფლების სცენარი შემდეგია: მათი მომხრეები ბარიკადების აღებას შეეცდებიან, მოხდება შეტაკება, საქმეში მილიციის სპეცდანაყოფები ჩაერევიან და განხორციელდება დარბევა, – განუცხადა რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტს „მაიდანის“ კომენდანტმა და პარლამენტის დეპუტატმა ანდრეი პარუბიიმ.

მართლაც, 17 იანვარს, 13 საათზე, დამოუკიდებლობის მოედანს რამდენიმე ავტომანქანა მიადგა, საიდანაც კუნთმაგარი ყმაწვილები გადმოხტნენ და ბარიკადების აღება სცადეს. მაიდანზე შეკრებილმა ხალხმა მათ ეს არ დაანება. ერთ-ერთ დაუპატიჟებელ სტუმარში მილიციის გადაცმული თანამშრომელი შეიცნეს, მეორეში – ხარკოვის „ანტიმაიდანის“ აქტივისტი, მესამე ყმაწვილში – პრორუსული ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც ანტიდასავლურ აქციებში აქტიურად მონაწილეობდა. სხვების ამოცნობა ვერ მოხერხდა. პროვოკატორები სამარცხვინოდ გააძევეს, თუმცა, ცხადია, რომ საქმე ამით არ დამთავრდება და პირველ პროვოკაციას მეორე მოჰყვება. ბრძოლა გრძელდება.

ნიკა თევზაძე

## სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე მზევინარ ფიფია, შვილები ირაკლი, გიორგი, რძლები ირა, ოლია, შვილიშვილები ალექსანდრე, ირაკლი, დავითი, და დოდო ქარჩავა-კვაჭაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



**ალექსანდრე გიორგის ძე ქარჩავა**

პანაშვიდი: 19, 20 იანვარს, 16-19 საათზე, თბილისი, გლდანის II მ/რ, კორპუსი 25 ა, ბინა 4.

გამოსვენება: სამშაბათს, 21 იანვარს, 14 საათზე, ილორის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან (მდებარეობს აგლაძის ქუჩაზე, ვახუშტის ხიდსა და ელიავას ბაზრობის მიმდებარე სკვერში).

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჯინისა და რომის გასაზავებელი გაზიანი უალკოჰოლო სასმელი; 2. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 3. მთიანეთი ჩრდილო ამერიკაში; 4. ჩრდილო აფრიკის მოსახლეობის ძველი სახელწოდება; 5. ციმბირში გავრცელებული ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 7. ზღვისპირა კურორტი ლატვიაში; 11. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 12. პოპულარული ტელეშოუს წამყვანი ამერიკელი ზანგი ტელეჟურნალისტი ქალი; 13. ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 14. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 15. ისრაელის კალათბურთელთა გუნდი; 17. ცხენის მოსართავი; 19. ფეხბურთელთა სპორტული ფეხსაცმელი.

**თარაზულად:** 5. ავადმყოფური მიდრეკილება გადაჭარბებული ლაპარაკისადმი; 6. კვერცხის გულის, წებოსა და ზეთის ხსნარისგან მომზადებული სახატავი საღებავი; 8. ყურანის ცალკეული თავი; 9. პირველი გერმანული ოპერა; 10. მეფის მცველი საქართველოში; 11. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 13. კათოლიკური ეკლესიის რელიგიურ-ადმინისტრაციული ცენტრი; 14. მოედანი სამხედრო აღლუმებისა და სამწყობრო ვარჯიშებისთვის; 16. გერმანული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 18. ბრმად, დაუსაბუთებლად მიღებული დებულება; 20. განცალკევებული საკანი ციხეში პატიმართა მკაცრად დასასჯელად; 21. ლიბანის დედაქალაქი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბრეცია; 2. ქააბა; 3. ტუბა; 5. ვოლანი; 6. ჭვავი; 7. მუსკატი; 11. ნუტრია; 13. ფრიმანი; 14. კენზო; 15. პაპაინი; 16. ლიგნიტი; 17. დინარი; 19. ოკაპი; 20. ცემი.

**თარაზულად:** 1. ბოქსიტი; 4. მძივი; 8. ბრუკი; 9. ლიმა; 10. ციბონა; 12. იკებანა; 14. კერი; 15. პიკადელი; 16. ლინზა; 18. პრადო; 21. ნურიე; 22. ტრამვაი; 23. პორტეტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პილონი; 2. არაქსი; 3. ბაირონი; 4. ბორჩალო; 5. იორდანე; 7. ბოჭორმა; 11. სქური; 12. უაილდი; 13. მორავია; 14. პლატონი; 15. კახასა; 17. ბუფონი; 19. ხევი.

**თარაზულად:** 5. იომიური; 6. დიზაჟიო; 8. სოჭი; 9. გორდა; 10. ასკილი; 11. საბა; 13. მაჰარაჯა; 14. პრუსი; 16. აბელი; 18. ოპარა; 20. ნირვანა; 21. სვანეთი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


18 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,7533 |
| ევრო | 2,388 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,8754 |
| 100 რუსული რუბლი | 5,2762 |

## ამინდის პროგნოზი 18 იანვრისთვის




## კროსვორდი

**შვეულად:** 1. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 2. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 3. სანადირო თოფების წარმოების ერთ-ერთი ცენტრი უკრაინაში; 5. ქართული ხალხური ზღაპარი; 6. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 7. აეროპორტი სტოკჰოლმში; 11. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 13. შტატი აშშ-ში; 14. ბუდისტთა მღვდელი იაპონიასა და ჩინეთში; 15. ბატონის, მემამულის ქონების მმართველი ძველად; 16. პურეული მცენარე; 17. დაკოდილი მამალი ცხვარი; 19. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაცია; 20. ნიკოლოზ ბარათაშვილის მეტსახელი.

**თარაზულად:** 1. ოპერა „დაისის" პერსონაჟი; 4. მოძრავი სცენა თეატრში; 8. მემკვიდრეობითი ტიტული ბრიტანეთში; 9. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 10. ტბა სომხეთში; 12. მსხვილი და მოკლე სოსისი; 14. ირლანდიურ როკ-ჯგუფ „იუთუს" ლიდერი; 15. ძველებური ქართული კაჟიანი თოფი; 16. მტრედის ბარტყი; 18. ღვინის დანალექი; 21. მდინარე ევროპაში; 22. რაიონული ცენტრი სვანეთში; 23. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




# 21 იანვრიდან „ახალ თაობასთან" ერთად 4 ლარად გაიყიდება „ამერიკული ზღაპრები"





## ვაჟა ჟვანია: „ქეცბაიას 10 მილიონიც რომ მისცენ, ამ ნაკრებს შანსი მაინც არ აქვს"



„მიხეილ მესხის" სტადიონის მედიაცენტრში, ქართველი ვეტერანი ფეხბურთელები სპორტულ ჟურნალისტებს შეხვდნენ. პრესკონფერენციას ვაჟა ჟვანია, მურთაზ ხურცილავა, ოთარ გაბელია და ლევან ნოდია ესწრებოდნენ. ვეტერანებმა მოკლედ შეაფასეს განვლილი წელი და გაკეთებულ თუ გასაკეთებელ საქმეებზე ისაუბრეს.

ვაჟა ჟვანია:

– ჩვენმა საფეხბურთო ოჯახმა ის უნდა გავაკეთოთ, რაც ქართულ ფეხბურთს გამოადგება. თქვენ იმდენი არ იცით, რაც ჩვენ, თუ რას აკეთებს ფეხბურთის ფედერაცია, სპორტის სამინისტრო, ქალაქი, სახელმწიფო ვეტერანი ფეხბურთელებისთვის. არავის ლანძღვა-გინებას არ ვაპირებთ. პირიქით, ვემადლიერებით. ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის სლოგანია – გავუხანგრძლივოთ სიცოცხლე დამსახურებულ ვეტერანებს და ამ მიმართულე-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## „თალიბები ავღანეთის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებენ"

ავღანეთში მოძრაობა „თალიბანის" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თალიბები კოალიციის ძალებზე გამარჯვებაში დარწმუნებულები არიან და ქვეყნის მნიშვნელოვან ნაწილს უკვე აკონტროლებენ. „ბი-ბი-სი" ამ მოძრაობის წარმოამადგენელს ზაბიულა მუჯაჰედს ტელეფონით ესაუბრა, რომლის თქმითაც, ავღანეთის ისტორია მოწმობს, რომ ოკუპანტები ამ ქვეყანაში ყოველთვის მარცხდებოდნენ: „ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ვერც ახლა გაიმარჯვებენ. ზოგიერთ რაიონში ყველაფერს თალიბები აკონტროლებენ. ისინი თავისუფლად გადაადგილდებიან სოფლებში. უცხოეთის ძალებს მათი იმდენად ეშინიათ, რომ საკუთარ ბაზებს ვერ ტოვებენ", – აღნიშნავს მუჯაჰედი.

შეგახსენებთ, რომ საერთაშორიოს კოალიციის ჯარებმა ქვეყანა 2014 წლის ბოლოს უნდა დატოვოს. ავღანეთსა და ამერიკას შორის ამ დრომდე ხელმოწერილი არ არის უსაფრთხოების შესახებ შეთანხმება, რომელიც 2014 წლის შემდეგ ქვეყანაში ამერიკელი სამხედროების ყოფნას განსაზღვრავს. ავღანეთის პრეზიდენტის ჰამიდ ყარზაის განცხადებით, შეთანხმებას ხელს საპრეზიდენტო არჩევნებამდე არ მოაწერს. ამერიკა კი ე.წ „ნულოვან ვარიანტსაც" განიხილავს, რაც ნიშნავს, რომ 2014 წლის შემდეგ ქვეყანაში არცერთი ამერიკელი სამხედრო აღარ დარჩება. ამ დროისათვის ავღანეთში 46 000 ამერიკელი სამხედრო იმყოფება.

გ. მ.

## ამზან კადიროვი: „დოკუ უმაროვი მკვდარია"



ჩეჩნეთის მეთაურის რამზან კადიროვის განცხადებით, ჩრდილოკავკასიელი შეიარაღებული მებრძოლების ლიდერი, დოკუ უმაროვი მკვდარია. ამის შესახებ „ბიბისის" რუსული სამსახური იუწყება.

„უკვე კარგა ხანია, 99%-ით დარწმუნებული ვიყავით, რომ უმაროვი ლიკვიდირებული იყო ერთ-ერთი ოპერაციის დროს. ახლა კი არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ის მართლაც მკვდარია, თუმცა ცხედარი ჯერ არ გვიპოვია და ისევ ვეძებთ", – განაცხადა რამზან კადიროვმა.

ამასთან, ჩეჩნეთის მეთაურის განცხადებით, არსებობს ე.წ. ემირების საუბრის ჩანაწერი, სადაც ისინი უმაროვის სიკვდილზე საუბრობენ და ერთმანეთს უსამძიმრებენ.

რამზან კადიროვის თქმით, უმაროვის შემცვლელად ორი ადამიანი სახელდება, ერთი დაღესტანიდან, მეორე კი-ჩეჩნეთიდან ასლამბეკ ვადალოვი. ვადალოვი უმაროვმა 2010 წელს დანიშნა მემკვიდრედ მისი სიკვდილის შემთხვევაში.

„ბიბისის" ცნობით, დოკუ უმაროვის გარდაცვალების შესახებ განცხადება უკვე მერვეჯერ კეთდება. ამასთან, როგორც რუსეთის სპეცსამსახურების წყარომ სააგენტო „ინტერფაქსს" განუცხადა, დოკუ უმაროვის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია სპეცსამსახურებს არ აქვთ. 2013 წლის ივნისში ჩეჩენი სეპარატისტების საიტებზე გავრცელდა დოკუ უმაროვის ვიდეომიმართვა, სადაც ის თანამებრძოლებს სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩაშლისკენ მოუწოდებს.

გ. მ.

## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

### 18 იანვარი – შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** – დღეს თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კურო** – რომანტიკული თავგადასავლი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ტყუპები** – გადაიხალისეთ გარდერობი, საქმიანი შეხვედრა გელით. **კირჩხიბი** – ახალ საქმეს მოჰკიდებთ ხელს, კმაყოფილი დარჩებით. **ლომი** – ყურადღების ცენტრში ხართ, სხვები გბაძავენ. **ქალწული** – არ იდარდოთ, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **სასწორი** – ცხოვრებას გაიხალისებთ, ამაში მეგობრები დაგეხმარებიან. **ღრიანკალი** – ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **მშვილდოსანი** – ცხოვრების შეცვლა გინდათ, ამაში ვერავინ დაგეხმარებათ. **თხის რქა** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, ყველაფერი გამოგდით ხელიდან. **მერწყული** – მეგობრების წრეში კარგად გაერთობით და საჭირო ინფორმაციასაც მიიღებთ. **თევზები** – თავს დაჩაგრულად გრძნობთ, ამის მიზეზი არ გაქვთ.

### 19 იანვარი – ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ

**ვერძი** – ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ, ასე აჯობებს. **კურო** – ნუ დახარჯავთ ბევრ ფულს, ცოტა ხვალისთვის შემოინახეთ. **ტყუპები** – ნუ აყვებით სხვებს, თავს მიხედეთ. **კირჩხიბი** – შეყვარებულთან დაშორება თქვენი ბრალია. **ლომი** – ეს დღე სწავლასა და საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. **ქალწული** – ფულს შოულობთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **სასწორი** – არ იაქტიუროთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – სახლში კარგი ამბები გელით. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვილაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **მერწყული** – ამ დღეს შინაარსიანად გაატარებთ. **თევზები** – დღეს დაისვენეთ, გადაღლილი ხართ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!





- ეგზემა და კანის ფსორიაზისმაგვარი დაზიანება (ერითროდერმია, სხვადასხვა დერმატოზები, ალერგიული ქავილი)
- ყველა ხარისხის დამწვრობები, მათ შორის მზის დამწვრობა
- ჭრილობები, კანის ნაკაწრები, სიცივით გამოწვეული კანის ნახეთქები
- კანის დეფორმაციის გამომწვევი ცვლილებები (ვარიკოზული წყლულები, ფისტულები, ნაწოლები)
- კოსმეტიკით განპირობებული კანის დაზიანებები

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

PSP №1 საქართველო, თბილისი 0112, დ. აღმაშენებლის გამზ. 148/III




ABDI IBRAHIM | ABDI IBRAHIM 100

ფიტო კრემი